თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. ჩვ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. საგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- მემაღაროეთა სტიქიური გაფიცვები ინგლისში.
- გრძელდება გლეხთა მღელვარება კუნძულ კრიტზე.
- დემონსტრაცია ტანაკას მთავრობის წინააღმდეგ ტოკიოში.
- აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ არაბეთში.
- ჩეხო - სლოვაკიის მემაღაროეებმა განაახლეს მუშაობა.
- დაიხურა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი.
- 1927 წ. სესხის მეხუთე ტირაჟი შესდგება 20, 21 და 22 აპრილს თბილისში.

კვირა, 4 მარტი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 53 (2096)

გამცემელთა გულახდილი აღსარება

რეფორმისტების მიერ მუშათა კლასის საქმის გამცემლობას საზღვარი არა აქვს. დღეს ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ცენტრის, გენერალურ საბჭოს „მოღვაწეობაზე“.

ინგლისის კაპიტალი, რომლის მსოფლიო ბატონობა ძალზეა შერყეული განმათავისუფლებელ კოლონიალურ მოძრაობისა და სხვა ქვეყნების კონკურენციის გამო, გააფთრებულ შეტევას აწარმოებს მუშათა კლასზე, რომ მისი მაქსიმალური ექსპლოატაციის გზით გამოასწოროს თავისი მდგომარეობა.

რამდენადაც უფრო ძლიერდება მრეწველების იერიშები პროლეტარიატის წინააღმდეგ, იმდენად უფრო მატულობს სოციალ - შემთანხმებელთა მოღალატეობა. ინგლისის მუშათა კლასის „ბელადები“ სულ უფრო აშკარად გადადიან კაპიტალისტების მხარეზე და მათთან ერთად თავგამოდებით ებრძვიან მშრომელ მასებს, რომელთა ინტერესების დამცველებად მათ თავი მოაქვთ.

ყველას გვახსოვს გენერალურ საბჭოს სამარცხვინო როლი საყოველთაო და შემდეგ მემაღაროეთა გაფიცვის დროს. ინგლისის მუშათა კლასის მაშინდელ გმირულ ბრძოლის დამარცხება უმთავრესად აიხსნება რეფორმისტების გამცემლობით; მათ დეზორგანიზაცია შეიტანეს გაფიცულთა რიგებში, ქედი მოიხარეს ბურჟუაზიული კანონიერების წინაშე და მუშებს დახმარების მაგივრად მათ მოუწოდეს სრულ კაპიტულიაციისაკენ. აგრეთვე ცნობილია მუშათა პარტიის ზედა ფენების პოზიცია პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონის საკითხში; როცა ბოლდუინის მთავრობამ გაატარა ეს კანონი, რომელიც მუშათა კლასს თავის ინტერესებისათვის ბრძოლის საშუალებას უსპობს, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქცია უწყინარი ოპოზიციობის თამაშით დაკმაყოფილდა და ამით არსებითად მხარი დაუჭირა ბურჟუაზიას და მის ხელისუფლებას.

გათამამებული კაპიტალისტები ამის შემდეგ უფრო მეტ თავხედობას იჩენენ. სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის დაკლება მრეწველობის ყველა დარგებში — აქეთკენაა მათი მეცადინეობა მიმართული. თანდათან უფრო მძიმე ხდება მუშათა კლასის ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა. უმუშევართა არმია იზრდება. გასაგებია, რომ პროლეტარული მასები ირაზმებიან და სულ მარცხნივ იხრებიან. აშკარაა, რომ ინგლისში მწიფდება დიდი სოციალური კონფლიქტები და მრეწველები, მიუხედავად მუშათა კლასის დროებითი დამარცხებებისა, არ შეიძლება თავს დამშვიდებულად გრძნობდნენ.

მაგრამ გენერალური საბჭო ყოველთვის მზად არის კაპიტალისტების სამსახურისათვის, მათი სახსნელად მუშათა მასების რისხვისაგან. გენსაბჭო გამოდის მრეწველობაში „მშვიდობიანობის“ დამყარების ლოზუნგით და ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებს მრეწველებთან. ამა წლის 12 იანვარს ქიმიური მრეწველობის „მეფის“ მონდის ინიციატივით, რომელსაც სიხარულით შეეგებნენ გენსაბჭოელები, პირველად შესდგა კაპიტალისტების და გენსაბჭოს წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, მრეწველობაში მშვიდობიანობის ჩამოგდების საკითხის განსახილველად. აქედან იწყება ახალი პერიოდი მუშათა კლასის გამცემლობის ისტორიაში.

რას ნიშნავს მშვიდობიანობა მრეწველობაში კაპიტალისტური სისტემის პირობებში? მხოლოდ ერთ რამეს, სახელდობრ: მუშათა კლასის დამონებას მრეწველებისადმი. შეიძლება უკანასკნელნი რაიმე დათმობებზე მიდიან და ზღუდავენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას? რა თქმა უნდა, არა. ისინი ამ მხრივ სიტყვიერ დაპირებასაც არ იძლევიან (თუმცა ასეთ დაპირებას რა ფასი ექნებოდა), მაშინ, როცა გენსაბჭო უდიდეს ვალდებულებებს კისრულობს მუშათა კლასის ბრძოლის აღკვეთის საქმეში.

მაკდონალდები ცდილობენ ის რწმენა ჩაუნერგონ პროლეტარიატს, რომ მშვიდობიანი გზით, შრომისა და კაპიტალის „თანამშრომლობით“ შესაძლებელია მისი მდგომარეობის გაუმჯობესება და თანდათანი გადასვლაც კი სოციალიზმში. მაგრამ ინგლისის მუშათა მასები თავის ზურგზე განიცდიან, თუ რას ნიშნავს ეს „თანამშრომლობა“, თუ როგორ „უმჯობესდება“ მათი მდგომარეობა. კაპიტალისტების „კაცთმოყვარეობის“ წყალობით. გენსაბჭოს პოზიცია „სამრეწველო ზავის“ საკითხში საყოველთაო აღშფოთებას იწვევს მუშათა ფართე მასებში.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ გენსაბჭოს მიერ ამ თავის პოზიციის განმარტებას. თავის ანგარიშში 12 იანვრის თათბირის გამო ის აღნიშნავს პროფმოძრაობის მოქმედების სამ შესაძლებელ ხაზს: პირველია რევოლიუციონური ბრძოლა, რომელსაც გენსაბჭო გადაჭრით უარყოფს, როგორც ისეთს, რომელიც „უნაყოფოა და დაუყოვნებლივ იწვევს სისხლის ღვრას და უბედურებას“. გულახდილი აღიარებაა. რეფორმისტებს ეშინიათ რევოლიუციონურ ბრძოლის. ცხადია, იმიტომ, რომ იგი საფრთხეს განუმზადებდა კაპიტალისტების არსებობას, რომელთან მათ თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირეს. ისინი რევოლიუციონურ ბრძოლას „უნაყოფოდ“ თვლიან. მაგრამ ინგლისის მუშებმა კარგად იციან, რომ მათ მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ ექსპლოატაციის მოსპობა. ამას ხომ ადასტურებს მუშათა კლასის მთელი ისტორია; კერძოდ საბჭოთა კავშირის მაგალითი ხომ ყველას თვალწინ აქვს.

გენსაბჭოს თქმით, მეორე გზა იმაში მდგომარეობს, რომ „გარედან უყურო მრეწველობის საქმიანობას და დაქუცმაცებული ძალებით დაიცვა მუშების ინტერესები“. გენსაბჭო ამ ხაზსაც უარყოფს. გენსაბჭოს მესამე და მისთვის მისაღები ხაზი არის „პროფმოძრაობის მონაწილეობა მრეწველობის რეორგანიზაციაში მეცნიერულ საფუძველზე და მრეწველობის აყვავებიდან მატერიალურ უპირატესობათა მიღება“. ასეთი ხაზი ლოღიკურად გამომდინარეობს რევოლიუციონურ ბრძოლის უკუგდებიდან და სავსებით დამახასიათებელია გამცემლებისათვის. მართლაც, რას მოასწავებს „პროფმოძრაობის მონაწილეობა მრეწველობის რეორგანიზაციაში“? ეს სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალისტური რაციონალიზაციის გზით მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერება. გენსაბჭო და საერთოდ ყველა ქვეყნის შემთანხმებელნი ბურჟუაზიას მხარს უჭერენ ასეთ რაციონალიზაციის გატარებაში პროლეტარიატის საზიანოდ. ამგვარად, გენსაბჭო ცდილობს ინგლისის პროფკავშირები გადააქციოს კაპიტალიზმის აპარატის შემადგენელ ნაწილად, მის ხელშემწყობ ორგანიზაციად, ისე როგორც თვითონ გენსაბჭო უკვე გამხდარია კაპიტალისტების იარაღად მუშათა დამონების საქმეში.

ჩვენთვის ცხადია, რომ ინგლისის მუშათა კლასს ოდნავადაც არ დააკმაყოფილებს გენსაბჭოს „განმარტება“; ის უფრო შეაგნებინებს მას რეფორმისტების გამცემლურ ბუნებას და ხელს შეუწყობს მის ძალების მობილიზაციას როგორც კაპიტალისტების, ისე მათ სოციალ - აგენტების წინააღმდეგ. ამ მხრივ ინგლისის კომპარტიას დიდი მოვალეობა აწევს რეფორმისტების შეუბრალებელი მხილება და მუშაობა მასების დარაზმვისათვის — აქეთკენ იქნება მისი საქმიანობა მიმართული. კომპარტიის ბრძოლის წარმატებას უეჭველად გააადვილებს გენსაბჭოელთა აშკარა მოღალატეობა.

ბრესტის ათი წლის თავი

ბრესტის ზავი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ამასთანავე ერთად მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკის მშვიდობიანი ცხოვრებისთვისაც იმ მხრივ, რომ მან მოგვცა მშვიდობიანი შესვენება.

ბრესტის საზავო ხელშეკრულების დადება იყო იმ დეკრეტის რეალიზაცია ზავის შესახებ რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო 1917 წ. ოქტომბერში. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა სახელმწიფოს მისცა წინადადება ჩამოეგდოთ საყოველთაო დემოკრატიული ზავი. მაგრამ ანტანტის მთავრობებმა კატეგორიული უარი განაცხადეს საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე. მაშინ საბჭოთა ხელისუფლებამ გამართა დამოუკიდებელი „სეპარატიული“ საზავო მოლაპარაკება ცენტრალურ სახელმწიფოებთან. ამ მოლაპარაკებაში საქვეყნოდ წამოაყენა საზავო პროგრამა ძალმომრეობისა ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე. მაგრამ მტაცებლურმა იმპერიალიზმმა არ გაიზიარა ეს პროგრამა და ოთხი წლის ომით გაპარტახებულ და განაწამებ ქვეყანას თავს მოახვია ყაჩაღური ზავი. ბურჟუაზიულ- პატრიოტული ბრალდებები ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მათ „ბრესტში მიჰყიდეს რუსეთი გერმანელებს“-ო, როგორც კვამლი, ისე გაიფანტა 8 თვის შემდეგ, როცა ვილჰელმი გადმოვარდა ტახტიდან. ბრესტის ზავმა ვერ უშველა გერმანიის იმპერიალიზმს. ამ ზავის მეოხებით შეინარჩუნა თავისი არსებობა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში.

დადო რა ბრესტის ხელშეკრულება, საბჭოთა ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა, რომ მან საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი იმპერიალისტური ქვეყნების [illegible] სინკლიტთან, მათ საერთაშორისო ავანტიურებთან და ბურჟუაზიული დიპლომატიის გაუმაძღრობასა და სიცრუესთან. უარყო რა მეფის რუსეთის ყველა ვალდებულება ანტანტის მთავრობების წინაშე, ის ერთხელ და საბოლოოდ გამოვიდა იმპერიალისტური ომების წრიდან. რუსეთის იმპერიალიზმი დასამარდა.

საბჭოთა ხელისუფლების სწორედ ამ ანტი-იმპერიალისტურ (და, მაშასადამე, ზედმიწევნით ინტერნაციონალურ) ნაბიჯით —ბრესტის საზავო ხელშეკრულების დადებით აიხსნება ის გააფთრებული კამპანია, რომელიც გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მისმა მტრებმა, უწინარეს ყოვლისა რუსეთისა და ანტანტის ყველა ჯურის ნაციონალისტებმა.

„სამარცხვინო“ ზავის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე ჩვენი პარტიის ერთმა ნაწილმაც, რომელმაც ვერ შეიგნო ამ ნაბიჯის სისწორე პროლეტარიატის ინტერნაციონალური ინტერესების თვალსაზრისით. ლენინს თავიდანვე აუცილებლად მიაჩნდა ზავის ჩამოგდება გერმანიასთან, თუნდაც არა დემოკრატიულ საფუძველზე. რით აიხსნება ლენინის ასეთი მტკიცე პოზიცია და რა მოსაზრებიდან გამოდიოდა ლენინი? უწინარეს ყოვლისა, ლენინმა სწორად და ღრმად შეაფასა პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა მთელ მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობისათვის. შემდეგ ლენინმა სწორად და ღრმად შეაფასა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მნიშვნელობა პროლეტარიატის დიქტატურისათვის. შემდეგ ლენინს ცხადათ ესმოდა ომისაგან შესვენების მნიშვნელობა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ლენინის მოწინააღმდეგეებს პარტიის წრიდან კი, პირიქით არ სწამდათ პროლეტარიატის დიქტატურის ერთ ქვეყანაში არსებობის პერსპექტივა და მოითხოვდენ რა გერმანიასთან ომის გაგრძელებას, ისინი ამით საფრთხეში აგდებდენ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას, ვინაიდან აშკარა იყო, რომ ეს ომი ჩვენი დამარცხებით დამთავრდებოდა, რადგან გლეხობას გარკვევით არ სურდა ომი და არც არავითარი შესაძლებლობა არსებობდა ომის წარმოებისთვის. ლენინის ამ მოწინააღმდეგეებს გლეხობასთან კავშირის დაცვა პროლეტარიატის დიქტატურისათვის და სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში იმპერიალისტური გარემოცვის პირობებში უიმედო საქმედ მიაჩნდათ. სავსებით ცხადია, რომ ლენინის მოწინააღმდეგეთა იდეოლოგია მაშინ არსებითად ტროცკისტული იდეოლოგია იყო.

ამჟამად ჩვენ უკვე ათი წლის შემდეგ ვრწმუნდებით, თუ რამდენად მართალი და გენიალურად შორს მჭვრეტელი იყო ლენინი, როცა მან აღიარა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობისა და სოციალისტური მშენებლობის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. ამასთანავე ერთად ამ ათმა წელმა დაარწმუნა ყველა, რომელთაც აზროვნებისა და მხედველობის უნარი აქვთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ნამდვილად მოიპოვება საკმაო ძალები და შესაძლებლობა გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვის, მეურნეობის განვითარებისათვის და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველ თვეებში სამხედრო და სამეურნეო მხრით არაჩვეულებრივად სუსტი იყო ძლიერ იმპერიალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც თითქოს არაფერი არ უღირდათ წაელეკათ რუსეთის მუშები და გლეხები. მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან იმპერიალისტებს უთანხმოება და მეტოქეობა ღრღნიდა. ბრესტის ზავი საუცხოო მანევრი აღმოჩნდა იმპერიალისტებს შორის არსებულ უთანხმოების გამოყენების მიზნით— ამ ზავმა საბჭოთა სახელმწიფოს მისცა მშვიდობიანი შესვენების შესაძლებლობა. ამ დღიდან იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა.

ისტორიამ დაადასტურა, რომ თუ 1918 წელში არა, როცა ჩვენ უკვე ბრესტის რამდენიმე თვის შემდეგ იძულებული ვიყავით გვეწარმოებია ომი შინაურ ფრონტებზე, —უფრო გვიან, 1921 წლიდან მაინც საბჭოთა ხელისუფლებას მართლაც მიეცა ხანგრძლივი მშვიდობიანი შესვენება სოციალიზმის მშენებლობისათვის. ბრესტის ათი წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლება თავისი წითელი არმიით ძლიერი საერთაშორისო ძალა გახდა.

ბრესტის ზავი იყო საბჭოთა ხელისუფლების კომპრომისი იმპერიალიზმთან. მაგრამ ის იმ კომპრომისთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მტერს ანადგურებენ. ზავის ჩამოგდების შემდეგ. ბოლშევიზმის გავლენა გერმანიის არმიაზე ძლიერ გაიზარდა, რამაც დააჩქარა გერმანიის რევოლიუცია.

ბრესტის ზავის მსგავსად, სოციალისტური ქვეყნის მთელი „მშვიდობიანი“ დამოკიდებულება იმპერიალისტურ გარემოცვასთან წარმოადგენს თავისებურ კომპრომისს ამ გარემოცვასთან.

მაგრამ ეს კომპრომისიც ანადგურებს იმპერიალისტებს. ამას მოწმობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის სიმპატიების ზრდა საბჭოთა კავშირისადმი და სიძულვილის ზრდა იმპერიალიზმისადმი, რომელიც დორბლებს ჰყრის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„პრავდა“, 3 მარტი.

პროფკავშირთა გენსაბჭოს თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან

მუშათა პროტესტი გენერალურ საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ

დე-მონზის პროექტი საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის შესახებ

მენშევიკების გზა „სოციალიზმისაკენ“

რეფორმისტები არჩევენ მრეწველებთან შეთანხმებას

ლონდონი, 2 მარტი. ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურმა საბჭომ კავშირებს დაუგზავნა ანგარიში იმ პირველი თათბირის შესახებ, რომელიც 12 იანვარს სწარმოებდა მწარმოებლებთან მრეწველობაში ზავის დამყარების ირგვლივ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინგლისის პროფმოძრაობისათვის შესაძლოა მოქმედების სამგვარი ხაზი: 1) რევოლიუციონური ბრძოლის ხაზი. ამ ხაზს გენერალური საბჭო უარჰყოფს, როგორც „უშედეგოს“, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს სისხლის ღვრას და უბედურებას“; 2) პროფკავშირთა ტრადიციული პოლიტიკის ხაზი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ „განზე უყურო მრეწველთა მოქმედებას და დაქსაქსული ძალებით დაიცვა მუშათა ინტერესები“. გენსაბჭო ამ ხაზსაც მიუღებლად სთვლის; 3) მესამე ხაზი მდგომარეობს შემდეგში: „პროფკავშირთა მოძრაობის მონაწილეობა მრეწველობის რეორგანიზაციაში, მრეწველობის აყვავებისაგან მატერიალურ უპირატესობათა მიღებით. ამ ხაზს გენსაბჭო სთვლის ერთად-ერთ სწორ ხაზად და ამიტომ მიიღო [illegible] მონაწილეობა მწარმოებლებთან თათბირში.

მუშები გენსაბჭოს წინააღმდეგ

ლონდონი, 2 მარტი. ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერ ლაიფი“ იუწყება, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მან მიიღო მრავალი საპროტესტო რეზოლიუცია გენსაბჭოს იმ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს შეთანხმებას მონდის ჯგუფთან მრეწველობაში ზავის დამყარების საკითხში (ადს).

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკება

გერმანიის პრესა საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის შესახებ

ბერლინი, 2 მარტი. „ბერლინერ ტაგებლატ“ გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით წინადადებას იძლევა დაარსებულ იქნეს სპეციალური ბანკი აღმოსავლეთთან საკრედიტო და სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად. ეს ბანკი, რომელსაც დახმარებას გაუწევდენ გერმანიის მსხვილი ბანკები, განავითარებდა საქონლის და საკრედიტო ოპერაციებს საბჭოთა კავშირთან. გაზეთი მიზანშეწონილად სთვლის კაპიტალისტების ექსპორტს საბჭოთა კავშირში საბჭოთა კავშირის საშინაო სესხების გერმანიაში გაყიდვის ფორმითაც კი.

„გერმანიის მეურნეობას—ნათქვამია წერილში—ამჟამად არ შეუძლია მისცეს რუსეთს მნიშვნელოვანი თანხები ხანგრძლივი ვადით. საკითხი საბჭოთა სესხების კოტიროვკის შესახებ გერმანიაში არ შეიძლება განხილულ იქნას, სანამ რუსეთის ომის წინადროინდელ სესხების ობლიგაციების გერმანელი მესაკუთრეები არ მიიღებენ სათანადო ანაზღაურებას. ომის წინადროინდელ ვალების პირობის გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისათვის უცხოეთთან“.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის წერილის გარდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის საკითხს ეხება აგრეთვე „დეიტშერ ფოლქსვირტ“ და „ფოსიშე ცეიტუნგ“.

„დეიტშერ ფოლქსვირტ“ გადაჭრით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემას, განსაკუთრებით „რამდენადაც საბჭოთა კავშირის სურვილები კრედიტების შესახებ მიმართულია გერმანიის სახელმწიფოსადმი“.

„ფოსიშე ცეიტუნგ“ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის საკითხს არ უყურებს ისე უარყოფითად, როგორც „დეიტშერ ფოლქსვირტ“, მაგრამ, მისი აზრითაც, ამ საკითხის წამოყენება საბჭოთა კავშირის მხრივ ამჟამად მიზანშეუწონელია სწორედ საბჭოთა კავშირის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან „სამეურნეო დაბრკოლებები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი განიცდის, სრულებითაც არ არის მანუგეშებელი უცხოელი კრედიტორებისათვის“ (ადს).

„საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური ანტანტა“

ბერლინი, 2 მარტი. ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებულია დე-მონზის წერილი, რომელშიაც ის ანვითარებს საფრანგეთ-გერმანიის „ეკონომიური ანტანტის“ გეგმას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის.

დე-მონზი აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ბაზარი არის საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ „დააკმაყოფილოს საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური თანამშრომლობის გაძლიერებული მოთხოვნილება“. რუსეთის ომის წინა დროის კრედიტორების შეთანხმებულად გამოსვლა, რაც ამას წინად ჟაკ ბარდუმ მოითხოვა, დე-მონზის აზრით შეუძლებელია, ვინაიდან საფრანგეთის პრეტენზიები ვალების ნაწილში არ შეიძლება შედარებულ იქნეს გერმანიის, ინგლისის და ბელგიის პრეტენზიებთან.

სულ სხვაა, დე-მონზის სიტყვით, საბჭოთა კავშირისათვის ახალი კრედიტების მიცემის საკითხი. ამ შემთხვევაში ორი ან რამოდენიმე სახელმწიფოს წინასწარი შეთანხმება სავსებით მიზანშეწონილია, ვინაიდან კრედიტების მიცემა და მათი უზრუნველყოფა დიდათ დამოკიდებული იქნება ევროპის ქვეყნების მომავალ პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის მიმართ. დე-მონზი, მისი სიტყვით, მიზნად ისახავს: დაითანხმოს გერმანია და საფრანგეთი ამ საკითხში გაერთიანებულად გამოსვლის საჭიროებაზე და განამტკიცოს ფრანგი ექსპორტიორების მდგომარეობა მათი გერმანელ კონკურენტების მაგალითით.

დასასრულ, დე-მონზი ეკამათება მისი გეგმის მოწინააღმდეგეთ, რომელთაც არ სურთ საერთოდ საქმე იქონიონ საბჭოთა კავშირთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ათი წლის განმავლობაში მათ არა ერთხელ განცრუებიათ იმედები, მაგრამ მაინც ფიქრობენ კიდევ, რომ რაიმე კონტრ-რევოლიუციონური სასწაული რუსეთის კრედიტორებს და ექსპორტიორებს ბედნიერ დროს დაუბრუნებს. ასეთი ლოდინის ტაქტიკა, დე-მონზის აზრით, მალე ყველას სახაცილოდ მოეჩვენება, ვინაიდან თვით ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატებიც კი, მიუხედავად მრავალი ოფიციალური განცხადებისა, რომ ის ბოიკოტს უწევს საბჭოთა კავშირს თანდათანობით იწყებს „იმ ნიადაგის დამუშავებას, რომელიც დიდი ხანი ხელუხლებელი იყო“ (ადს).

წყნარ ოკეანეს სანაპიროების პროფკავშირთა სამდივნოს მოწოდება

მოსკოვი, 3 მარტი. წყნარი ოკეანეს პროფსამდივნო, რომელსაც თებერვლის პირველ რიცხვებში სხდომები ჰქონდა ხანკოუში, მოწოდებაში მთელი ქვეყნის მუშებისადმი აღნიშნავს, რომ 1927 წელს ჩინეთში ციხეებში ჩამწყვდეულ იქნა 6.000 კაცი, მოკლულ და სიკვდილით დასჯილ იქნა 38.000 კაცი. „ამ საზიზღარ ბოროტმოქმედებაში —ნათქვამია მოწოდებაში,—ბრალი მიუძღვის გომინდანს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ძალაუფლების სათავეში მდგომი ახალი მილიტარისტები. ამ ახალ მილიტარისტებს მხარს უჭერს ჩინეთის ბურჟუაზია, და აგრეთვე ჩინეთის ფეოდალიზმის ნაშთები—ჯენტრი და მსხვილი მემამულეები. 1927 წელს გომინდანი ჩრდილოელ მილიტარისტებისაგან განირჩეოდა მეტი სისასტიკით და სისხლისმსმელობით მუშების და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. წყნარ ოკეანეს პროფსამდივნო აღფრთოვანებულია ჩინეთის მუშების გმირული ბრძოლით, რომელსაც ხელმძღვანელობს სრულიად ჩინეთის მუშათა კავშირების ფედერაცია. ჩინეთის მუშები არც ერთხელ არ წასულან კაპიტულიაციაზე კონტრ-რევოლიუციისა და თეთრი ტერორის წინაშე. თავისი ბრძოლით, რომელსაც ხელმძღვანელობს სრულიად ჩინეთის ფედერაცია კომპარტიასთან ერთად, ჩინეთის მუშათა კლასმა შეარყია კონტრ-რევოლიუციის ბაზა, და ხელი შეუწყო გლეხთა აჯანყების გაფართოებას, რამაც გამოიწვია საბჭოების დაარსება 4 ოლქში“.

დასასრულ მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ მოუწოდებთ მუშებს ყველგან გაერთიანდენ ჩინეთის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მუშების, განსაკუთრებით ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის მუშების მობილიზაცია, რაც შეიძლება უფრო ფართე ფრონტზე გომინდანის მკვლელების და გამცემელთა მხილების მიზნით, ჩინეთზე იმპერიალისტურ შეტევის წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშებმა უნდა მოითხოვონ ყველა უცხოელი ჯარების გაყვანა ჩინეთიდან და უნდა მოუწოდონ ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, რომ მათ არ ებრძოლონ ჩინეთის ხალხს! (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

კომუნისტებმა დაიკავეს ახალი ქალაქები

შანხაი, 2 მარტი. გაზეთ „შუნ-ბაო“-ს მიერ ხანკოუდან მიღებულ ცნობით, კომუნისტების რაზმებმა დაიკავეს ქალაქი ბაოცზუში უჩანის მახლობლად (ხუპეი).

„ისტერნ ტაიმს“-ის ცნობით ხანკოუდან, ქალაქ ფუნშუიტცუში და ხანჩუანში, 50 კილომეტრის მანძილზე ხანკოუს დასავლეთით, შექმნილია გლეხთა მთავრობა კომუნისტების ხელმძღვანელობით (ადს).

ბრძოლა კომუნისტებთან

შანხაი, 2 მარტი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გო-ტაიცმა ოფიციალური თხოვნით მიმართა საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოს, რომ გაძლიერებულ იქნას ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე.

გო-ტაიცმა ამავე დროს შანხაის კონსულებს მიმართა თხოვნით, რათა მუნიციპალიტეტს აღმოუჩინოს დახმარება ამ ბრძოლაში. ნანკინის მთავრობის ამ ნაბიჯების შედეგები უკვე იჩენს თავს. საერთაშორისო უბნის ქუჩები და ტრამვაის ვაგონები სავსეა პლაკატებით, რომლებშიაც სწერია, რომ ფულადი ჯილდო მიეცემა იმ პირთ, რომელნიც ხელისუფლებას გადასცემენ კომუნისტ-აგიტატორებს. პოლიციის ჯაშუშები ფეხზეა დამდგარი. პოლიციის აგენტები ჩინელ მოსახლეობას ართმევენ „შემოწირულებას“ „კომუნისტებთან ბრძოლის სპეციალური ფონდის“ სასარგებლოდ.

ბრიან-კელოგის ვაჭრობა

შეთანხმება შეუძლებელია

პარიზი, 2 მარტი. საფრანგეთის პრესა, ეხება რა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის კელოგის უკანასკნელ ნოტას ხელშეკრულობის დადების შესახებ, ომის აკრძალავად, აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ბრიანისა და კელოგის თვალსაზრისის შეთანხმება. მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, რომ დიპლომატიური მიმოწერა ამ საკითხზე უნდა შესწყდეს. მემარჯვენე გაზეთები ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება შეიძლება გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ბრიანისა და კელოგის შეხედულებანი შეურიგებელია;

ჰავასი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ კელოგმა პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

„ჰავანაში მიღებულ რეზოლიუციას ყოველგვარი თავდასხმითი ომზე ხელისაღების შესახებ, მხოლოდ სუსტი კავშირი აქვს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წინადადებებთან, რომელნიც მოითხოვენ საერთოდ ხელისაღებას ყოველგვარ ომზე.

შენიშვნა: კელოგი თავის უკანასკნელ ნოტაში ბრიანისადმი, ჰავანაში მიღებული რეზოლიუციის გამო სწერდა: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთა ლიგის წესდება შეადგენს ნამდვილ დაბრკოლებას შეერთებულ შტატებსა და ერთა ლიგის წევრთა შორის თანამშრომლობისათვის საერთოდ ომის მოსასპობად. ამის გამო მე საჭიროდ ვსცნობ მოგაგონოთ პან-ამერიკულ კონფერენციაზე ამას წინედ მიღებული რეზოლიუცია, რომელიც ყოველგვარი პირობების გარეშე გმობს ომს, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღს ამერიკის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. უნდა აღინიშნოს, რომ 21 სახელმწიფოდან, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ კონფერენციაზე, 17 იყო ერთა ლიგის წევრი. შენიშვნები ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა ერებს ეძლევა უფლება მიმართონ ომს, სპობს ომის აკრძალავი ხელშეკრულების ყოველგვარ ნამდვილ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში საფრანგეთი და შეერთებული შტატები, კაცობრიობისათვის სამწუხაროდ, იძულებული იქნებიან აღიარონ თავისი უძლურება“ (ადს).

საბჭოთა ნავთი იპყრობს ინგლისის ბაზარს

ლონდონი, 4 მარტი. საბჭოთა ნავთის გამოყენების საკითხი თანდათან ხდება ინგლისის მუნიციპალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხად. ბირმინგამმა, ლივერპულმა, ბირკენხედმა, ლიდსმა და სხვა ქალაქებმა უკვე გამოიტანეს გადაწყვეტილება საბჭოთა ნავთის შესყიდვის შესახებ. ეს გადაწყვეტილებები გამოტანილ იქნა მიუხედავად იმისა, რომ „დეილი მეილი“ არ სწყვეტს თავის კამპანიას, ამასთანავე საბჭოთა ნავთის შესყიდვას მრავალ ადგილებში მხარს უჭერენ მუნიციპალიტეტის კონსერვატორი დეპუტატებიც. (ადს)

ამხ. ინკპინი მაკდონალდის წინააღმდეგ

ლონდონი, 2 მარტი. ილფორდში მიტინგზე გამოვიდა კომპარტიის გენერალური მდივანი ინკპინი, რომელმაც შეეხო მაკდონალდის უკანასკნელ განცხადებებს „ზინოვიევის წერილის“ შესახებ.

„მაკდონალდმა,—სთქვა ინკპინმა,—უსირცხვილოდ განაცხადა, რომ ზინოვიევის წერილი ყალბია და რომ ეს კონსერვატიულმა მთავრობამ იცოდა. ნებას ვაძლევ თავს შევეკითხო მაკდონალდს: ზინოვიევის პირველი წერილი ყალბია, როგორ მოხდა, რომ რამზეი მაკდონალდი წამოეგო ამ ანკესზე? მაკდონალდმა თვითონ გასცა ბრძანება გამოექვეყნებიათ ეს წერილი, ეხლა კი აცხადებს, რომ ის ყალბია“ (ადს).

ინგლისის მემაღაროეთა სტიქიური გაფიცვები

ლონდონი, 2 მარტი. სტირლინგშირის გაფიცულ მემაღაროეთადმი თანაგრძნობის ნიშნად იმავე კომპანიის ხუთ მაღაროს მუშებმა ლანარკშირში გაფიცვა გამოაცხადეს. მემაღაროეთა მოძრაობა სტირლინგშირში და ლანარკშირში წარმოიშვა სტიქიურად მიუხედავად იმისა, რომ მათი რაიონების პროფკავშირების აღმასკომებმა უარი განაცხადეს გაფიცვის ხელმძღვანელობაზე. ლანარკშირის მემაღაროეთა კავშირის გენერალური მდივნის ალიმის სიტყვით, გაფიცვა მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მთელი რაიონი სავსეა პოლიციით, მაღაროების ადმინისტრაცია ყოველგვარი საშუალებით ცდილობს აიძულოს მუშები დაბრუნდენ სამუშაოზე (ადს).

აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ არაბეთში

ლონდონი, 2 მარტი. „დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტის ცნობით ჯიდში (გეჯასი) ინგლისელების დამსჯელმა ექსპედიციამ მუტაირების წინააღმდეგ დიდი მღელვარება გამოიწვია ვაჰაბიტის ტომებში. მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება (ადს).

ლონდონი, 2 მარტი. „დეილი ექსპრეს“-ის [illegible] კორესპონდენტის ცნობით, მაანიდან გაგზავნილია ინგლისელების შვიდი ტანკი და 25 აეროპლანი. ტანკებმა და აეროპლანებმა ოპერაციები უნდა აწარმოონ ვაჰაბიტების მუტაირების ტომის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული აქვს აკაბას (ნავთსადგური წითელ ზღვაზე) დაკავება. მომთაბარე ტომებს ალყა აქვთ შემორტყმული მაანისთვის, რომელიც ინგლისელებისათვის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს ჰედჟასის რკინისგზაზე. როგორც ცნობილია, აკაბას და მაანის ანექსია ინგლისელებმა მოახდინეს ამ ცოტა ხნის წინად (ადს).

მენშევიკების პროვოკაცია

სტოკჰოლმი, 2 მარტი. საბჭოთა კავშირის, ფინეთის და ნორვეგიის პროფგაერთიანებათა კონფერენციაზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად შესდგა კოპენჰაგენში, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად თათბირის შედეგები უნდა გამოქვეყნებულიყო მხოლოდ პროფგაერთიანებათა სათანადო ცენტრალურ ინსტანციების მიერ მათი განხილვის შემდეგ. მიუხედავათ ამისა, კონფერენციის მონაწილე ფინელმა სოციალ-დემოკრატმა ფაგერხოლმმა სტოკჰოლმში გავლის დროს „სოციალ-დემოკრატენ“-ში გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელშიაც ილაშქრებს საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წინააღმდეგ. ფაგერხოლმი ეხება კონფერენციაზე გამართულ მოლაპარაკების შინაარსს და სასტიკად აკრიტიკებს კონფერენციაზე წამოყენებულ პროექტს საბჭოთა კავშირის, ფინეთის და ნორვეგიის პროფკავშირებს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ. ამასთანავე ფაგერხოლმი იუწყება, რომ მან კონფერენციაზე შეიტანა წინადადება მიემართათ პროფინტერნისათვის წინადადებით თვითლიკვიდაციის შესახებ, რათა მასში შემავალ პროფგაერთიანებებს შეეძლოთ ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლა (ადს).

საფრანგეთის მუშების ბრძოლა

ფრანგი მუშები—საბჭ. კავშირის სადარაჯოზე

პარიზი, 2 მარტი. პარიზის მშენებელ მუშათა უნიტარულმა (რევოლიუციონურმა) ფედერაციამ მასიური დემონსტრაციები და მიტინგები მოაწყო, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა შეკავშირებული მუშების 90 პროცენტმა.

მშენებელ მუშათა სამმა მიტინგმა, რომელზედაც გამოვიდნენ შრომის უნიტარული [illegible] მიიღო რეზოლიუციები, რომლებშიაც მუშები აცხადებენ, რომ მზად არიან იბრძოლონ სამუშაო ხელფასისა და 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად და მწარმოებელთა შეტევის წინააღმდეგ მუშები აცხადებენ, რომ მთელი ძალღონით დაიცავენ საბჭოთა კავშირს. მიტინგებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს (ადს).

მეტყავეთა ლოკაუტი

პარიზი, 2 მარტი. მაზელის (ლიონის მახლობლად) ტყავის წარმოებათა მუშები გაიფიცნენ 24 თებერვალს. ამიტომ მწარმოებლებმა გამოაცხადეს ლოკაუტი, რომელიც უკვე ეხება 2.000 მუშას (ადს).

რევოლიუციონურ პროფკავშირთა გამარჯვება

პარიზი, 2 მარტი. ფირმა ვენდელ-მეცის ქვანახშირის მაღაროების ურთიერთდამხმარე სალაროს დელეგატების არჩევნებში შრომის უნიტარულმა ფედერაციამ 50 კანდიდატიდან გაიყვანა [illegible] კანდიდატი.

„ლიუმანიტე“, უკეთებს რა კომენტარიებს ამ გამარჯვებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეფორმ. პროფკავშირებს დღემდე ურთიერთდამხმარე სალაროში არც ერთი წარმომადგენელი არ ყოლიათ (ადს).

პარიზის მელითონეთა მოთხოვნილება

პარიზი, 2 მარტი. პარიზის საავტომობილო და საავიაციო ქარხნების მუშათა პროფკავშირმა წარუდგინა ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის მწარმოებლებს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ 50 სანტიმით (დაახლოებით 4 კაპ.) საათში, მუშებისათვის წელიწადში 21 დღის შვებულების მიცემის და 44 საათის სამუშაო კვირის დაწესების შესახებ. (ადს).

საბჭოთა ხე ტყის ექსპორტი

ლენინგრადი, 3 მარტი. შეერთებულ შტატებიდან ჩამოვიდა ხე-ტყით მოვაჭრე მსხვილ ფირმის წარმომადგენელი **მენსერი**. მენსერმა განაცხადა, რომ ამერიკაში არ არის ზოგიერთი მაგარი ჯიშის ხე, რომელიც ბლომად მოიპოვება საბჭოთა კავშირში, მაგალითად—კავკასიური წაბლი, მსხალი და სხვ.. მაგარი ჯიშის ხეზე დიდი მოთხოვნილება არსებობს. მენსერის ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირში ამ ჯიშების შესყიდვის შესაძლებლობის გამორკვევა (ადს).

ნავთის მრეწველობის წარმოებათა გამოკვლევა

მოსკოვი, 3 მარტი. „გლავმეტალის“ სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია აზნეფტის და გროზნეფტის წარმოებანი, აღნიშნა, რომ ამ წარმოებათა გაფართოება დღემდე სწარმოებდა სტიქიურად. ახალ წარმოებათა მოწყობა აზნეფტის მრეწველობაში სწარმოებდა ლითონის მრეწველობის ტრესტების წარმოებებთან შეუთანხმებლად. ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი აქვს ცალკე წარმოებათა პარალელურ განვითარებას. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ლითონის მრეწველობის ქარხნები არ იყო სავსებით დატვირთული და ჯეროვნად გამოყენებული. კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ ნავთის მრეწველობის წარმოებათა მოქმედება მოწესრიგებულ იქნას „გლავმეტალის“ მიერ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. პიატაკოვის გამგზავრება პარიზში

მოსკოვი, 3 მარტი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. პიატაკოვი გაემგზავრა პარიზში (ადს).

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის გაერთიანებული სხდომა

მოსკოვი, 3 მარტი. 3 მარტს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმების გაერთიანებულ სხდომაზე ამხ. კუიბიშევი გამოვიდა მოხსენებით მრეწველობის კაპიტალურ აღმშენებლობის და წარმოების რაციონალიზაციის შესახებ. მოხსენების ძირითადი დებულებები: კაპიტალურ აღმშენებლობის სწორად მოწყობისა და გატარებისათვის საჭიროა კაპიტალური სამუშაოთა გეგმების თავის დროზე შედგენა, სასტიკ პასუხისმგებლობის დაწესება აღმშენებლობისათვის, აღმშენებლობის პროექტების რაც შეიძლება გულდასმით და რაციონალურად შედგენა, კაპიტალურ აღმშენებლობის საკითხებისადმი ჩვენი სამეცნიერო-ტეხნიკურ ორგანიზაციების რაც შეიძლება ფართოდ მიზიდვა და ამ საკითხების გარშემო ყველა ჩვენი საზოგადოებრივი და პროფკავშირთა ორგანიზაციების ყურადღების მობილიზაცია, რამდენიმე [illegible] ხასიათის ამოცანებთან ერთად მრეწველობის წინაშე ამჟამად მთელ სიმწვავით სდგას მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა. ამ ამოცანებიდან ცენტრალურია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. თვითღირებულების შემცირების ძირითად მეთოდს წარმოადგენს წარმოების რაციონალიზაცია, რომელიც უნდა სწარმოებდეს სამი მიმართულებით: ახალი აღმშენებლობა, არსებულ წარმოებათა გადაკეთება და მუშა-ძალის საუკეთესო გამოყენება. უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სპეციალიზაცია და სტანდარტიზაცია, რაც საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ კონვეიერის სისტემაზე. დასასრულ ამხ. კუიბიშევმა გამოსთქვა რწმენა, რომ სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების საერთო მუშაობით, მუშათა ფართო მასების შემოქმედებითი მონაწილეობით ჩვენ უახლოეს მომავალში მივიღებთ ისეთ ეფექტებს, რომლების ეხლა წარმოდგენაც კი ძნელია. მოკლე თანამოხსენებით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ტოლსტოპიატოვი, რომელიც უმთავრესად შეჩერდა კაპიტალურ აღმშენებლობის და წარმოების რაციონალიზაციის პრაქტიკულ მხარეზე. კამათში ორატორები ეხებოდნენ კაპიტალურ აღმშენებლობის და წარმოების რაციონალიზაციის დეფექტებს, როგორც გეგმიანი მოწესრიგების მხრივ, ისე პრაქტიკულ მუშაობის დარგში. ამხ. ტომსკიმ ჯამი გაუკეთა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმების საერთო სხდომის შედეგებს და აღნიშნა, რომ ჩვენს ტეხნიკურ პერსონალს არა აქვს საკმაო კვალიფიკაცია იმ დიდ მუშაობისათვის, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. ჩვენ გულახდილად უნდა გამოვტყდეთ; რომ იოლად ვერ გავალთ, თუ საზღვარგარეთიდან არ მოვიწვიეთ ინჟინერები და ტეხნიკოსები. მუშფაკებში და ტეხნიკუმში ემზადებიან ინჟინრებისა და ტეხნიკოსების ახალი კადრები მუშათა წრიდან. ამ კადრებს ჩვენ უნდა ვასწავლიდეთ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამხ. ტომსკიმ გამოსთქვა რწმენა რომ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს შემდეგში საერთო სხდომებზე ადგილობრივი მუშაკები მოიტანენ მეტ ფაქტებს პრაქტიკულ მუშაობის დასასურათებლად.

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვის შემდეგ გაერთიანებული სხდომა საფუძვლად ღებულობს რეზოლიუციას, რომელიც შეიცავს ამხ. კუიბიშევის მოხსენების თეზისების ძირითად დებულებებს. რეზოლიუციის საბოლოო რედაქციის შემუშავება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას (ადს).

საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 3 მარტი. ჰავასის ცნობით, მთავრობამ დადგინა საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს 22 აპრილისათვის (ადს).

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 3 მარტი. 2 მარტს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმმა მოისმინა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის მდივან ამხ. ხითაროვის მოხსენება ჩინეთის კომკავშირის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩინეთის კომკავშირი უმთავრესად წარმოადგენს მუშურ-გლეხურ ორგანიზაციას და განაცხადა, რომ ყველა უკანასკნელ აჯანყებებში და მთელ სამოქალაქო ომში კომკავშირი იღებს უაღრესად აქტიურ, ზოგჯერ ხელმძღვანელ მონაწილეობას. მთელი თავისი შემდგომი მუშაობა კომკავშირმა უნდა ააგოს ჩინეთის რევოლიუციის მდგომარეობის იმ შეფასების საფუძველზე, რომელიც მოცემულია კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმის მიერ. ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს უფლება აქვს იამაყოს თავისი ჩინეთის სექციით. რევოლიუციონურ ბრძოლის ქურაში ჩინეთში იქმნება მშრომელ ახალგაზრდობის ნამდვილი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს ჩინელ მუშებისა და გლეხების დიდ რევოლიუციაში. კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა დაავალა კომისიას რეზოლიუციის გამომუშავება მოხსენების შესახებ (ადს).

ჰამბურგის პარლამენტის პრეზიდიუმში

ბერლინი, 3 მარტი. ჰამბურგის ახალი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალ-დემოკრატი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ—კომუნისტი, მეორე მოადგილედ —სახალხო პარტიის წარმომადგენელი. პარლამენტის მუდმივი კომისიის პრეზიდიუმში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 8 ადგილი, კომუნისტებმა, დემოკრატებმა, ნაციონალისტებმა და სახალხო პარტიამ—სამ სამი ადგილი. (ადს).

სამხედრო მინისტრი სდუმს

ლონდონი, 2 მარტი. კონსერვატორმა ვიდსონმა სამხედრო მინისტრს სთხოვა ეცნობებინა თემთა პალატისათვის „მხედართა დაახლოებითი რიცხვი, რამდენიც რუსეთს შეუძლია გამოიყვანოს ბრძოლის ველზე ომის დროს და აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილების და რეგულიარული ცხენოსანი რაზმების რაოდენობა“. სამხედრო მინისტრმა ივენსმა უპასუხა, რომ იგი „მიზანშეწონილად“ არ სთვლის აცნობოს პალატას თუნდაც დაახლოებითი ციფრები (ადს).

ტანაკას წინააღმდეგ

ტოკიო, 2 მარტი, ჩამოვიდა მემარცხენე მუშურ-გლეხური პარტიის თავმჯდომარე ოგიამა. ოგიამას სადგურზე დახვდა პარტიის წევრთა დიდი რაოდენობა. პოლიციის გაძლიერებულმა რაზმმა რამოდენიმე კაცი დააპატიმრა. დემონსტრაცია გაგრძელდა ქუჩაშიაც, სადაც ვრცელდებოდა ფურცლები ლოზუნგებით: „ბრძოლა ტანაკას რეაქციონური მთავრობის წინააღმდეგ!“ „გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!“ (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესის შემდეგ

ვარშავა, 3 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით წარსულ კვირაში დაიწყო დასავლეთ ბელორუსიის კომუნისტურ პარტიის ცალკე ორგანიზაციების ლიკვიდაცია, ბელორუსთა გრომადის ვილნოს პროცესთან დაკავშირებით. მოხდა მთელი რიგი ჩხრეკა, დაპატიმრებულია რამოდენიმე ათეული კაცი, მათ შორის „ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების“ საარჩევნო სიების რამოდენიმე კანდიდატი, საბჭოების წევრები, რამოდენიმე ცნობილი მოღვაწე და ბელორუსთა სკოლის საზოგადოების ხელმძღვანელები (ადს).

60.000 მუშის ლოკაუტი

ბერლინი, 3 მარტი. ლითონის მრეწველთა ბერლინის კავშირმა გამოაცხადა, რომ დღეს ხურავს სიმენს-შუკერტის, სიმენს-ჰალსკეს, ბერგმან-ელექტროვერკეს და მიქსგენსტვერკეს ფირმების წარმოებებს, ორშაბათს კი დოიჩე ტელეფონვერკეს და ლორენცის ფირმების წარმოებებს. ფორმალური მიზეზი ლოკაუტის გამოცხადებისათვის იყო ის, რომ უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება მწარმოებლებსა და ხელსაწყოებზე მომუშავეთა შორის, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მოწესრიგებას მთლიანი ტარიფით. ლოკაუტი ეხება 60,000 მუშას. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 3 მარტი. 3 მარტს შესდგა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის უკანასკნელი სხდომა. პლენუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მორიგი მე-8 ყრილობა მოიწვიოს დეკემბრის პირველ ნახევარში.

ამხ. ტომსკიმ აღნიშნა, რომ პროფკავშირების წევრთა რიცხვი ამ დროისათვის მიაღწევს 11 მილიონამდე. თუ წარმომადგენლების ძველ ნორმებს დავსტოვებთ, ყრილობა ძალიან მრავალრიცხოვანი იქნება. წარმომადგენლობის ნორმები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ყრილობას დაესწროს არა უმეტეს 1.000 დელეგატისა.

პლენუმმა დაადგინა წინადადება მისცეს კავშირის ადგილობრივ ორგანოებს განიხილონ საკითხი წარმომადგენლობის ნორმების შესახებ და თავისი მოსაზრებანი წარმოადგინონ არა უგვიანეს 25 მარტისა. პლენუმმა მოიწონა აგრეთვე წინადადება, რომ დელეგატების განსაზღვრული რაოდენობა ყრილობაზე გაიგზავნოს უშუალოდ წარმოებებიდან. პლენუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. [illegible] და რადჩენკო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან. მათ მაგივრად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. გინზბურგი და აკულოვი. ამხ. ამოსოვი (რკინისგზელთა კავშირის ცეკას თავმჯდომარე) არჩეულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრათ.

პლენუმმა აირჩია დელეგაცია პროფინტერნის მე-4 კონგრესზე დასასწრებლად. დელეგაციაში შედის 80 კაცი, რომელთა შორის არიან ამხ. ტომსკი, დოგადოვი, ანდრეევი, მელნიჩანსკი, ლოზოვსკი, ლეპსე, შმიდტი, იაგლომი და სხ.

ამხ. ტომსკის სიტყვა

პლენუმის დახურვის დროს ამხ. ტომსკიმ სთქვა:

„მე მინდა პლენუმის წევრთა ყურადღება მივაქციო ზოგიერთ საკითხებზე, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომი მუშაობისათვის. ჩვენ უფრო მიზანშეწონილ ნიადაგზე უნდა დავაყენოთ ახალი ძალების დაწინაურება პროფმუშაობაში. დღემდე ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა მუშაკებს აწინაურებდენ ისეთ სამუშაოზე, რომლისთვისაც ისინი არ იყვნენ მომზადებული. აუცილებელია ნიჭიერი ახალგაზრდა მუშაკები გაიგზავნონ სასწავლებლად, და მიეცეთ სრული შესაძლებლობა წარმატებით დაამთავრონ სწავლის კურსი. ჩვენ ამისათვის ფული არ უნდა დავიშუროთ“.

შემდეგ ამხ. ტომსკი ამბობს, რომ აუცილებელია პროფკავშირის წევრთა რიგებში განმტკიცდეს დემოკრატია და დისციპლინა. აბა, მაგალითად, ჩვენს კოლექტიურ ხელშეკრულებებს დამტკიცებამდე ფართოდ და ყოველმხრივ განიხილავენ ხოლმე მუშათა მრავალრიცხოვან კრებაზე. მაგრამ როგორც კი დამტკიცდება ეს ხელშეკრულებანი, იგი სისწორით უნდა იქნას შესრულებული. კოლექტიურ ხელშეკრულებას ხელს აწერენ არა ამა თუ იმ მუშის სახელით, არამედ მთელი მუშათა მასის სახელით. აუცილებელია მასებში აღვზარდოთ პატივისცემა კავშირისა და კავშირის ორგანოებისადმი. დღის წესრიგში უნდა დაისვას მუშაობა მუშათა მასების აღზრდისათვის, მათში დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პლენუმის რეზოლიუცია

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მიღებულ რეზოლიუციაში აუცილებლად სცნო ბოლო მოეღოს საწარმოო თათბირთა შეცვლას საწარმოო კომისიებით, ვინაიდან საწარმოო თათბირების წინაშე დასმული საკითხები ვერ გადაწყდება მხოლოდ ვიწრო წრეში. პლენუმმა მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდები გამოყენებულ უნდა იქნას საბინაო მშენებლობისათვისაც. კოოპერაციისათვის თანხების გადაცემა ამ ფონდებიდან შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კავშირის მაღლა მდგომი ორგანოების თანხმობით. მშენებლობის გაიაფება და გაუმჯობესება, პლენუმის აზრით, უნდა სწარმოებდეს იმ მიმართულებით, რომ კიდევ უფრო გადიდდეს მშენებლობა და ბინები [illegible] მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობებს.

პლენუმი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ ურთიერთდამხმარე სალაროებმა კრედიტები მიიღონ ბანკებში, კოოპერაციაში და სამეურნ. ორგანოებისაგან და წინადადებას აძლევს უახლოეს ხანში, არა უგვიანეს 6 თვისა, მოახდინონ ასეთი დავალიანების საბოლოო ლიკვიდაცია.

პლენუმმა კავშირის ორგანოებს დაავალა გააძლიერონ სარევიზიო კომისიების მუშაობა და მათი პასუხისმგებლობა გაფლანგვისათვის. (ადს).

დელეგატები პროფინტერნის კონგრესზე

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის მიერ პროფინტერნის კონგრესზე დასასწრებლად არჩეულ დელეგატებს შორის არიან: ამხ. ყურულაშვილი საქართველოდან, კუზნეცოვი—სომხეთიდან, [illegible] მამედი—აზერბეიჯანიდან და იაკოვლევი—ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოდან (ადს).

პურის დამზადების კამპანია

პურის დამზადების წინასწარი შედეგები თებერვალში

მოსკოვი, 3 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. **მიქოიანმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„გაკეთებულია პურის დამზადების წინასწარი ჯამი ა. წ. თებერვლისათვის. ამ წინასწარი ცნობების თანახმად თებერვლის განმავლობაში დამზადებულ იქნა 118.000.000 ფუთი პური. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრი სარეკორდოა ერთი თვისათვის. 1926 წლის ნოემბერშიაც კი, ე. ი. პურის გაძლიერებულ დამზადების პერიოდში დამზადებულ იქნა მხოლოდ 101.500.000 ფუთი. ჩვენ იძულებული ვიყავით პურის დამზადების თებერვლის გეგმა შეგვედგინა იმ ანგარიშით, რომ შევსებული ყოფილიყო მეორე კვარტალში დაკლებული პურის რაოდენობა. მიუხედავად ამისა, პურის დამზადების თებერვლის გეგმა თითქმის მთლიანად იქნა შესრულებული, მაშინ, როცა იანვრის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 88,5 პროცენტით, ხოლო დეკემბრისა —მხოლოდ ნახევრობით. მესამე კვარტალის ორი თვის განმავლობაში იანვარ [illegible] ში დამზადებული პურის რაოდენობა [illegible] კვარტალის გეგმის [illegible] ამ ორი თვის განმავლობაში ჩვენ [illegible] 200 მილ. ფუთზე მეტი პური ე. ი. [illegible] ტა, ვინემ თვითეულ წინანდელ [illegible]. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პურის დამზადების ტემპი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ თებერვალში, შევინარჩუნოთ მარტშიაც (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირის მე-9 ყრილობა

მეცხრე სხდომა

ამხ. ჯავახიძის საბოლოო სიტყვა

„ამხანაგებო, კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მთელ რიგ პრაქტიკულ ხასიათის საკითხებს. პრინციპიალურად კი არც ერთი საკითხი არ ყოფილა დასმული. შეიძლება, რომ გორც აქ ერთმა ამხანაგმა აღნიშნა, ჩემი მოხსენება 500 კაცში რამოდენიმეს არ აკმაყოფილებდეს, რადგან მოხსენებაში პრინციპიალურად არ იყო ყველა დარგის საკითხი დასმული, ჩვენ აქ ვაძლევთ საერთო ხაზის პრინციპებს, პრაქტიკას. შემდეგში ჩვენ მოგვიხდება მთელი რიგი სპეციალური თათბირების ჩატარება. დღევანდელი მოხსენებით საკითხი მთლიანად არ ამოიწურება. ჩვენ უნდა ჩავატაროთ კამპანიები სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის, მანქანების, კინო-რადიოების და სხვა მთელი რიგი საკითხების შესახებ. ჩემი მოხსენება აგებული იყო იმ საფუძვლებზე, რომელიც მოცემული იყო ჩვენი პარტიისაგან.

ზოგიერთი ამხანაგები გამოვიდნენ აქ და ილაპარაკეს გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების შესახებ. მე მგონია, რომ მათ გადააჭარბეს. იყო ნათქვამი, რომ გლეხ. ახ. სკოლები თავის დანიშნულებას ვერ ასრულებენო. ეს არ არის მართალი. დღეს გლეხურ ახ. სკოლებს ყველაზე უფრო კარგადაა დაყენებული, რაც მიზანშეწონილი არის მეურნეობის განვითარებისათვის. ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. არ იქნება სწორი, რომ ყრილობამ ასეთი შეფასება მისცეს ამ სკოლებს.

აქ ერთმა ამხანაგმა განაცხადა, რომ ამხ. ჯავახიძემ სთქვა, თითქოს სასოფლო-სამეურნეო სკოლები უნდა გადავაკეთოთ და 9 წლედებთან უნდა ჩამოვაყალიბოთ სახელოსნოებიო. ამხანაგებო! ეს ასე არ არის. ჩვენ უნდა მოვახდინოთ 9-წლედების რეორგანიზაცია იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც გვაქვს. საერთოდ 9-წლედების საქმე დაყენებულ უნდა იქნეს გეგმიანად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელოსნოები მოვაწყოთ. ეს ერთიც და მეორეც ხელს არ შეუშლის რეორგანიზაციის საქმეს. და თუ ჩვენ გვინდა რეორგანიზაცია, ის მართლაც უნდა მოვახდინოთ, ისე როგორც საჭიროა. ერთ-ერთი ელემენტი ამ რეორგანიზაციის არის სხვადასხვა სახელოსნოების მოწყობა და დაარსება. ეს ჩვენ დიდ ხელს შეგვიწყობს მუშაობის ყოველ დარგში გაძლიერებისათვის.

აქ გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ, რომ თავის დროზე კრედიტი არ ნაწილდებაო. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. ასეთი არაპროლეტარული საქმიანობა ძირფესვიანად აღმოფხვრილი უნდა იქნეს. საჭიროა ამის წინააღმდეგ თვით კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა, პარტიის წევრებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამის საწინააღმდეგოთ.

ეხლა შევეხები სახალხო მამულებს. სახალხო მამულებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მისი კულტურული სახით დამუშავება ჩვენ უფრო უნდა გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ.

გარდა ამისა, კამათში გამოსული ამხანაგები შეეხენ ჩვენი მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებს და როგორც ზემოთ ავღნიშნე, პრინციპიალურად საკითხი არ დასმულა.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ სოფლად მუშაობის საკითხები მეტად რთული საკითხებია, მაგრამ ის ენტუზიაზმი, რომელიც ეტყობა ჩვენს დელეგატებს ყრილობაზე, მოწმობს იმას, რომ ჩვენ შევსძლებთ უდიდესი ნაბიჯის გადადგმას სოფლად მუშაობის საქმეში.

ამხ. გ. ჯავახიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სოფლად მუშაობის საკითხის რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 21 კაცის შემადგენლობით: ჯავახიძე, კუპრაძე, ჩაკვეტაძე, ჩახვაძე, გელაშვილი, ბესტაევი. ფილია, სიხარულიძე, ჩიხლაძე; წოფურია, ცერცვაძე, თოდუა, ჩაჩიბაია, კობახიძე, ყურაშვილი, ამბარიანი, გასანოვი, ფილი-ზადე, დადიანი, კვერნაძე, გერშოვა, ვარლამოვი და ხელაძე.

მეათე სხდომა

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება

ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ

„ამხანაგებო,—ამბობს ამხ. ორახელაშვილი—ჩვენი ამოცანა ბავშვთა შორის მუშაობის დარგში განისაზღვრება იმ საერთო ამოცანებით, რომელიც დასახული აქვს პარტიას და ხელისუფლებას სოციალისტურ მშენებლობის სფეროში; ამ მშენებლობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს კულტურული რევოლიუცია. არავითარ კულტურულ რევოლიუციის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი, თუ ჩვენ სათანადოთ არ მოვამზადებთ მომავალ თაობას. ეს დებულება ყველასათვის ნათელია; ამხანაგი ლენინი ამის შესახებ ამბობდა: „ყველაზე უფრო მოწინავე რევოლიუცია მთელ მსოფლიოში მოხდა ისეთ ქვეყნებში, სადაც კულტურული წინაპირობანი სხვა ქვეყნებთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებია“ ამხ. ლენინს კარგათ ესმოდა, რომ სოციალისტურ და სამეურნეო მშენებლობასთან ერთად, საჭირო იყო კიდევ კულტურული რევოლიუცია.

უნდა ითქვას, რომ კულტურის შექმნა და კულტურულ რევოლიუციის განხორციელება შეუძლებელია, თუ ამისათვის არ მომზადდა სათანადო ნიადაგი. ამისთვის აუცილებელია თვისებები: სიმტკიცე, გამძლეობა, რევოლიუციონერობა, ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა თავდასხმა და მოგერიება, გარკვევა, თუ ვინ არის შენი კლასიური მტერი და მოყვარე. ეს თვისებები შეადგენენ კულტურის ელემენტებს, და როდესაც ჩვენს წინაშე ვაყენებთ ამოცანას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ ჩვენი ნორჩი თაობა,—ჩვენი ამოცანა განისაზღვრება ერთის მხრივ მატერ. კულტურის შინაარსით, ჩვენი ტეხნიკის უმაღლეს საფეხურამდე განვითარებით. ეს ნიშნავს ქალაქისა და სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას და ნორჩი თაობის მომზადებას იმისათვის, რომ უკანასკნელს შეეძლოს ამ საწარმოო ძალთა განვითარება და გაღრმავება, რომ ნორჩი თაობა მოვაქციოთ ისეთ ფარგლებში, რომ მიიღოს აღმზრდელობითი და განმანათლებელი საზრდო, რომ ამ ნორჩი თაობიდან აღიზარდოს ნამდვილი მებრძოლები კომუნიზმისათვის და უკეთეს მომავლისათვის.

აი ამ ორი ამოცანით განისაზღვრება ბავშვთა მოსახლეობის შორის მუშაობა და ორგანიზაციული და იდეოლოგიური ზეგავლენის მთელი სისტემა ბავშვებზე უნდა წარიმართოს იმ გვარად, რომ ჩვენ განვავითაროთ ის ამ მიმართულებით.

მეორე მხრივ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველა ბავშვებს არა აქვს საშუალება მიიღოს სათანადო აღზრდა, რომ ეს მხოლოდ შეძლებულ კლასის ბავშვების კუთვნილებას შეადგენს.

ჩვენს ქვეყანაში კი პარტიამ და ხელისუფლებამ უშუალოთ უნდა მოკიდოს ხელი და იზრუნოს მთელ ბავშვთა მოსახლეობაზე. როდესაც ასე მიუდგებით საკითხს ჩვენთვის ნათელი გახდება ის, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა მარტო იმ ბავშვებზე, რომლებიც მოთავსებულნი არიან სხვადასხვა დაწესებულებებში, არამედ იმ ბავშვებზედაც, რომლებიც იმყოფებიან ქუჩებში და ოჯახებში და რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ აღმზრდელობითი ზეგავლენას.

მეორე მხრივ ჩვენს საბჭოთა კავშირში არის უთვისტომო ბავშვების საგრძნობი რიცხვი; ეს ბავშვები ქალაქიდან ქალაქში, რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში უგზოუკვლოდ დაეხეტებიან და არა აქვთ არავითარი თავშესაფარი. აი სწორეთ ამ მოსაზრებით ჩვენს პარტიას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია, თავის თავზე აიღოს უშუალო მზრუნველობა ბავშვთა მთელ მოსახლეობაზე. მუშაობა უნდა ვაწარმოოთ იმ ბავშვებთან, რომლებიც არიან სკოლებში, სახლებში, იმ ბავშვებთან, რომლებიც გაერთიანებული არიან პიონერ-ორგანიზაციის და კლუბების გარშემო და აგრეთვე იმ ბავშვებთან, რომლებიც გზა აბნეული დაეხეტებიან ჩვენი დიდი ქალაქების ქუჩებზე.

უპატრონო ბავშვთა შორის მუშაობა და ამ უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მთავარი ამოცანაა. ამ საკითხის მოგვარების საქმეში პარტიის საუკეთესო თანაშემწეს წარმოადგენს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი. კომკავშირი უშუალოთ დაინტერესებულია ბავშვთა კომუნისტურ აღზრდით, იმიტომ, რომ ის ავსებს თავის რიგებს ამ ნორჩი თაობით, რომ მოუმზადოს პარტიას კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი. მეორე მხრივ კომკავშირს აწევს უაღრესად სერიოზული ამოცანა, სახელდობრ კულტურული მუშაობის წარმოება სოფლად და ქალაქად. ამ კულტურულ მუშაობას კომკავშირი აწარმოებს ერთის მხრივ კომკავშირული ასაკის ახალგაზრდობაში და მეორეს მხრივ კომკავშირმა ეს მუშაობა უნდა აწარმოოს ბავშვთა მოსახლეობის შორის და ამრიგათ მოამზადოს ნორჩი თაობიდან ახალი კადრები კომკავშირისათვის.

კომკავშირს ნორჩი თაობის აღზრდის საქმეში მეტი დახმარების გაწევა შეუძლია პარტიისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე საზოგადოებას.

თავის მხრივ რა უნდა ქონდეს კომკავშირს მიზნათ დასახული, როდესაც ის მიდის ბავშვთა შორის მუშაობის საწარმოებლად. პირველ ყოვლისა, მან უნდა იცოდეს ის, რომ ბავშვთა შორის მუშაობა და ამ მუშაობის სწორი გზით წარმართვა შეუძლებელია, თუ ის კარგათ არ გაიცნობს და შეისწავლის თვით ბავშვთა მოსახლეობას. საჭიროა იცოდეს მან, თუ რა მოთხოვნილებები აქვს ამა თუ იმ ასაკის ბავშვს. უნდა იცოდეს მან, შეიძლება თუ არა სამი წლის ბავშვს პოლიტიკაზე დაუწყოთ ლაპარაკი, უნდა ვიცოდეთ, თუ რა ფორმებში მივაწოდოთ პოლიტიკა 14 წლის ასაკის მოზარდს, როგორ მიუდგეთ მას, გავიგოთ თუ რითია ის დაინტერესებული. და ყველაფერი ეს რომ შევისწავლოთ უნდა ახლოს მიუდგეთ მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

ამასთან დაკავშირებით ამხანაგებო თქვენ წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: თქვენ უნდა შეისწავლოთ პედაგოგიკა, პედალოგია, ფსიქოლოგია, თქვენ უნდა შეიძინოთ სათანადო ცოდნა ამ მიმართულებით, ვინაიდან ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს კომკავშირელი მასწავლებლები. აგრეთვე ძალიან ცოტაა ისეთი კომკავშირელები, რომელთაც სურდეს პრაქტიკული მუშაობა პედაგოგიურ დაწესებულებებში. საჭიროა მთელი ყურადღება მივმართოთ იქითკენ, რომ ჩვენმა კომკავშირლებმა მიიღონ აღზრდა და განათლება იმ გვარად, რომ მათ შესძლონ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ ბავშვთა მოსახლეობა.

ჩვენ უნდა დავაყენოთ ჩვენი მუშაობა იმ გვარათ, რომ ნორჩი თაობა მოექცეს მთლიანათ კომპარტიისა და კომკავშირულ ორგანიზაციების კავშირის გავლენის ქვეშ. ამ ამოცანის დაძლევას ჩვენ შევძლებთ მაშინ, თუ სათანადოთ მოვაწყობთ ბავშვთა გონივრულ დასვენების საქმეს.

თქვენ კარგათ იცით თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კინოს ბავშვთა მოსახლეობაზე. კინოში ბავშვები დაიარებიან დიდის გატაცებით, მაგრამ კინო ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ჩვენში კომუნისტური აღმზრდელობის კერას, ვინაიდან ამ კინოებში უჩვენებენ ტრიუკებით სავსე სურათებს, მოკლებულს ყოველგვარ აღმზრდელობითი მნიშვნელობას. ეს კინო-ფილმები არ იძლევიან ბავშვთათვის არავითარ იდეოლოგიურ საზრდოს და მხოლოდ რყვნიან ჩვენ მომავალ თაობას. ჩვენ, რომლებიც ვაწარმოებთ კულტურულ მუშაობას უნდა ვიზრუნოთ ამ საკითხის მოგვარებაზე, რომ კინო გადავაქციოთ კულტურული აღზრდის კერათ.

ამიტომ ჩვენი ძირითადი ამოცანაა ბავშვთა შორის მუშაობის დარგში გონივრული დასვენების კერის შექმნა, შექმნა კარგი კინო-ფილმების, მოწყობა წიგნთსაცავ-სამკითხველოების. ეს უნდა მოხდეს თქვენი თაოსნობით და თქვენი ენერგიული მუშაობით.

რაც შეეხება საბავშო ლიტერატურას ამ სფეროშიაც ჩვენი მუშაობა მოიკოჭლებს, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ საბავშო ლიტერატურის გამოცემას.

სამაზრო ცენტრებში შესაძლებელია მოძრავ წიგნთსაცავების მოწყობა, რაც ზოგიერთ მაზრებში ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი. მაგალითად: აჭარისტანის დედა-ქალაქ ბათომში, არ არის არც ერთი ბიბლიოთეკა. ჩემი აზრით, თუ კომკავშირი ამ საქმეში თავის-თავზე აიღებს ინიციატივას და ჩვენც დავეხმარებით, შევძლებთ ბიბლიოთეკების მოწყობას, სადაც მოზარდი თაობა მიიღებს საჭირო საზრდოს.

საბავშო ბაღები ჯერ-ჯერობით არ ითვლებიან ბავშთა აღმზრდელობის მსხვილ ფაქტორებათ, ვინაიდან მათში ჩაბმულია ბავშვთა რაოდენობის მხოლოდ 4 პროც.

ეხლა მე შევეხები უპატრონო ბავშვებს, რომელთა რიცხვი რევოლიუციის პირველ წლებთან შედარებით ნაკლებია. მათ შორის მუშაობა ჩვენ უნდა მოვაწყოთ ქუჩაში, ვინაიდან საბავშო ბაღებიდან და თავშესაფარებიდან ისინი გარბიან. ჩვენ უნდა მთავარი ყურადღება მივაქციოთ ასეთ ბავშვებს, დავიფაროთ და დავიცვათ ისინი ექსპლოატაციისაგან, რომელსაც ადგილი აქვს მეშჩანურ ოჯახებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ამ ბავშვების ჯანმრთელობის საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ყველა უპატრონო ბავშვები, რომლებიც მოხვდნენ საბავშო ბაღებში და სახლებში არიან დაავადებულნი სხვადასხვა სოციალური სნეულებებით. კიდევ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენს ორგანიზაციაში ძალიან ნაკლებია ბავშვთა მოსახლეობის ქალთა ნაწილი. ამიტომ ჩვენი მომავალი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტად გავზარდოთ ჩვენს ორგანიზაციაში ქალთა პროცენტი.

საქ. კომპ. ც. საკონტროლო კომისიის პლენუმი

ამხ. დოლიძის და მარქაროვის საბოლოო სიტყვა

2 მარტს, პლენუმის საღამოს სხდომაზე, დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო (მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმა 1927-28 წ.) საბოლოო სიტყვები წარმოსთქვეს საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარმა ამხ. დოლიძემ და მ. და გ. ინსპექციის კოლეგიის წევრმა ამხ. მარქაროვმა.

ამხ. დოლიძის მოხსენებისა და ამხ. მარქაროვის თანამოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად პლენუმმა ამოირჩია კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. ამხ. დოლიძე, მარქაროვი, მირზაბეკიანი, ავთანდილოვი, ბახტაძე, ზანთარია, ბეკუზაროვი, ნიორაძე, გობეჯიშვილი, გოგიბერიძე, ლუგანსკი და ჯეჯელავა.

ამხ. გ. სტურუას მოხსენება

დღის წესრიგის მეორე საკითხის—„პარტკოლეგიის მუშაობის გეგმის“ შესახებ მოხსენება წაიკითხა საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ, რომელმაც ჯერ ინფორმაცია გააკეთა იმ პარტიული სასჯელის შესახებ, რომელიც კოლეგიამ მიუზღო სათანადო პირებს საქ. კომპარტიის მეხუთე ყრილობის დღიდან ბოლო მომენტამდე. სულ პარტკოლეგიამ ამ ხნის განმავლობაში გაარჩია საქ. კომპარტიის წევრებისა და კანდიდატების 358 საქმე; ამასთანავე, პარტიიდან გამოირიცხა 282 კაცი, შენიშვნა მიეცა 47 კაცს. 282 კაციდან 220 გამორიცხულია ოპოზიციონური მუშაობისათვის; მათ შორის 134 მოსამსახურეა, 68 მუშა და 18 გლეხი. თბილისის ორგანიზაციიდან გამოირიცხა 149 კაცი, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებში 71 კაცი. პარტკოლეგია მტკიცედ ახორციელებს მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებას ოპოზიციონერ-ტროცკისტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდის შესახებ.

შემდეგ ამხ. სტურუა შეეხო პარტკოლეგიის მუშაობის გეგმას 1928 წლის განმავლობაში; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტკოლეგიის საქმიანობის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს პარტიის მთლიანობის დაცვა. პარტკოლეგიის ამოცანა ის არის, რომ შეაჯგუფოს პარტიის ღონისძიებანი და ხელი შეუწყოს პარტიის ამოცანების განხორციელებას. პარტკოლეგიის მოწოდებას შეადგენს პარტიის გამაგრება სოციალური შემადგენლობის მხრით და მისი გაწმენდა არაკომუნისტური და მავნე ელემენტებისაგან. პარტკოლეგიის მუშაობის გეგმა უპირველესად შემდეგ ამოცანებში გამოიხატება:

1. მჭიდრო კავშირის გაძლიერება პარტიულ მასებთან და ქვედა პარტორგანიზაციებთან; 2. კავშირის გაძლიერება პრესასთან, პრესის საშუალებით ფართო მშრომელი მასების გაცნობა პარტკოლეგიის მუშაობასთან, კავშირის გაბმა მუშკორთა და გლეხკორთა ორგანიზაციებთან; 3. პარტორგანიზაციებისათვის ხელის შეწყობა პარტიის პროლეტარული შემადგენლობის გაძლიერების საქმეში; 4. კონტროლისა და მეთვალყურეობის გაძლიერება, რათა დროთანად და ზუსტად განხორციელდეს პარტიის ყრილობათა და კონფერენციათა დადგენილებანი; 5. ბრძოლა ყოველგვარ ანტიპარტიულ დაჯგუფებასთან და ფრაქციულობასთან პარტიის ფარგლებში, კერძოდ, ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციასთან, პარტიის რიგების გაწმენდა ტროცკისტული ოპოზიციის თანამოაზრეებისაგან; 6. ბრძოლა პარტიის წევრთა ყოველგვარ სისხლის სამართლის დანაშაულობასთან; 7. ბრძოლა არაკომუნისტური საქციელის წინააღმდეგ და მისი აღმოფხვრა; 8. მტკიცე გეზის დაჭერა იმ მხრით, რომ გამოაშკარავდეს ბიუროკრატიზმი პარტიის წევრთა შორის, ხოლო დამნაშავენი პასუხისგებაში იქნან მიცემულნი პარტიული და საბჭოთა ხაზით (გათვალისწინებულია რამდენიმე ქვედა პარტორგანიზაციის გამოკვლევა ამ საკითხზე).

მუშაობის გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე გამოკვლევათა და ღონისძიებათა რამდენიმე სახეს იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს კავშირი სამხედრო პარტკომისიებთან და გაძლიერდეს ხელმძღვანელობა კომკავშირის საკონფლიქტო კომისიების მიმართ.

ამხ. სტურუას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. მუშანიამ, ისიფოვმა, ზიმინმა, სირაძემ, ზანგიევმა, ნასარიძემ, ავთანდილოვმა და კაკაბაძემ.

მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში პასუხი გასცა ამხანაგებს კამათის დროს აღძრულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ კამათს მუშაობის დასახულ გეგმაში არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია, მომხსენებელი იმედოვნებს, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისიის მთელი შემადგენლობისა და პარტორგანოების შემწეობით, გეგმაში გათვალისწინებული ყველა ღონისძიება განხორციელდება.

მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად პლენუმმა ამოირჩია კომისია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: გ. სტურუა, კვარაცხელია, რონზანი, ბორისენკო, სირაძე და ზიბერი. (ადს).

ძმური სალამი საბჭოთა აფხაზეთს



ამხ. ს. ჩანბა
აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე

ა.-კ. ცაკისაგან

ამიერ-კავკასიის ყველა მუშების და გლეხების სახელით ძლევამოსილ საბჭოთა რევოლიუციის შვიდი წლის თავზე—4 მარტს—უძღვნი ჩემს მხურვალე სალამს წითელი აფხაზეთის მუშებს და გლეხებს. საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მშრომლებთან ერთად აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთ მერვე წელში უსურვებ კიდევ მეტ მიღწევებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო მეურნეობის აღორძინების, მისი ინტენსიფიკაციის, ტრაქტორიზაციის და მაშინიზაციის საქმეში, უსურვებ კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას პროდუქტების გაუმჯობესებით და გაიაფებით ქალაქის და სოფლის მომხმარებელ მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოთ, რათა ამით კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი კავშირი და სოლიდარული მუშაობა სოციალიზმის აღმშენებლობისათვის.

გაუმარჯოს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მისი გასაბჭოების შვიდი წლის თავზე!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების დიად კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებს—ლენინურ საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს კომინტერნს!

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის აფხაზეთის მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავზე. საქართველოს მშრომელებთან და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძმურ ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით, იმპერიალიზმის საუკუნოებრივ ჩაგვრისა და მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლებულ წლის განმავლობაში კოლოსალური მიღწევები აქვთ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში. სახალხო კომისართა საბჭო აფხაზეთის მშრომელთ უსურვებს შემდგომ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის გზაზე. გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთის მუშებსა და გლეხებს.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქ. ცაკისაგან

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა აფხაზეთის მუშებსა და გლეხებს და მათ ხელმძღვანელებს.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქ. სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჟუღელმა აფხაზეთის სახკომისართა საბჭოს სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

საბჭოთა აფხაზეთის არსებობის შვიდი წლის თავზე საქართველოს სახ. კომისართა საბჭო მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის აფხაზეთის მშრომელთ. ჩვენი საბჭოთა აფხაზეთი წარმატებით მიდის სოციალისტური აღმშენებლობის გზით. დიდი მიღწევები, რომლებიც აფხაზეთის მშრომელთ აქვთ ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე, უმტკიცებენ მთელს ქვეყანას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მისცეს ნამდვილი დამოუკიდებლობა პატარა ერებს. საქართველოს მუშები და გლეხები, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული საბჭოთა აფხაზეთის მუშებსა და გლეხებთან, საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების დახმარებით საკადრის პასუხს გასცემენ იმპერიალისტებისა და მათი სოციალისტური ლაქიების ინტერვენციონისტულ ზრახვებს.

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს!

საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჟუღელი.

საუბარი ამხ. ქართველიშვილთან

სოხუმი, 3 მარტი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ქართველიშვილმა**, რომელიც ამჟამად სოხუმში იმყოფება, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან შვიდი წლის შესრულების გამო სთქვა:

„ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენთვის ძირითად საკითხს წარმოადგენდა წესიერი ურთიერთობის მოწესრიგება აფხაზეთის რესპუბლიკის ცალკე ეროვნებათა შორის. თუ ვისმეს და როდისმე რაიმე ეჭვი ჰქონდა პროლეტარულის სახელმწიფოს სწორი გეზის შესახებ ეროვნულ პოლიტიკაში ეს ეჭვი გაჰფანტა ჩვენმა მუშაობამ აფხაზეთში და აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობამ.

ახლო მომავალში აფხაზეთისათვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს აფხაზეთის სოფლის გადაყვანა სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ეს ამოცანა მეტად რთულია და დიდ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ აფხაზეთის მშრომელთა ენერგია და კომუნისტური პარტიის მარჯვე ხელმძღვანელობა აფხაზეთის ხალხს ამ ფრონტზედაც მიანიჭებს გამარჯვებას.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური მშენებლობის გზაზე გადაყვანისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს გლეხობის კულტურული დონის ამაღლება. აფხაზეთის სოფელი კულტურულად ჩამორჩენილია და ამ დარგში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეადგენს დაკვრით ამოცანას.

მოძმე საქართველოს მშრომელთა სახელით აფხაზეთის მშრომელებს ულოცავ შვიდი წლის თავს და ვისურვებ, რომ საბჭოთა აფხაზეთმა მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერგია მოახმაროს იმ ზომების განხორციელებას, რომლებმაც ფართოდ და ღრმად უნდა გაუდგან ფესვები სოციალისტურ ელემენტებს სოფლად, ვისურვებ, რომ მერვე წლის თავზე აფხაზეთმა ჯამი გაუკეთოს თავის მუშაობას და აღნიშნოს წარმატება ჩვენი მუშაობის ამ მთავარ ფრონტზე“. (ადს).

მიღწევები

სოფლის მეურნეობა და მრეწველობა

აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში ძირითად კულტურებათ, მათ მიერ დაჭერილი სივრცის მიხედვით, ითვლება სიმინდი (35 პროც.), თამბაქო (24 პროც.), ხილი (18 პროც.) და ვენახი (3,1 პროც.).

უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით აფხაზეთში აღმოცენდა ბამბის, ჩაის, სურნელოვან და სხვა ტეხნიკურ და სამკურნალო მცენარეთა კულტურები. აფხაზეთში განვითარებულია მესაქონლეობაც.

მუშა-საქონლის რაოდენობის მხრივ აფხაზეთი მეტად კარგ პირობებშია; სოფლის მოსახლეობის 16.000 სულზე მოდის 254.081 სული საქონელი; აქედან ცხენებია 16.254, რქოსანი მუშა-საქონელი 103.691, ძროხა—35.000, თხა და ცხვარი 48.696 და ღორი 45.530. აფხაზეთის სოფლის მოსახლეობის კომლთა რიცხვი 84.150 უდრის; ამრიგად, ყოველ ოთხ კომლზე 3 სული მუშა-საქონელი მოდის.

მევენახეობა აფხაზეთში დაფუძნებულია „მალლარი“-ს სისტემაზე. ვენახების არე ამჟამად უდრის 2.500 დესეტინას, რომლის მოსავალი დაახლოვებით 500.000 ვედროს შეადგენს.

მიწათმოწყობა სოფლებს შორის, რომელთანაც ერთად სწარმოებდა სამეურნეო გეგმების გადაღება, 1927 წლის სექტემბრის 1-მდე ჩატარებულ იქნა 9.000 დესეტინაზე.

აფხაზეთის ტყეების საერთო სივრცე 449.901 დეს. უდრის; აქედან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა 417,285 დეს. და ადგილობრივი მნიშვნელობისაა—32.616 დეს. გასული სამეურნეო წლის განმავლობაში მოწყობილი იქნა 133.206 დესეტინა.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ჩქარის ტემპით ვითარდება აფხაზეთის მრეწველობაც. 1926-27 წლის განმავლობაში აფხაზეთის ს. მ. უ. ს. გამგებლობაში ირიცხებოდა შემდეგი სამრეწველო დაწესებულებები:

გაგრის სახერხი ქარხანა № 1, რომელიც დღეში იძლევა 3.000 კუბ. ფუტს, ქარხანა ასრულებს „აზნავთი“-ს და „გროზნავთი“-ს შეკვეთებს.

კოდორის სახერხი ქარხანა—ამზადებს ხე-ტყის მასალას (დღეში 1000 კუბ. ფუტამდე) განსაკუთრებით ადგილობრივ ბაზრისათვის.

ვოქვარის ქარხანა გრეხილი ავეჯეულობის სახელოსნოთი ამზადებს დღეში 500—700 კ. ფ. მასალას.

გალის მაზრის პატარა ქარხნები და ფიჩუნდის ქარხანა ამზადებს ტყის მასალას ადგილობრივ საჭიროებისათვის.

თამბაქოს ფაბრიკა სოხუმში ვერ არის რიგიანად მოწყობილი და სრულიად არ შეეფერება აფხაზეთის ნედლი მასალის მაღალ ღირსებას. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულია ზომები ქარხნის გაჯანსაღებისათვის.

გუდაუთის სპირტის სახდელი და სარექტიფიკაციო ქარხანა აგებულია 1925-26 წელს, დაჯდა 100 ათას მანეთამდე. გასული სამეურნეო წლის განმავლობაში ქარხანამ გადაამუშავა 900 ათასი გრადუსი სპირტი და წელიწადი 35 ათასი მანეთის მოგებით დაასრულა.

აფხაზეთის მრეწველობის ძირითადი თანხა სულ უდრის 858 ათას მანეთს, საბრუნავი—148 ათას მანეთს და საამორტიზაციო—54,9 ათას მანეთს, რაც აფხაზეთის მრეწველობის ფინანსიურ ხელმოკლეობას მოწმობს.

კაპიტალურ ხარჯებისათვის გადადებული თანხები—ტყის მრეწველობისათვის 240 ათასი მანეთი, თამბაქოს ქარხნისათვის 100 ათასი მანეთი და ბზის წარმოებისათვის—370 ათასი მანეთი აფხაზეთის მრეწველობას მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს.

სახალხო განათლება

სახალხო განათლების საქმე აფხაზეთში მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული.

გასაბჭოების შვიდი წლის თავისათვის აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკას სახალხო განათლების დარგში აქვს შემდეგი მიღწევები:



ამხ. ნ. ლაკობა
აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ჩამოყალიბებულია სახალხო განათლების ახალი სისტემა, რომელიც კომუნისტური მშენებლობის მიზნებს ემსახურება; საგრძნობლად გაფართოვდა სკოლების ქსელი, რომელმაც 1915 წელს არსებულ ქსელს გადააჭარბა 80 პროცენტით; სათანადოთ გაიზარდა სასკოლო მუშაკების რიცხვი; განმტკიცდა სკოლის ასაკამდე აღზრდა; რომელსაც წინეთ სრულებით არ ჰქონდა ადგილი აფხაზეთში; რესპუბლიკის ყველ 4 ეროვნებებს საშუალება მიეცათ ისწავლონ მშობლიურ ენაზე; გაუმჯობესდა სასკოლო მუშაკების მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა; მნიშვნელოვნად გაიზარდა პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციები; გაიხსნა სასკოლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და სხვა.

სახალხო განათლებაზე აფხაზეთში იხარჯება რესპუბლიკის ბიუჯეტის 26,5 პროცენტი. ამასთანავე აღსანიშნავია ის დიდი დახმარება, რომელსაც ადგილობრივი გლეხობა უწევს სასკოლო აღმშენებლობას; აფხაზეთში ამჟამად მრავალია ისეთი სკოლა, რომელსაც გლეხობა ინახავს თავის ხარჯზე.

1927-28 წლის დასაწყისისათვის აფხაზეთში იყო: საბავშო ბაღი—9, საბავშო სახლი 3, 270 პირველი საფეხურის სკოლა 16.084 მოწაფით, 20 მეორე საფეხურის სკოლა 6.498 მოწაფით, 3 ტეხნიკუმი, 59 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა და 28 ქოხ-სამკითხველო.

პროფესიონალური განათლების გავრცელებას აფხაზეთში ემსახურება სამი ტეხნიკუმი და ორწლიანი პედაგოგიური კურსები. უმაღლეს პროფესიონალურ განათლებას კი ახალგაზრდობა იღებს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

აფხაზეთის განათლების კომისარიატის მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი აფხაზური ალფაბეტის რეფორმა; ძველი ალფაბეტი შეცვლილია ახალი ლათინური ალფაბეტით, რომლის შედგენა დავალებული ჰქონდა აკადემიკოს ნ. ი. მარრს. ჯერ-ჯერობით ძველი ალფაბეტით იბეჭდება გაზეთი „აფსნი კაფშ“, რომელიც სამჯერ გამოდის კვირაში, რადგან ახალი ალფაბეტი ჯერ კიდევ არ არის დამზადებული.

აკადემიკოს ნ. მარრის ინიციატივით და უახლოესი თანამშრომლობით 1926 წელს დაარსდა აფხაზური ენის აკადემია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში.

არსებობს აგრეთვე აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც განყოფილებები აქვს აფხაზეთის ყველა მსხვილ პუნქტებში.

დანარჩენ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებიდან აფხაზეთში არსებობს: 8 მუშათა კლუბი, ერთი გლეხის ცენტრალური სახლი, ერთი სახელმწიფო თეატრი (სოხუმში) და 5 კინო-თეატრი.

საერთაშორისო მიმოხილვა

უშიშროების კომიტეტის სესია.—ნამდვილი განიარაღების პროგრამა. — საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი თემთა პალატაში. — ინგლის - სპარსეთის კონფლიქტი. — ანტი-საბჭოთა კამპანია პოლონეთში

ამჟამად ჟენევაში მიმდინარეობს ე. წ. უშიშროების კომიტეტის პირველი სესია. ეს კომიტეტი გამოყოფილ იქნა განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიის უკანასკნელ (ნოემბრის) სესიის მიერ, რომელზედაც იმ თვალსაზრისმა გაიმარჯვა, რომ განიარაღებას წინ უნდა უძღოდეს უშიშროების უზრუნველყოფა.

ასეთი დებულების წამოყენება ნიშნავდა განიარაღების საქმის გართულებას და დასამარებას. სწორედ ეს შეადგენდა იმპერიალისტების განზრახვას. მართლაც, როგორც შეიძლება სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფა. ე. ი. ომის აცილება, თუ დარჩებიან შეიარაღებული ძალები და საომარი საშუალებები, რომელთა გამოყენებას იმპერიალისტები ხელსაყრელ შემთხვევაში არ დააყოვნებენ თავის მოწინააღმდეგეთა გასასრესად. და რომ ეს შეუძლებელია, ამის საუკეთესო დამტკიცებას იძლევა უშიშროების კომიტეტის ეხლანდელი სესია.

უშიშროების საკითხის გარშემო გამართულმა დისკუსიამ ნათელყო მის მონაწილეთა სულ სხვადასხვა. ერთი მეორის საწინააღმდეგო შეხედულებანი, რომელთა თუ გინდ გარეგნულ, მოჩვენებით შეთანხმებას ამაოდ ცდილობს ამ მიზნით არჩეული სარედაქციო ქვე - კომისია. პირველ ყოვლისა ჩვენ აქ ვხედავთ ერთი მხრით საფრანგეთის, ხოლო მეორე მხრით ინგლის - გერმანია - იტალიის ინტერესთა შეურიგებლობას. საფრანგეთი მოითხოვს ახალ (ლოკარნოს გარდა) საგარანტიო ხელშეკრულებათა დადებას, რომელმაც უნდა დაიცვას ვერსალის სისტემა, ე. ი. უმთავრესად საფრანგეთის გაბატონებული მდგომარეობა ევროპაში. გერმანია, რომელიც ცდილობს ვერსალის უღლის მოშორებას და იმპერიალიზმის ფართე გზაზე გამოსვლას, რა თქმა უნდა, ამაზე არ თანხმდება. ინგლისი მოწადინებულია საფრანგეთის გავლენის შესუსტებას და უარს აცხადებს მას უშიშროების გარანტიები მისცეს. ამასთან ლონდონს, რომელიც ყველგან დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებს, არ სურს ხელ-ფეხი შეიბორკოს საგარანტიო ხელშეკრულებებით, ასეთივე პოზიციას ადგას იტალია, რომელიც ისწრაფვის ხელთ იგდოს ახალი ტერიტორიები, სხვათა შორის, საფრანგეთის ხარჯზე.

კიდეც რო დასდვან იმპერიალისტებმა საგარანტიო ხელშეკრულებები (რაც მოუხერხებელია), რა პრაქტიკული შედეგი მოყვება ამას მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის? — სრულიად არავითარი. ასეთი ხელშეკრულებები გახდება სახელმწიფოთა ახალ სამხედრო დაჯგუფების გამოსავალ წერტილად და, მაშასადამე, მშვიდობიანობას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ, პირიქით, ომის საფრთხეს გააძლიერებს. შემდეგ: ვინ უნდა უზრუნველყოს საგარანტიო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ვალდებულებათა გატარება. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს ერთმანეთშორის არა ერთი და ორი საარბიტრაჟო ხელშეკრულებაზე მოუწერიათ ხელი, მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდის უბრალო ნაფლეთად გადაქცეულა. არ არსებობს ისეთი ორგანო თუ ძალა, რომელმაც დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები აიძულოს უშიშროების დაცვა.

ასეთად ერთა ლიგას ასახელებენ. გერმანიის დელეგაციამ უშიშროების კომიტეტის სესიაზე კიდეც წარადგინა პროექტი, რომლის თანახმად ერთა ლიგის საბჭოს უფლება ენიჭება: 1) მიიღოს წინასწარი გადაწყვეტილება სახელმწიფოთა შორის აღმოცენებულ კონფლიქტის შესახებ, რომელი გადაწყვეტილებაც სავალდებულო უნდა იყოს მოდავე მხარეთა შორის; 2) თუ სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული შეტაკება მზადდება, იმავე საბჭოს უფლება ეძლევა აიძულოს ეს სახელმწიფოები შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა და არ დაიწყონ საომარი მოქმედება; 3) თუ საომარი მოქმედება უკვე დაიწყო ერთა ლიგის საბჭოს უფლება აქვს მეომარი მხარენი ვალდებული გახადოს დაუყოვნებლივ შეკრან დროებითი ზავი.

განა განმარტება უნდა, რომ ეს წინადადებები მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. ერთა ლიგის საბჭოს კიდეც რო მიეცეს ასეთი უფლებები, აქედან არაფერი გამოვა, რადგან ერთა ლიგა სრულებით უძლურია ეს უფლებები განახორციელოს. გარდა ამისა, დაუშვათ რომ ომს იწყებს ერთა ლიგაში გაბატონებული სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი; მაშინ ერთა ლიგა არამც არ გამოვა მშვიდობიანობის დამცველის როლში, არამედ იარაღად გახდება ამ ომის ინიციატორთა ხელში. საგულისხმოა, რომ გერმანიის პროექტის განხილვა გადადებულ იქნა უშიშროების კომიტეტის მეორე სესიამდე. როგორც სჩანს, ინტერესთა წინააღმდეგობა უშიშროების კომიტეტში იმდენად ძლიერია, რომ ცალიერ, არაფრის მთქმელ გადაწყვეტილებათა მიღებაც არ ეხერხება.

ამგვარად, ეხლანდელი ლაყბობა ჟენევაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული მარცხით მთავრდება. ეს კი თავის მხრივ წინასწარ განსაზღვრავს 15 მარტისათვის მოწვეულ განიარაღების კომისიის „მუშაობის“ უშედეგობას.

⁂

თუ ვინმესთვის კიდევ საჭიროა საბუთი განიარაღების საკითხში საბჭოთა მთავრობის პოზიციის დასადასტურებლად, უშიშროების კომიტეტის სესია ამ მხრივ მეტად საყურადღებოა. საბჭოთა დელეგაციამ განიარაღების კომისიაზე გადაჭრით გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ განიარაღების გატარება დაეკავშირებიათ უშიშროების პრობლემასთან, ვინაიდან ცხადი იყო, რომ ამ გზით იმპერიალისტებს სურდათ განიარაღების ისედაც გართულებულ საქმის ზედმეტად დამძიმება უშიშროების საკითხებით, ამგვარად განიარაღების ამოცანის მიფუჩეჩება და მისი განხილვის გადადება, ეს ასეც ხდება.

ამიტომ საბჭოთა მთავრობამ, უარყო რა იმპერიალისტების ასეთი ცდა, განიარაღების სესიაზე 1927 წ. 30 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობილი დეკლარაცია საყოველთაო განიარაღების შესახებ. ეს იყო უაღრესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც მშრომელ კაცობრიობას მიუთითებდა ერთად-ერთ გზაზე ნამდვილი მშვიდობიანობის განსახორციელებლად. ჩვენმა დეკლარაციამ მაშინ პირდაპირ გასროლილ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა, ნიღაბი ახადა და ანგარიშები დაუშალა ჟენევაში შეკრებილ კომბინატორებს. მორთეს განგაში „საბჭოთა იმპერიალიზმზე“, ჩვენი დეკლარაციის „საგიტაციო ხასიათზე“ და სხვ. ამასთან განიარაღების სესიაზე შეეცადნენ გვერდი აევლოთ ჩვენი წინადადებებისათვის. ბოლოს იძულებული შეიქნენ ჩვენი დეკლარაციის განხილვა შეეტანათ განიარაღების კომისიის მომავალ სესიის დღის წესრიგში.

ეს სესია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უნდა გაიხსნას 15 მარტს. საბჭოთა მთავრობამ ამ სესიაზე წარსადგენად, 30 ნოემბრის დეკლარაციის საფუძველზე, გამოიმუშავა განიარაღების კონვენციის პროექტი და 15 თებერვალს გადაუგზავნა ერთა ლიგის საბჭოს. სრული საყოველთაო განიარაღება ოთხი წლის განმავლობაში, ისე რომ უკვე ერთი წლის შემდეგ შეზღუდულ იქნეს შეიარაღებულ შეტაკებათა შესაძლებლობა — ასეთია კონვენციის პროექტის ზოგადი შინაარსი. პროექტის თანახმად, პირველ წელს უნდა მოხდეს არმიის დემობილიზაცია 50 პროც.-ით, იარაღის ყველა მარაგის მოსპობა, უმთავრეს საზღვაო და საჰაერო გემების გამოყვანა სამხედრო სისტემიდან, სამხედრო დაწესებულებათა გაუქმება, შემდეგ სამ წელში უნდა გატარდეს ჯარების სრული დაშლა, ხმარებაში მყოფ იარაღის მოსპობა, ყველა საზღვაო და საჰაერო გემების, აგრეთვე საომარ მასალათა დამზადების საშუალებათა მოსპობა ან გადაკეთება მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის, სამხედრო ბიუჯეტების გაუქმება და სხ. პროექტში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი, თუ როგორ უნდა გატარდეს ეს ღონისძიებანი და გათვალისწინებულია კონტროლი მათ განხორციელებაზე.

თავის თავად ცხადია, რომ იმპერიალისტები განიარაღების საბჭოთა პროექტს ისეთივე მტრობით შეხვდენ, როგორც ჩვენს დეკლარაციას ჟენევაში. ამ პროექტით შექმნილი შთაბეჭდილება ცდილობენ გააქარწყლონ ზღაპრული ციფრებით საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე და მის ვითომდა იმპერიალისტურ ზრახვებზე, რომელთა დაფარვა ჩვენ თითქო გვსურდეს განიარაღების რადიკალური პროგრამის წამოყენებით. ამბობენ, რომ საბჭოთა მთავრობა მოწადინებულია კაპიტალისტურ მსოფლიოს განიარაღებას, რომ მასში როცა ის მოკლებული იქნება დამცველ შეიარაღებულ ძალას, დაანთოს რევოლიუციის ცეცხლი და სხვ. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ ამხელს მშვიდობიანობაზე და განიარაღებაზე თვალთმაქცურად მოლაპარაკე იმპერიალისტების ნამდვილ მისწრაფებებს.

რა ბედი ეწევა საბჭოთა პროექტს? თუმცა იმპერიალისტები მის პირდაპირ უარყოფას ვერ გაბედავენ, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი შეეცდებიან გადასდონ მისი განხილვა, ან, თუ ეს მოუხერხებელი შეიქნა, უამრავ შენიშვნებს დაურთავენ, რომ გამოშიგნონ და „უვნებელი“ გახადონ ის, რომ ფასი დაუკარგონ მას. ყოველგვარ ასეთ ცდას ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვააშკარავებთ, როგორც არ უნდა მოხდეს, საბჭოთა განიარაღების პროგრამა თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვძლევით ილიუზიას, რომ ერთა ლიგისა და მისი კომისიების საშუალებით თითქო შესაძლებელი იყოს არამც თუ საყოველთაო განიარაღების განხორციელება, არამედ შეიარაღების მცირეოდენი შეზღუდვაც. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს თავისი სამშვიდობო პოლიტიკა, რომლის გასატარებლად ის ხელიდან არ უშვებს არც ერთ შემთხვევას. ჩვენი წინადადებები მშრომელ მასსებს გაუადვილებენ იმის შეგნებას, რომ მშვიდობიანობის მიღწევა შეიძლება არა იმპერიალისტების უნიადაგო ლაყბობით უშიშროებასა და განიარაღებაზე, არამედ განიარაღების ფაქტიური გატარებით, გაუადვილებენ იმის შეგნებას, რომ ნამდვილი განიარაღება შეიძლება განახორციელონ მხოლოდ მათ და არა კაპიტალისტებმა

⁂

თემთა პალატის ეხლანდელ სესიაზე რამოდენიმეჯერ დაისვა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი. როგორც ვიცით, ბოლდუინის მთავრობას არ გაუმართლდა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდა ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტაზე. ის ფიქრობდა, რომ სხვა სახელმწიფოები გაყვებოდნენ მის გზას და ამნაირად შეიქმნებოდა ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი შრომის რესპუბლიკაზე გასალაშქრებლად. ყოველ შემთხვევაში შუბლმაგარნი მოელოდნენ, როგორც უახლოეს შედეგს თავისი ნაბიჯიდან, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ გარიყვას და ამ გზით მისი სოციალისტურ მშენებლობის შეფერხებას. ჩვენ კი სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. იმპერიალისტების ურთიერთ წინააღმდეგობამ და ბევრი მათგანის დაინტერესებამ ჩვენთან დამოკიდებულების შენარჩუნებით შეუძლებელი გახადა ჩემბერლენის გეგმის განხორციელება. საბოლოო ანგარიშით წაგებული დარჩა თვით ინგლისი, რომელთან საბჭოთა კავშირის აღებ-მიცემობამ იკლო ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ.

ამიტომ გასაგებია ინგლისის საქმიანი წრეების უკმაყოფილება ჩემბერლენის ანტი - საბჭოთა პოლიტიკით, რაც შეეხება ინგლისის მუშათა მასსებს, მათი სიმპატია შრომის სახელმწიფოს მიმართ ცნობილია, აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის მუშათა პარტიის მეთაურები დროგამოშვებით ჩამოაგდებენ ლაპარაკს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საჭიროებაზე. ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა კავშირის მეგობრები იყვნენ, — ანტი - საბჭოთა კამპანიაში მაკდონალდები და სიტრინები ზურგს უმაგრებენ ჩემბერლენებსა და ხიქსებს. მაგრამ ეხლა, საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში, ეს ვაჟბატონები ცდილობენ მიიქმალონ თავისი ასეთი „მოღვაწეობა“ და მიიმხრონ ამომრჩეველთა ფართო მასსები.

თავის მხრივ ჩემბერლენი ცდილობს: 1) პასუხისმგებლობა ურთიერთობის გაწყვეტისათვის საბჭოთა მთავრობას მოახვიოს თავზე, 2) დაამტკიცოს, რომ ვაჭრობის გაფართოებას ინგლის - საბჭოთა კავშირს შორის ვითომ საბჭოთა მთავრობა ხელს უშლის და 3) რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური დამოკიდებულების და სავაჭრო ხელშეკრულების უქონლობას მნიშვნელობა არ ჰქონდეს სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის აღებ-მიცემისათვის. ასეთია იმ პასუხების შინაარსი, რომლებიც მან გასცა მუშათა პარტიის დეპუტატების შეკითხვებზე თემთა პალატაში.

მაგრამ სინამდვილის გადამახინჯება და დაფარვა ადვილი საქმე როდია. შუბლმაგართა ავანტიურისტულ აქტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც მათ ჩაიდინეს მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკისა და რომელმაც საფრთხე განუმზადა საყოველთაო მშვიდობიანობას და დიდი ზიანი მიაყენა თვით ინგლისის მეურნეობას, — ამ აქტს ჯეროვნად აფასებს ინგლისის ფართე მოსახლეობა, ამავე დროს პასუხისმგებლობას ამისათვის თავიდან ვერ აიცილებენ მაკდონალდებიც, რომელთა მტრობა საბჭოთა კავშირისადმი საკმაოდ გამოაშკარავებულია მშრომელ მასსების თვალში. და უკანასკნელებს შეცდომაში ვერ შეიყვანს სოციალ-გამცემლების და სოციალ - იმპერიალისტების თვალთმაქცური გამოსვლები თემთა პალატაში საბჭოთა კავშირის „დამცველის“ როლში.

⁂

დიდ აქტივობას იჩენს ინგლისის იმპერიალიზმი სპარსეთის მიმართ, სპარსეთი ბოლო წლებში დაადგა თავის დამოუკიდებლობის განმტკიცების გზას. მან გააუქმა კაპიტულიაციის რეჟიმი და ის მედგრად ებრძვის უცხოელთა ბატონობას, ამასთან, საბჭოთა კავშირმა შესძლო სპარსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება უკანასკნელის უფლებების და ინტერესების სრული ცნობის ნიადაგზე. ეს უტყუარი საწინდარია სპარსეთის აღორძინების და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის წარმატების.

აბა ყველაფერ ამას როგორ შეურიგდებიან ლონდონელი მტაცებლები! ისინი ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ სპარსეთის ხალხის დასამონავებლად. სპარსეთის გავლენიან პირების მოსყიდვა, აჯანყებათა მოწყობა, სპარსეთისა და მის მოსაზღვრე ქვეყნებს შორის ურთიერთი უნდობლობის და შუღლის ჩამოგდების ცდა — ასეთი მეთოდები ჩვეულებრივია ინგლისის დიპლომატების პრაქტიკაში.

როცა ასეთი საშუალებები არ სჭრიან, ინგლისელი პირატები არ ერიდებიან აშკარა მუქარას. ამ რამოდენიმე თვის წინად ინგლისის მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა სპარსეთს, რომელშიც დამამცირებელი კილოთი მოითხოვდა მისგან სპარსეთში თავის საჰაერო ბაზის მოწყობაზე ნებართვას, ინგლისის კარნახით სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ შეიხ ხეიზალის აღდგენას წინანდელ უფლებებში. ირაკ - სპარსეთ შორის არსებულ სადავო საკითხების გადაჭრას პირველის სასარგებლოდ და სხვ. ეს იყო უხეში ჩარევა სპარსეთის საშინაო საქმეებში და მისი დამცირების ცდა. მაგრამ სპარსეთის მთავრობამ კატეგორიული პასუხი გასცა ლონდონს ასეთ თავხედობისათვის და გადაჭრით უარყო ყველა მისი პრეტენზია.

ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს ისევ ახალი კონფლიქტი წარმოიშვა. საკითხი ეხება ბახრეინის კუნძულებს. რომელნიც სპარსეთის ყურეში მდებარეობს. ეს კუნძულები უდავოდ ეკუთვნის სპარსეთს, მაგრამ ინგლისმა ისინი ხელთ იგდო პროტექტორატის სახით. სპარსეთის მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა ერთა ლიგის საბჭოს, სადაც ის აღნიშნავს თავის უფლებებს ბახრეინზე და მოითხოვს მის დაბრუნებას. ამ ნოტაზე ჩემბერლენმა ცინიკურად უპასუხა, რომ ინგლისი ბახრეინს „მფარველობს“. მის მოსახლეობასთან და მმართველებთან (უკანასკნელნი ლონდონის მიერ დაყენებული პირებია) შეთანხმებით და „იცავს“ მას უცხოელ „მოძალადეთა“, ე. ი. სპარსეთის მთავრობის თავდასხმისაგანო. ასევე უტიფარია ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში, რომ ფეოდალ ხეიზალს, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი, ინგლისის მთავრობა მხარს უჭერს სპარსეთიდან ხუზისტანის ჩამოშორებაში.

ამგვარად, ინგლისის იმპერიალიზმი გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს სპარსეთის გასატეხად, მის დამოუკიდებლობის მოსასპობად. მაგრამ სპარსეთი დღეს სრულებით არ არის ის, რაც იყო წინედ, როცა შეიძლებოდა მასთან ასე თავხედურად მოპყრობა. სპარსეთი აღორძინების გზაზეა შემდგარი და მისი ხალხი ენერგიულად იბრძვის თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის. ამ ნიადაგზე ის დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს, რაც უადვილებს მას გამარჯვებას იმპერიალისტების წინააღმდეგ. მხედველობაში მიიღეთ ის გარემოებაც, რომ ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობა საკმაოდ შერყეულია, კერძოდ ძლიერდება ანტიბრიტანული მოძრაობა მთელ აღმოსავლეთის ხალხებში. ეხლანდელი კონფლიქტი ინგლის - სპარსეთ შორის თავის მხრივ შეუწყობს ხელს ამ მოძრაობის გაფართოებას.

⁂

პოლონეთში უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა გააფთრებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს დაკავშირებულია ბელორუსიის გრომადის (მუშურ - გლეხური ორგანიზაცია) პროცესთან. პოლონეთის ფაშისტური მთავრობა სასტიკად დევნის ეროვნულ უმცირესობათ, კერძოდ იმ ერებს, რომელნიც საბჭოთა კავშირის საზღვარზე მოსახლეობენ, ამ მხრივ ყველაზე მძაფრ რეპრესიებს განიცდიან ბელორუსები, რომელნიც იბრძვიან ელემენტარულ ადამიანურ და ნაციონალურ უფლებებისათვის. შარშან ბელორუსიის გრომადა განადგურებულ იქნა და მრავალი მისი მოღვაწე ციხეებში ჩაყარეს.

ამ დღეებში დაიწყო მათი გასამართლება. რათა პილსუდსკის მთავრობამ [illegible] ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა, ის ჩვეულებრივ პროვოკაციულ საშუალებებს მიმართავს, ამტყუნებს მათ სახელმწიფო ღალატში. ასეა ამ შემთხვევაშიაც. ბელორუსიის გრომადას ცილს სწამებენ, ვითომ ეს ორგანიზაცია საბჭოთა მთავრობის იარაღს წარმოადგენდა, რომ ბელორუსია შეეერთებინა საბჭოთა კავშირთან და დაენგრია პოლონეთის სახელმწიფო.

რა თქმა უნდა, რაიმე ამის დამამტკიცებელი ნამდვილი ფაქტები არ მოიპოვება. მაგრამ პროვოკატორები მზად არიან საჭირო „საბუთი“ გამოძებნონ. პოლონეთის ხელისუფალთა კარნახით მათი აგენტები იძლევიან ჩვენებას, თითქო გრომადას ხელმძღვანელობას უწევდა საბჭოთა წარმომადგენლობა, რომ ვითომ მისი ყოფილი მრჩეველი ულიანოვი დასწრებოდეს გრომადის კონფერენციას დანციგში, მისი თავმჯდომარეობით გრომადას შეემუშავებინოს აჯანყების გეგმა და სხვ. მოსყიდული აგენტები საერთოდ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა მთავრობა ერევა პოლონეთის საშინაო საქმეებში.

ამხ. ულიანოვმა თავის განცხადებაში ფარდა ახადა მთელ ამ პროვოკაციას და ამხილა მისი ფარული მიზნება. ეს სიმართლე პოლონეთის პრესის ნაწილს, რომელიც დაინტერესებულია ჩვენთან ურთიერთობის გართულებით. ცხადია, არაფრად ესიამოვნება და მან კვლავ განგაში მორთო ამხ. ულიანოვის განცხადების გამო.

ასეთი ცილისწამებითი კამპანია უეჭველია, ხელს ვერ შეუწყობს პოლონეთ - საბჭოთა დაახლოვებას, რის საჭიროებაზე თვალთმაქცურად გაიძახიან პოლონეთის მმართველი წრეები. აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მთავრობამ კონფისკაცია უყო გაზეთებს, რომლებმაც მოათავსეს პროვოკაციული ცნობები საბჭოთა წარმომადგენლობის შესახებ . ამასთან ბელორუსიის გრომადის პროცესი გადაიდო. ეტყობა, პილსუდსკის მთავრობას თვითონ შეეშინდა მთელი ამ „ისტორიის“, რომელიც მისთვის სასკანდალოდ დამთავრდებოდა.

მაგრამ ეს დაგვიანებული „სიფრთხილე“ საკმარისი არ არის. პოლონეთის მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, როცა შეუძლებელი გახდება ასეთი კამპანიის განმეორება, ამავე დროს ფუჭია იმედი, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ეროვნულ უმცირესობებს პოლონელი პანები ამგვარი პროვოკაციით გასტეხენ და თავის სიმხეცეს მათ მიმართ გაამართლებენ.

ვ. ქ—ლი.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს ცაკის ცირკულიარი № 42

აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა მაზრაღმასკომებს და ფოთის ქალაქის საბჭოს.

უკვე მოახლოვებულია ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტის დღესასწაული. ამ დღეს აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო მშრომელ ქალთათვის, არამედ მთელი მშრომელი მასისათვის. 8 მარტის დღესასწაულის ჯეროვნად ჩატარებას ადგილობის მიერ უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება, რისთვისაც საჭიროა სისწორით იქნეს გამოყენებული საამისო სათანადო სახელმძღვანელო მასალები და აგრეთვე წარსულის პრაქტიკა. წარსულ წლებში ხსენებული დღესასწაულის ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებული იყო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მიღწევებთან ერთად არის აგრეთვე ნაკლულოვანებათა მთელი რიგი.

ადგილებზე უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის მიზნით.

8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს, ყურადღება უნდა მიექცეს უმთავრესად წარსულში მუშაობის შეჯამებას და აგრეთვე მომავლისათვის პრაქტიკული, კონკრეტიული ღონისძიების დასახვას.

ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ სათანადო დარგების მიხედვით უკვე შემუშავებულია კონკრეტიული ღონისძიებანი ხსენებული დღესასწაულის აღსანიშნავად, მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება ადგილებზე მოხდება ცენტრალური ორგანოების სათანადო ადგილობრივ დაწესებულებათა მეშვეობით, რაც უნდა ხორციელდებოდეს მაზრაღმასკომების უშუალო ხელმძღვანელობით და კონტროლით.

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **ფ. მახარაძე.**

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ფ. მათიკაშვილი.**

1928 წელი მარტის 3.

ღონისძიებები ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

საქართველოს ცაკთან არსებული ცენტრალური კომისიის მუშაობა

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გამაუმჯობესებელმა კომისიამ ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად უკანასკნელ 8 თვის განმავლობაში შემდეგი მუშაობა ჩაატარა:

8 თვის განმავლობაში სხვადასხვა დახმარების მისაღებათ კომისიაში გატარდა 4.160 ქალი. ამავე ხნის განმავლობაში კომისიამ სამუშაო აღმოუჩინა 280 ქალს, მათ შორის შრომის ბირჟის საშუალებით სამუშაოზე გაიგზავნა 42 ქალი.

ქალებისათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად კომისიამ მოაწყო ერთი დიდი კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია 129 ქალი. კოლექტივს სხვადასხვა დიდ წარმოება-დაწესებულებებთან მოწყობილი აქვს ბუფეტები და პატარა სასადილოები.

ამავე ხნის განმავლობაში კომისიამ გლეხთა ცენტრალურ სახლთან მოაწყო სასადილო, სადაც მუშაობს 14 ქალი. ამ სასადილოდან შემოსული თანხები დახმარების სახით ეძლევა უადგილოთ დარჩენილ მშრომელ ქალებს.

გასული წლის ზაფხულში კომისიას უმუშევარ ქალებისათვის მოწყობილი ჰქონდა ბაღი-სასადილო და კაფე-საშაქარლამო, რომელშიაც მუშაობდა 24 ქალი.

ამას გარდა კომისიამ დაარსა უმუშევარ ქალების კოლექტივი სახელწოდებით: „ქალის შრომა“, რომელშიაც გაერთიანებულია 124 ქალი. „ქალის შრომას“ თავის მხრივ აქვს სხვადასხვა ხასიათის ქვე-არტელები, როგორიცაა კონფეტების შემხვევი, ქაღალდის პარკების დამამზადებელი და სხ.

ამას გარდა მოწყობილია მკერავ ქალთა არტელი, რომელშიაც გაერთიანებულია 60 ქალი. ეს არტელი უმთავრესად აწარმოებს წარმოება-დაწესებულებებისათვის სპეც-ტანსაცმლის შეკერვის საქმეს.

ამჟამად ეწყობა ახალი არტელი, რომელშიაც ჩაწერილია 60 ქალი.

შრომითი დახმარების აღმოჩენის გარდა კომისიამ უკანასკნელ 8 თვის განმავლობაში უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინა 296 ულარიბეს ქალს, საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეში დახმარება გაუწია 28 ქალს, 60 ქალი გაგზავნა თავიანთ სამშობლოში, ერთდროული ფულადი დახმარება აღმოუჩინა 70 ქალს, ამას გარდა სხვადასხვა სახის დახმარება აღმოუჩინა 223 ქალს.

კომისიას აგრეთვე მოწყობილი აქვს უბინაო ქალთა დროებითი თავშესაფარი, სადაც საშუალოდ ირიცხება 31 ქალი. მათ უფასოდ ეძლევათ ჩაი, საუზმე, სადილი, ვახშამი და სხვა.

სახლთან მოწყობილია სამკერვალო სახელოსნო, ნოხების საქსოვი და ქუდების სამკერვალო და სხ. ამ სახელოსნოებში ხელობას ასწავლიან უპატრონო და ულარიბეს ქალებს. ამას გარდა განზრახულია სახლთან მოეწყოს სამრეცხაო უმუშევარ ქალთათვის. ამ სახლის შესანახად 8 თვის განმავლობაში კომისიამ დახარჯა 22.714 მანეთი. მიღებულია ზომები, რათა სახლთან არსებული სხვადასხვა სახის სახელოსნოები დაყენებული იქნეს საწარმოო ნიადაგზე, რის წყალობითაც სახლს გაუჩნდება შემოსავლის წყარო და შედარებით უფრო გაუმჯობესებული იქნება მისი მდგომარეობა.

ამავე სახლს თბილისის აღმასკომი ყოველთვიური დახმარების სახით აძლევს 400 მან.

კომისიასთან არსებობს იურიდიული დახმარების ბიურო, რომელიც უფასო იურიდიულ დახმარებას აწვდის ქალებს. ბიუროს იურისკონსულტი გამოდის სასამართლოში იმ ქალების დასაცავად, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები და არა აქვთ საშუალება დაიქირაონ ვექილი. ბიურო აგრეთვე იურიდიულ დახმარებას უწევს ქალთა არტელებს და კოლექტივებს. 8 თვის განმავლობაში წერილობითი რჩევა-დარიგება მიეცა 401 ქალს, სასამართლოში დაცული იქნა 123 ქალის საქმე და სხ. ამას გარდა სხვადასხვა სახის იურიდიული დახმარება გაეწია 690 ქალს.

სასამართლოში აძრული საქმეები უმთავრესად ეხებოდა ალიმენტების საკითხებს. კომისიის დახმარებით თითქმის ყველა საქმეები დამთავრებული იქნა ქალების სასარგებლოდ.

კომისიამ აგრეთვე მიიღო მთელი რიგი ზომები სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმულ ქალების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ასეთივე კომისიები არსებობენ აფხაზეთში, აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და ქუთაისში. ცენტრალურ კომისიას მიღებული აქვს ზომები სხვა ადგილებშიაც ასეთივე კომისიების მოსაწყობათ და ჩამოსაყალიბებლად.

კომისია ამჟამად იმუშავებს გეგმას მუშაობის გასაფართოებლად, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში.

კომისია თბილისის აღმასკომთან

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩასატარებლად აღმასკომთან დაარსდა ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს 8 მარტის დღესასწაულის ჩატარების გეგმა და ღონისძიებები მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა 8 მარტის აღსანიშნავად დაადგინა გადასდოს 100 მანეთი ქალთა ექსკურსიის მოსაწყობათ ბათომში.

ამას გარდა განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებებს დაევალა ამ დღისათვის მოაწყონ დედათა და ბავშვთა დაცვის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება დიაგრამები და მასალები იმის ნათელსაყოფად, თუ რა ზომებს ღებულობს საბჭოთა ხელისუფლება დედათა და ბავშვთა დასაცავად და რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ მენშევიკების დროს. ამასთან ერთად პრეზიდიუმმა დაავალა საბჭოს სექციებს მოაწყონ სპეციალური კრებები, რომლებზედაც საბჭოს მუშაობის და ამ მუშაობაში თავიანთი მონაწილეობის შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოს დეპუტატი—ქალები.

თემაღმასკომებს წინადადება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ 8 მარტის დღესასწაულში და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მის ბრწყინვალეთ ჩატარებას სოფლებში.

თემაღმასკომებთან არსებულ კომისიებს და ქალთა აქტივთან ერთად ევალება მოიწვიონ გლეხ-ქალების მასიური კრებები და ამ კრებებზე გააკეთონ სპეციალური-პოპულიარული მოხსენებები ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ და ვრცლათ განუმარტონ გლეხ-ქალებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები როგორც საერთოდ გლეხობის, ისე კერძოთ მშრომელ ქალების საკეთილდღეოთ. კრებებს გარდა სოფლის სამკითხველოებში, ქალთა კუთხეებში, კლუბებში სკოლებში და სხ. გაიმართება შესაფერი წარმოდგენები, საღამოები და ინსცენიროვკები.

ამავე დღისათვის აგრეთვე გამოვა კედლის გაზეთები შესაფერი შინაარსით და გლეხ-ქალების მონაწილეობით.

განათლების სახ. კომისარიატში

საქ. სახ. განათლების კომისარიატმა შეიმუშავა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის დღესასწაულში მონაწილეობის გეგმა.

კომისარიატმა დაადგინა ამ დღის ჩასატარებლად თავის საშეფო სოფელში—ახალ სოფელში (გორის მაზრა) გაგზავნოს თავის წარმომადგენელი. განათლების კომისარიატი ამ დღის აღსანიშნავად გამოიკვლევს ქალთა საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მდგომარეობას და მიიღებს ზომებს მის გასაუმჯობესებლად. ამავე დღის აღსანიშნავათ კომისარიატი რკინისგზელთა კლუბთან გახსნის ბავშვთა კლუბ-ოთახს და პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბთან მოაწყობს საბავშვო ბიბლიოთეკას.

განათლების კომისარიატმა დაადგინა 8 მარტის აღსანიშნავად აღძრას შუამდგომლობა, რათა საგლეხო სესხის 10 პროცენტიდან, რომელიც განზრახულია მოხმარდეს ადგილობრივ ჯანმრთელობის და განათლების საქმეს, 2½ პროცენტი უშუალოდ გადაიდოს სოფლის საბავშვო დაწესებულების ქსელის გასაფართოებლად.

კომისარიატმა გადასწყვიტა აგრეთვე გადასდოს სპეციალური თანხა საბავშვო ბაღებში და კერებში ბავშვთა კვების გასაუმჯობესებლად.

განათლების კომისარიატის გეგმით, 6 და 7 მარტს საბავშვო ბაღებში მოეწყობა მშობელთა კრებები, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენებები 8 მარტის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ და გაიმართება შესაფერი წარმოდგენები.

კომისარიატი 8 მარტისათვის მაზრებში არსებულ ქალთა კუთხეებს საჩუქრათ გაუგზავნის საკანცელიარიო ნივთებს და ლიტერატურას და საბავშვო ბიბლიოთეკებს.

ამავე დღის აღსანიშნავად სოფ. სამთავისში (გორის მაზ.) გაიხსნება ახალი საბავშვო ბაღი და თბილისში კი 6 საბავშვო მოედანი.

პროფკავშირების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

(საქართველოს პროფკავშირთა საკლუბო თათბირის გამო)

ხვალ, მარტის 5-ს, მუშათა სასახლეში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირების საკლუბო თათბირი. თათბირზე მოწვეულნი არიან კავშირების ცენტრალურ გამგეობათა კულტგანყოფილების გამგეები მუშათა კლუბების გამგეობათა თავმჯდომარეები, საკლუბო წრეების ხელმძღვანელნი და ბიბლიოთეკის მუშაკები. გარდა ამისა, სამაზრო პროფორგანიზაციებიდან თათბირზე ჩამოვლენ კულტმუშაკები 80 კაცზე მეტი. ამნაირად, თათბირზე მოწვეულია კულტმუშაკების მთელი აქტივი, რომელიც უშუალოდ ასრულებს საპასუხისმგებლო მუშაობას, მიმართულს მუშათა კლასის კულტურული დონის აწევისაკენ.

აღნიშნული თათბირის მუშაობა უნდა გადაიქცეს მშრომელთა ფართო ფენების ყურადღების საგნათ, მშრომელების, რომელთა კულტურული საჭიროება — მოთხოვნილებანი წლიდან წლამდე იზრდება და რომლებიც უფრო რთულ მოთხოვნილებებს უყენებენ ჩვენს კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

თათბირის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკურ - განმანათლებელმა ორგანოებმა, ვინაიდან დღემდე მთელი სიმძიმე კულტურულ განმანათლებელი მუშაობისა ქალაქებში აწევს პროფკავშირებს და ამ მუშაობას მარტოოდენ პროფკავშირები უძლებიან. პოლიტიკურ-განმანათლებელ ორგანოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ჩვენი მუშათა კლუბების მუშაობის გაუმჯობესებაში და სხვ.

აღნიშნულმა თათბირებმა, ადგილობრივი პროფორგანიზაციების გამოცდილების დაკავშირებით აღნუსხვის ნიადაგზე უნდა დასახოს საპროფკავშირო კულტმუშაობის შემდეგი გზები და მიმართულება და აგრეთვე ღონისძიებანი მუშათა კლუბების მუშაობის მეთოდებისა და ფორმების გასაუმჯობესებლად.

თათბირის დღის წესრიგში სდგას მთელი რიგი უაღრესად საგულისხმიერო საკითხები, როგორც, მაგალითად, მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები, სამხატვრო მუშაობა კლუბებში, პროფკავშირების საზაფხულო კულტმუშაობა, მუშაობა ახალგაზრდობასა და ქალებს შორის და ფიზკულტურისა და გასამხედროების საკითხები.

საკლუბო მუშაობის დარგში თათბირმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს საკლუბო მშენებლობის საკითხებს. ჩვენი კლუბების მუშაობას შესამჩნევად აფერხებს დაუსრულებელი ყრილობები, კონფერენციები და თათბირები სხვადასხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც კრებების გასამართავად იკავებენ ჩვენი კლუბების ბინებს გარდა ამისა, საჭიროა მთელი სიგრძე-სიგანით დაყენებული იქნეს საკითხი ახალი კლუბების მშენებლობის შესახებ, გადადებული იქნეს პროფკავშირების კულტფონდებიდან სპეციალი სახსრები ახალი კლუბების, საზაფხულო ბაღების, საჯომარდო დარბაზების და სხვა კულტდაწესებულებების ასაგებად.

კლუბების მშენებლობის საქმეში საჭიროა ჩაბმული იქნენ აგრეთვე სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები, რომელთა დახმარების გარეშე პროფესიონალური კავშირები ვერ შესძლებენ ამ საქმის მოგვარებას და კულტმუშაობის ბაზისის შემდეგს გაფართოვებას.

საკლუბო მუშაობის შემდეგ ზრდას და განვითარებას შესამჩნევად აფერხებს ჩვენი კლუბების მუშაკების მოუმზადებლობა. ამიტომ ჩვენს წინ დღეს სდგას ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა კლუბების მუშაკების მომზადებისა და გადამზადებისა. აღნიშნული ამოცანის განხორციელების გარეშე შეუძლებელია ჩვენი კლუბების მუშაობის გაუმჯობესება და პროფკავშირთა წევრების შემდგომი ჩაბმა კლუბის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემდეგ საკითხად თათბირის დღის წესრიგში სდგას სამხატვრო მუშაობა კლუბებში. პროფკავშირების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ეს დარგი ამჟამად დიდს კრიზისს განიცდის. საკლუბო თვითმოქმედებითი თეატრის განვითარებას ძლიერ აფერხებს ის გარემოება, რომ კლუბის სცენაზე დასადგმელი პიესები, განსაკუთრებით ქართულ ენაზე თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება. ჩვენი დრამატიული მწერლები დღემდე ვერ გამოეხმაურნენ ჩვენი კლუბების მოწოდებას და დღემდე მათ არ დაუწერიათ არც ერთი პიესა, რომელიც ცოტათ თუ ბევრად გამოსადეგი იყოს საკლუბო სცენისთვის. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ჩავაბათ ჩვენს კულტ.-განმანათლებელ მუშაობაში ლიტერატორები და მწერლები საკლუბო პიესების შესაქმნელად და უზრუნველვყოთ სათანადო ხელფასი მათი დრამატიული ნაწარმოებისათვის, რომელიც სპეციალურად მუშათა კლუბებისათვის იქნება დაწერილი.

ამასთან ერთად ჩვენს წინ სდგას ამოცანა თეატრალური მუშაკების ახალი კადრის მომზადებისა, რომელნიც გაცნობილი იქნებიან საკლუბო მუშაობის მეთოდებს და თვითმოქმედებითი მუშათა თეატრის ამოცანებს.

თათბირის დღის წესრიგის შემდეგს საკითხს შეადგენს პროფკავშირების საზაფხულო კულტმუშაობა და ფიზკულტურა. უკანასკნელ წლებში საქართველოს პროფკავშირებს მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ამ დარგში, მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე ზოგიერთ ნაკლს. მაგალითად, მეტის მეტად გვიან იწყება საზაფხულო კლუბების მუშაობა, არ ხდება სათანადო გეგმიანობითა და სისტემით მუშაობა ბაღების მოწყობის საქმეში, ზოგიერთი კლუბების მუშაობას აქვს საექსპლოატაციო ხასიათი, ადგილი აქვს აგრეთვე დაუშვებელი კონკურენციას მათ შორის და სხვა, თათბირმა უნდა გამოიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება აღნიშნული ნაკლულოვანებათა გამოსწორებისაკენ მომავალი ზაფხულის განმავლობაში.

ფიზიკური კულტურის წარმატებით განვითარებას შესამჩნევად აფერხებს სათანადო სტადიონებისა და საჯომარდო მოედნების უქონლობა. ამ საქმეშიაც ჩვენ აუცილებლად გვჭირდება სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების დახმარება და ხელის შეწყობა.

ფიზკულტურის საკითხთან დაკავშირებით თათბირმა უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს ფიზკულტუროსანთა მოხალისე საზოგადოების შესახებ, რომლის დაარსებაზედაც წინადადებას იძლევიან კომკავშირის ზოგიერთი მუშაკები, ფიზიკური კულტურა შემდეგშიაც აუცილებლად უნდა შეადგენდეს პროფესიონალური კავშირების კულტმუშაობის განუყრელ ნაწილს, ისე, როგორც კულტმუშაობა შეადგენს ჩვენი პროფესიონალური მოძრაობის განუყრელ ნაწილს.

თათბირმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე მუშაობას ახალგაზრდობასა და ქალებს შორის და გადასწყვიტოს ჩვენი საქმიანობის ამ დარგის შემდეგ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

ა. ფირალიშვილი.

პოლიტგანათლების მუშაკთა კონფერენცია

მეორე დღე

მეორე დღის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სოფლად საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის, კერძოთ სოფლის სამკითხველოების საქმიანობის შესახებ. კამათი უმთავრესად შეეხებოდა იმას, თუ როგორი უნდა იქნეს სოფლის სამკითხველოს მუშაობის ორგანიზაციული ფორმები. მთელი რიგი ორატორები მოითხოვდენ ამჟამად არსებულ კულტსაბჭოების მაგივრად სოფლის სამკითხველოებთან მოეწყოს საპოლიტგანმანათლებლო საბჭოები—3-დან 5 წევრისაგან. ამავე დროს მიზანშეწონილი იქნება შემცირდეს წრეების და კუთხეების რიცხვი—იმ პირობით, რომ გაძლიერდეს ძირითად წრეების—სასოფლო-სამეურნეო, კოოპერატიული და სამხედრო წრეების მუშაობა. სამკითხველოებთან წრეები უნდა მოეწყოს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით: თუ სოფლის მცხოვრებთა სანიტარული ჰიგიენური პირობები შეუფერხებელია, ასეთ სოფლებში პირველ რიგში მიზანშეწონილია მოეწყოს სანიტარული წრეები.

სამხედრო წრეები კი ყოველ სამკითხველოსთან უნდა იქნეს მოწყობილი, რადგან სოფლის მოსახლეობის გასამხედროების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სოფლის სამკითხველოებს, რომელნიც საამისოდ უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო სამხედრო ლიტერატურით.

ორატორები მოითხოვდენ აგრეთვე ყურადღება მიექცეს სოფლის სამკითხველოების სხვადასხვა კუთხეების მორთულობას. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე სამკითხველოებმა კედლის გაზეთის საკითხის მოგვარებას, მუშკორთა მოძრაობას და გაზეთების—(განსაკუთრებით „ახალი სოფლი“-ს) გავრცელებას. სოფლის სამკითხველო უნდა გახდეს ცენტრი, რომელიც თავის კედლის გაზეთის გარშემო შემოკრებს და უხელმძღვანელებს ყველა კორესპონდენტებს. ამავე დროს სოფლის სამკითხველოები მოვალე არიან იზრუნონ გაზეთების გავრცელებისათვის. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე სოფლის სამკითხველოების გარშემო შეიქნეს საზოგადოებრივი აზრი,—რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამკითხველოების ფართო საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გადაქცევას აუცილებელია აგრეთვე წიგნებით სარგებლობის საქმეში შემოღებულ იქნეს აღრიცხვის მარტივი სისტემა მაინც.

კამათი დამთავრდა მომხსენებლის ამხ. კ. ჩხატარაშვილის საბოლოო სიტყვით.

რეზოლიუციის დასამუშავებლად ამორჩეულ იქნა კომისია 7 ამხანაგისაგან.

პოლიტგანათლების ხუთწლიანი გეგმა

მომხსენებელი ამხ. კ. ჩხატარაშვილი

განათლების სახალხო კომისარიატს, პოლიტგანათლების დარგშიაც გამომუშავებული აქვს 5 წლიანი გეგმა, რომელიც საორიენტაციო და დაახლოებითია, მაზრებმა ეს გეგმა უნდა შეუთანხმონ არსებულ მდგომარეობას, თავიანთ ფინანსიურ სახსარს და ნივთიერ შესაძლებლობას. უმაღლესი ორგანოების დადგენილებით სახ. განათლების ბიუჯეტში პოლიტგანათლების ხარჯებმა უნდა დაიჭირონ მთელი ბიუჯეტის 14 პროც. ამჟამად კი ეს ხარჯები 6 პროც. არ აღემატება. პოლიტგანათლების განყოფილებებს ეს უფლება მინიჭებული აქვთ და ისინი უნდა ეცადონ, რომ პოლიტგანათლების ხარჯები ამ პროცენტებზე ნაკლები არ იქნეს. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს გეგმა, რომელიც შემდეგ ადგილობრივ პირობებთან შეუფარდებელი უნდა იქნეს, დახლოებით ითვალისწინებს შემდეგს:—1926 წლის საყოველთაო აღწერით წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით, 15 წლის ასაკიდან 39 წლამდე აღწევდა 351.877 კაცს, 1926-27 წელს წერა-კითხვა შეისწავლა 38.000 კაცმა, ხოლო 1927-28 წლისათვის განზრახულია წერა-კითხვის შესწავლა 42 ათასი კაცისათვის. ამგვარად 1928-29 წლისათვის რჩება 271.877 წ.-კ. უცოდინარი. ამ რიცხვს მიემატება ბუნებრივი ზრდით უმცროს ასაკიდან გამოსული წ.-კ. უცოდინარი, საშუალოდ ათი პროცენტი. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ტემპის გაძლიერების გამო უცოდინართა ბუნებრივი ზრდა ყოველ წლიურად ორი პროცენტით შემცირდება. 1929-30 წლისათვის წ.-კ. უცოდინარის რიცხვი იქნება 229 ათასზე ცოტა მეტი, 1930-31 წელს 181. 137 ათასი, 1931-32 წელს 127.379, ხოლო მეხუთე წელს—1932-33 წელს 67.096. სულ ამ ხუთი წლის განმავლობაში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციაზე განზრახულია დაიხარჯოს 1.302.975 მანეთი, აქედან ადგილობრივ ბიუჯეტიდან დაიხარჯება 1.050.210 მანეთი. მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციოთ ამავე ხნის განმავლობაში დაიხარჯება სულ 409.542 მან., თვით განვითარების საქმეზე 512.191 მან. მაღალი ტიპის სკოლებზე—347.688 მანეთი, მუშათა უნივერსიტეტების მოწყობაზე 319.778 მანეთი, გლეხთა საღამოს კურსების მოწყობაზე 173.016 მანეთი, საკვირაო უნივერსიტეტების მოწყობაზე 204.498 მანეთი, საბჭოთა პარტიულ სკოლებზე 1.344.104 მანეთი, პოლიტსკოლებზე 851.852 მანეთი, ქოხ-სამკითხველოების მოწყობაზე 3.968.476 მანეთი, სოფლის რადიოფიკაციაზე 401.090 მანეთი, კინოფიკაციაზე 867.475 მანეთი, სამაზრო ბიბლიოთეკებზე 934.005 მანეთი, სკოლის გარეშე განათლებასა და საპოლიტგანმანათლებლო კაბინეტებზე 350.739 მანეთი, ქალაქის ბიბლიოთეკებზე 691.745 მანეთი, სამხატვრო მუშაობაზე 449.500 მანეთი, საექსკურსიო საქმეზე 344.787 მანეთი, პოლიტგანათლების მუშაკთა გადამზადებასა და სამეცნიერო მივლინებებზე 374.608 მანეთი. მთლიანად საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაზე ხუთი წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 13.747.055 მანეთი.

გეგმით გათვალისწინებულია პოლიტგანათლების მუშაკთა ხელფასის გადიდება, სკოლების, კაბინეტების, სოფლის სამკითხველოების მოწყობა და სხვა.

კამათი 5 წლიანი გეგმის გარშემო

საღამოს სხდომაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა პოლიტგანათლების 5 წლიანი გეგმის გარშემო. სვანეთის პოლიტგანათლების გამგე ამხ. გუჯეჯიანი საჭიროდ სცნობს გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მაზრებს, რომელთაც დეფიციტიანი ბიუჯეტი აქვთ და უმთავრესად მთავრობის დოტაციით სცხოვრობენ. ასეთი მაზრებისათვის, მისი აზრით, პოლიტგანათლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად ამ 5 წლის განმავლობაში შედარებით მდიდარ მაზრებთან უფრო მეტი თანხები უნდა იქნეს გადადებული რესპუბლიკანური წყაროებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ მაზრებში 5 წლიანი გეგმა განუხორციელებელი დარჩება და მივიღებთ ისეთ სურათს, რომ 5 წლის დამლევს მთელ რიგ მაზრებში წ.-კ. უცოდინარობა აღმოფხვრილი იქნება, ხოლო ღარიბ-ჩამორჩენილ მაზრებში კი მდგომარეობა უცვლელი დარჩება.

ამხ. ძიძიგური საკმარისად არ მიაჩნია წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლებისათვის გეგმით გათვალისწინებული ჯამაგირი 20 მანეთის რაოდენობით. საჭიროა მათი ხელფასის გადიდება 30 მანეთამდე მაინც. იგივე ამხანაგი საჭიროდ სცნობს უფრო მეტად გადიდდეს ჯამაგირი სოფლის სამკითხველოების გამგეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომზადებული პირი არ იკისრებს სოფლის სამკითხველოს მრავალმხრივი მუშაობის ხელმძღვანელობას. ამხ. ხვინჩია სოფლის სამკითხველოსათვის გეგმით გათვალისწინებულ წლიურ სამეურნეო ხარჯებს 50 მანეთის რაოდენობით—ძალიან მცირე თანხად სთვლის და საჭიროდ აღიარებს მომატებას. ამხ. ბედიაშვილიც მოითხოვს სოფლის სამკითხველოების გამგეთა ხელფასის 4 წლედის მასწავლებელთა ხელფასთან გათანაბრებას.

ამით დამთავრდა მეორე დღის საღამოს სხდომა.

რემედასის კონფერენცია

გუშინ პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა რემედასის თბილისის და თბილისის მაზრის მეოთხე კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. ვანო სტურუამ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში სთქვა: კაპიტალისტური ევროპა გრძნობს რა თავისი აღსასრულის მოახლოვებას, ყოველმხრივ ავიწროებს ევროპის მუშათა კლასს და ევროპის ციხეებში ათასობით ათავსებს რევოლიუციის მებრძოლთ. ჩვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს გავაძლიეროთ ჩვენი დახმარება რევოლიუციის მებრძოლებისადმი.

უსურვა რა ნაყოფიერი მუშაობა კონფერენციას, ამხ. სტურუამ აღნიშნა, რომ ბრძოლის ველზე ამ ერთი წლის განმავლობაში დაეცა არა ერთი რევოლუციონური მებრძოლი და წინადადება მისცა კონფერენციას პატივი სცეს მათ ხსოვნას.

შემდეგ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ბუხარინი, სტალინი, კალინინი, რიკოვი, ცხაკაია, მახარაძე, კახიანი, ქართველიშვილი, სუხიშვილი, სტასოვა, კლარა ცეტკინა, ა. ბარბიუსი, ბ. სტეფანოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ვოროშილოვი და სოლცი.

საქმიან პრეზიდიუმში: ვ. სტურუა, ბედია, ჩოდრიშვილი, ბელიაევი, ქორავა, არაზაშვილი, ნაცვლიშვილი, სლავინი, ჟორჟოლაძე, ისანიოკი, შუსტოვა და ათაბეკოვ-ტუმასი. სამდივნოში არჩეულ იქნა ხუთი კაცი. ბელიაევის წინადადებით კონფერენცია ადგენს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო რემედასის ცენტრალურ კომიტეტს. შემდეგ მოსმენილ იქნა მისასალმებელი სიტყვები. საქართველოს პოლიტკატორღელთა სახელით კონფერენციას მიესალმა ათაბეკოვ-ტუმასი, ლენინის რაიონიდან—ნაცვლიშვილი, მესამე რაიონიდან—არაზაშვილი, მეორე რაიონიდან—სლავინი, მეოთხე რაიონიდან—სუროვი, სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოებიდან—სტეპანიანი და ცინცაძის ქალი.

მისალმებების დამთავრების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი.

პირველი მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. ბედიამ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი არმიის აღზრდა-მომზადება

(საზამთრო პერიოდის ამოცანები)

წითელ-არმიელთა პოლიტიკურად აღზრდა, მათში კლასობრივი შეგნების გამომუშავება—არის ერთი მთავარი საკითხი წითელი არმიის მომზადების საქმეში, ეს არის წითელი არმიის უმთავრესი თვისება, რომელიც ანიჭებს მას უძლევ ძალას. წითელი არმიელის აღზრდა ამ მიმართულებით სწარმოებს მთელი ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ ეს ორი წელი იყოფა სხვადასხვა პერიოდებათ. უმთავრესი აქ არის საზამთრო და საზაფხულო პერიოდება.

საზამთრო პერიოდი ხასიათდება ახალწვეულ წითელ-არმიელთა მომზადებით. თავისთავად ცხადია, რომ მზადება სწარმოებს ძველ მსახურ წითელ-არმიელებთანაც, მაგრამ, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვთ ახალწვეულებს. ეს იმიტომ, რომ ახალწვეული ამ დროს პირველად ეცნობა ყაზარმულ ცხოვრებას, სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას და სამხედრო დისციპლინას.

საზამთრო პერიოდის აღზრდა-სწავლების პროგრამაში შედის შემდეგი მთავარი საკითხები: წითელი არმია და წითელ-არმიელები, წითელი არმია საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე, წითელი არმიის ბრძოლების ისტორია, კომუნისტური პარტია და წითელი არმია, საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ გარემოცვაში, წითელი ფიცი. გარდა ამისა, ხდება საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის საკითხების გარჩევა-დამუშავება.

პირველი საკითხი—წითელი არმია და წითელი არმიელი—მიზნად ისახავს განუმარტოს წითელ-არმიელს წითელი არმიის არსებობის აუცილებლობა და შთააგონოს წითელ არმიელს, რომ წითელ არმიას მხოლოდ მაშინ შეუძლიან დაიცვას თავისი სოციალისტური სამშობლო, მხოლოდ მაშინ შეუძლიან უზრუნველყოს მუშათა კლასს და გლეხებს მშვიდობიანი შრომა, თუ მასში განმტკიცებული იქნება ურყევი დისციპლინა და კლასობრივი—პოლიტიკური შეგნება, თუ მას ექნება სამხედრო საბრძოლო გაწვრთნა. ამ საკითხში შედის აგრეთვე წითელი არმიის კლასობრივი ხასიათი, რაც არის მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. კლასობრივი ხასიათი ჰქმნის წითელ არმიას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა და საბჭოთა კავშირის უძლეველ ძალათ.

პროგრამის საკითხთა შორის აღნიშნულ უნდა იქნეს საკითხი წითელი არმიის საბრძოლო ტრადიციების შესახებ. ამას აქვს ის მნიშვნელობა, რომ ახალგაზრდა წითელი არმიელები ეცნობიან რა წითელი არმიის გმირულ წარსულს, სამოქალაქო ომს, მის გამომწვევ მიზეზებს, სცდილობენ, რომ იყვნენ თავისი წინამორბედების ღირსეული მოადგილენი.

აღსანიშნავი საკითხი—კომუნისტური პარტია და წითელი არმია. ამ საკითხზე წითელი არმიელი ღებულობს ნათელ წარმოდგენას მხოლოდ წითელ ყაზარმაში. ყველამ იცის, რომ კომპარტია არის წითელი არმიის ბელადი, მისი ხელმძღვანელი. მაგრამ, რაც შეეხება კომპარტიის როლს წითელი არმიის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დაწვრილებით ამას წითელი არმიელი ხედავს ყაზარმაში. წითელი არმიელის კვება, ტანისამოსი, ბინა, დისციპლინა, სწავლება—აი საზრუნავი საგანი კომუნისტური პარტიისა. ამას ხედავს ყოველი არმიელი და ამიტომ კომპარტია ყაზარმაში სარგებლობს შეუდრეკელი ავტორიტეტით.

აი ეს მთავარი ამოცანები ახასიათებენ იმ პერიოდს სწავლებისას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ საზამთრო პერიოდს.

ბ. ადამაძე.

თავდაცვა-ავიაქიმის მასიური მუშაობა

მასიური მუშაობა წარმოადგენს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მთელი მუშაობის საძირკველს. მასიური მუშაობის საშუალებით მშრომელთა ფართე მასები იძენენ სამხედრო ცოდნას და ამით ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ფართე მასიური მუშაობის წარმოება. პირველ ხანებში საჭირო იყო ამ მუშაობის სახე ფორმების და მეთოდების გამოძებნა—დამუშავება. თქმა იმის, რომ დღეს ჩვენ გვაქვს კარგათ შემუშავებული მასიური მუშაობის ფორმები, არ შეიძლება, მაგრამ, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვა-ავიაქიმს მასიურ მუშაობის დარგში აქვს თვალსაჩინო მიღწევები.

უპირველეს ყოვლისა გაზრდილია წევრთა რიცხვი. მშრომელნი, როგორც მუშები, ისე გლეხები, ძალდაუტანებლივ, თავისი სურვილით მისწრაფიან საზოგადოებისაკენ, გრძნობენ რა, რომ ძლიერი საზოგადოება საუკეთესო თავდებია მტრებზე გასამარჯვებლად. გაიზარდა საზოგადოებაში ქალების რიცხვი, რაც ჩვენ პირობებში, უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად. შემუშავებულია 1-ლი და მე-2 საფეხურის სკოლების გასამხედროების პროგრამები, გაზრდილია თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების რიცხვი და სხვა.

მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ იმ ნაკლებს, რომელნიც ჯერ-ჯერობით თან სდევენ მასიურ მუშაობას და აფერხებენ მის წარმატებით მსვლელობას.

მიუხედავათ წევრთა დიდი რაოდენობისა, საზოგადოებას არა ჰყავს ძლიერი აქტივი. ორგანიზაციებს არ მოეპოვებათ ხელმძღვანელი აქტივი, რითაც აიხსნება ამ ორგანიზაციების სუსტი მუშაობა.

არის მრავალი უჯრედი, რომელშიაც ირიცხება საკმაო წევრები, მაგრამ აქტივის უქონლობის გამო მუშაობა უჯრედში არ სწარმოებს. ამისათვის საჭიროა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ იზრუნოს აქტივის შესაქმნელად. გზები აქტივის შექმნისათვის მოძებნილი უნდა იქნეს თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს პირველ ყრილობის მიერ, რომელიც, უეჭველია, შესაფერ ყურადღებას მიაქცევს, სხვა საკითხებთან ერთად, მასიურ მუშაობასაც.

მოგვარებული უნდა იქნეს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის მუშაობა. უჯრედის ხელმძღვანელი სრული პასუხისმგებელი უნდა იყოს უჯრედის მდგომარეობისათვის, ამისათვის კი საჭიროა მათი სათანადო შერჩევა და ხელმძღვანელობა მათდამი.

საზოგადოებრივი დისციპლინის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა, რომ საზოგადოების წევრები იცნობდნენ საზოგადოების წესდებას. შემოღებული უნდა იქნეს საზოგადოებიდან ისეთ წევრების გამორიცხვა, რომლებიც არ ასრულებენ წესდებას და არ ემორჩილებიან დისციპლინას.

ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული საზოგადოების უჯრედების მუშაობის პოლიტ-საგანმანათლებლო დარგი. უჯრედების სხდომებზე, კრებებზე და საღამოებზე კეთდება ხშირად მშრალი მოხსენებები თავდაცვის ირგვლივ და არ ექცევა არავითარი ყურადღება მუშაობის ცოცხალ და მხატვრულ მხარეს, ამისათვის, ასეთი საღამოები არ არიან მიმზიდველნი და წევრებიც არ დადიან მათზე ხალისით.

ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედების ფინანსიურ მხარესაც. საწევრო გადასახადის საკითხი ყველგან მოისუსტებს, რაც დიდათ აფერხებს ორგანიზაციების მუშაობას.

აი თითქმის, ყველა ის ნაკლი, რომელიც თან სდევს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობას. ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნეს დაკვრითი წესით, რათა შემდეგში უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების გეგმიანი, პრაქტიკული მუშაობა.

ი. ზ.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

1906 წელში დაბადებული ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება დამთავრდა ყველგან. ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად მზადება ჩატარდა წარმატებით. წვევამდელებმა სამხედრო ცოდნასთან ერთად შეითვისეს აგრეთვე პოლიტიკური საგნებიც. ბევრ ადგილას წვევამდელთა შორის სწარმოებდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

საარტილერიო კაბინეტი

მოსკოვის წითელი არმიის და ფლოტის ცენტრალურ სახლთან არსდება საარტილერიო კაბინეტი, კაბინეტის მიზანია გააცნოს ყველა გვარეობის ჯარის მეთაურებს არტილერიის მუშაობა, კაბინეტი გაუწევს აგრეთვე დახმარებას იმ სტუდენტებს, რომელნიც გადიან უმაღლეს წვევამდე მზადებას.

ერთდღიანი შეკრებები

№ ქართ. დივიზიის ტერიტორიალური ნაწილები ამჟამად ატარებენ ცვალებადელთა ერთდღიან შეკრებებს. შეკრებები ტარდება კვირაობით, რადგან ცვალებადელნი ამ დღეს თავისუფალნი არიან სამუშაოდან.

თავდაცვა-ავიაქიმის მანევრები

ამ რამოდენიმე ხნის წინათ თავდაცვა-ავიაქიმის ქვემო-ჭალის და კასპის უჯრედებმა ჩაატარეს გაერთიანებული მანევრები. დანიშნულ დროს, დილის 5 საათზე, მანევრების მონაწილენი უკლებლივ გამოცხადდენ მანევრების ადგილას. მანევრებში მონაწილეთა რიცხვი უდრიდა 320 კაცს, აქედან 80 პროც. იყო კომკავშირელნი. ბრძოლა გაიმართა ქვემო-ჭალის და კასპის შუა მდებარე მთებზე.

მანევრების დამთავრების შემდეგ მოეწყო შეჯიბრი სროლაში მაშხანა თოფიდან. შეჯიბრზე დაჯილდოებულ იქნენ კარგი სროლისათვის 10 კაცამდე.

გორელი.

შრომის კონფლიქტების გაჭიანურების შესახებ *)

(ამხ. გოდაბრელიძის წერილის გამო)

მეორე თვეა, რაც „პრავდაში“ და „ტრუდში“ დაწყებულია დისკუსია ამხ. ლარინის მიერ დასმულ პრობლემის ირგვლივ, თუ როგორ უნდა გამარტივდეს შრომის ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტების განხილვის წესი და მოისპოს საქმის გაჭიანურება. პირადათ ამხ. ლარინმა ერთ-ერთ ზომად წარმოადგინა ერთი მხარესათვის—დამქირავებლისათვის კასაციის (განსაჩივრების) უფლების მოსპობა.

ამხ. ლარინი შრომის საქმეების განხილვაში გაჭიანურებას აწერდა უმთავრესად ინსტანციების სიმრავლეს.

ეტყობა საკითხი თავის თავად მეტად მომწიფებული იყო, ვინაიდან წერილს გამოეხმაურენ ბევრნი. საკითხმა მიიპყრო აგრეთვე ყურადღება რ.ს.ფ.ს.რ. შრომის კომისარიატისა, რომელმაც შრომის კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. დოგადოვის თავმჯდომარეობით სპეციალურ კომისიაში დაამუშავა კონფლიქტების მსვლელობის დიაგრამა. ამ უკანასკნელის მიხედვით (იხ. გაზ. „ტრუდ“-ის № 12—28 წ.) სამომრიგებლო-საკონფლ. და სასამართლოს ორგანოების აპარატი ისეა აგებული, რომ საქმის განხილვა შესაძლებელია 23-ჯერ.

პრესაში მოყვანილი იყო აგრეთვე გაჭიანურების მაგალითები საქმის 27 ჯერ განხილვისა, საქმის 5 წლ. განმავლობაში წარმოებისა და სხვა.

საკითხმა მიიპყრო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება და ამჟამად მთელ საკავშირო მასშტაბით სწარმოებს დისკუსია.

ის გარემოება, რომ შრომის საქმეების განხილვა სწარმოებს ნელი ტემპით და იწვევს მრავალ უკმაყოფილებას; რომ არსებული წესი, სტრუქტურა ჩვენი საკონფლიქტო და სასამართლოს ორგანოებისა არავის არ აკმაყოფილებს—უდავოა. მხოლოდ მდგომარეობის გამოსწორებისათვის სხვადასხვა წინადადებებს იძლევიან. პირადათ ჩვენ დასმულ კითხვაზე „ზარია ვოსტოკა“-ში გავეცით შემდეგი პასუხი:

საკასაციო ინსტანციის გაუქმება (შრომის საქმეებისათვის) მისაღებია, თუ უფლების შეზღუდვა გავრცელდება ორივე მხარეზე, ე. ი. წინააღმდეგ ამხ. ლარინის წინადადებისა ჩვენ გამოვსთქვით აზრი რომ შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოდ უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც დამქირავებლისათვის, აგრეთვე დაქირავებულისათვისაც (მუშისათვისაც).

ამას ვასაბუთებთ იმით, რომ საკასაციო ინსტანცია ყოველთვის არ ასწორებს შრომის სასამართლოს მუშაობას, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ახდენს [illegible]

დამქირავებელი საკასაციო ინსტანციას მიმართავს არა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსასწორებლად, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. მას ეშინია, რომ ნებაყოფლობით გადაწყვეტილების შესრულება თავის არა სწორი მოქმედების დადასტურებათ იქნება მიჩნეული.

მუშისათვის გასაჩივრების უფლების დატოვება საქმის გაჭიანურებას კვლავ შეუწყობს ხელს, ვინაიდან, დაქირავებულის დამცველნი ისარგებლებენ ამ საშუალებით. ამას კი ფართოდ გამოიყენებს დამქირავებელიც.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენ აგრეთვე კასაციის უფლების სარჩელის ჯამთან დაკავშირება (იყო წინადადება: 1000 მანეთის ზევით, მხარეებს მიეცეთ უფლება განსაჩივრებისა), ვინაიდან კეთილ-სინდისიერად აგებული სარჩელი ამ თანხას არ აღემატება, მით უმეტეს, რომ შეიძლება მხოლოდ 6 თვის გაცდენილი დროის ხელფასის მიღება, ზედმეტი მუშ. კი—3 თვისა. გარდა ამისა ეს საზომი ბევრს კასაციის უფლების მოსპობის საშუალებას მისცემდა სარჩელის ჯამის განგებ გადიდებით.

საკასაციო ინსტანციის სრულიად გაუქმების მიზანშეწონილებაში ჩვენ გვარწმუნებდა აგრეთვე ის მცირე პროცენტი საქმეებისა, რომელიც გაუქმებულია კასაციით.

რამდენადაც საკასაციო ინსტანციას ნაკლებად შეაქვს კორექტივი შრომის სასამართლოს მუშაობაში, მისი გაუქმება შრომის სასამართლოს მუშაობის თვისებითი მხარეზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებდა და მხოლოდ გაგვიმარტივებდა მუშაობას და საგრძნობ ეკონომიასაც მოგვცემდა დროსა და ხარჯებში.

შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების და საკასაციო ინსტანციის გაუქმების შემთხვევაში დატოვებული უნდა იქნეს საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის საშუალება. ვინაიდან შრომის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა, თუ გინდ ამავე სასამართლოს მიერ შენიშნული და აღიარებული, შრომის სასამართლოსვე მიერ ვერ იქნება შესწორებული. ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვა არავითარ საფრთხეს არ გვიქადის, ვინაიდან 1927 წლ ციფრები გვიმტკიცებენ, რომ პროკურატურა ამ საშუალებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს.

ამრიგად სასამართლოს ორგანოებში პროცესის გამარტივებისათვის ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შრ. საქმეებზე საკასაციო ინსტანციის სრულიად მოსპობა.

გარდა ამისა ჩვენ აღვნიშნავდით, რომ გაჭიანურება საქმეებისა მხოლოდ საკასაციო ინსტანციის არსებობას ვერ მიეწერება, რომ თუ უკანასკნელის გაუქმებას თან არ მოჰყვა შრომის სასამართლოების მუშაობის პირობების გაუმჯობესება, უარყოფითი მოვლენები შრომის სასამართლოს მუშაობაში (ასეთი კი, ამჟამად მრავალია) არ იქნება მოსპობილი შემდეგ ამისა აღვნიშნავდით გაჭიანურების მთელ რიგ მიზეზებს და მათ წინააღმდეგ სათანადო ზომებს.

რატომღაც ამხ. გოდაბრელიძეს „ზარია ვოსტოკა“-ში ამოუკითხავს მხოლოდ ნაწილი, თითქოს დანარჩენი არც ენახოს, დღელავს თუ როგორ გავბედეთ და ვაღიარეთ, რომ საქართველოში „პრავდა“ და „ტრუდ“-ში მოყვანილ მაგალითების მსგავსს ადგილი არ ჰქონია. აწერილი (27-ჯერ საქმის განხილვა, 5 წლ. განმავლობაში საქმის წარმოება) იმდენად არა ჩვეულებრივია, რომ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევის ავტორიც ინსტანციების დათვლაში ამხ. გოდაბრელიძის მეთოდით სარგებლობს და იმ მაგიდასაც, სადაც პირველად მომჩივანის განცხადება იწერება ინსტანციას უწოდებს.

აქ ეჭვს გარეშეა, გადაჭარბებას და გაუგებრობას აქვს ადგილი. ამით, რა თქმა უნდა, არ ვუარვყოფთ, რომ ჩვენშიც გაჭიანურებას ადგილი აქვს. აღმაშფოთებელი შემთხვევები საქმის გაჭიანურებისა ჩვენშიც ხშირია და ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა მხოლოდ რეალურ, ფაქტიურად შესაძლებელ ზომებით

მართალია ამხ. გოდაბრელიძე, როდესაც ამხ. სტალინის სიტყვებით ჰკიცხავს კონსერვატიზმს, რომელიც მართლა ხშირად ხელს უშლის ჩვენ აღმშენებლობას, მხოლოდ არა ნაკლებ ვნებას მიაყენებს უკანასკნელს (აღმშენებლობას) ფანტასტიური მეთოდებით სარგებლობაც, ვინაიდან, თუ სურვილები, სინამდვილეს და რეალურ შესაძლებლობას არ შეუფარდეთ, მათი განხორციელება შეუძლებელი იქნება.

ავიღოთ თუ გინდ ამხ. გოდაბრელიძის მიერ მოწონებული საქმის წარმოების ვადები. „შრომის სასამართლოში საქმის შესვლიდან სრულ დამთავრებამდე—ერთი კვირა“-ო—ბრძანებს ამხ. გოდაბრელიძე ამას მოითხოვს ისეთი ამხანაგი, რომელსაც კარგად მოეხსენება: შრომის სასამართლოს ძალები, საქმეების რიცხვი, მათი ზრდის ტენდენცია, შტატების და ხელფასის ფონდების მდგომარეობა და პერსპექტივები.

დავანებოთ თავი ყველაფერს, ვთქვათ, რომ ყველა ფინანსიურ ხასიათის დაბრკოლებანი დავსძლიეთ. ფაქტიურად განა შესაძლებელია ერთ კვირაში უწყებების დარიგება, მოწმეების მოწვევა, საქმის განხილვა და გადაწყვეტილების შესრულება?

ამხ. გოდაბრელიძე ამითაც არ კმაყოფილდება. „შემდეგში კიდევ უნდა შევამციროთ“-ო. სანამდის?! არ გვეთანხმება ამხ. გოდაბრელიძე ზედამხედველობის წესის დატოვების საკითხშიც. აღნიშნული წესი, როგორც ჩანს მისი სიტყვებიდან, არა აქვს ნათლად წარმოდგენილი. მას ჰგონია, რომ ზედამხედველობას აწარმოებს უკონტროლოდ შრომის პროკურორი და უკანასკნელის „შეხედულებასთან არის დაკავშირებული საქმის ბედ-იღბალი“.

ზედამხედველობას ახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი—იუსტიციის კომისარი, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოთა მართლმსაჯულების და რევოლიუციური კანონიერების სწორად განხორციელებაში და მოვალეა სათანადო შემთხვევაში მიიღოს ზომები უზენაეს სასამართლოს პლენუმში, პროტესტის შეტანით დაშვებულ შეცდომის გამოსასწორებლად. ამ უფლების ჩამორთმევა წარმოუდგენელია, ვინაიდან მიზნათ აქვს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს და მშრომელთა მასის ინტერესების დაცვა. (იხ. სამოქ. სამ. საპ. კოდ. 254 მუხ. ტექსტი).

რომ უკანასკნელების ინტერესი უფრო მაღლა სდგას, ვინემ ცალკე მუშის ან ჯგუფისა, ამას ამხ. გოდაბრელიძე ვერ უარჰყოფს.

ამხ. ლარინი თავის დებულებას სათანადოთ ასაბუთებს და კრიტიკულ ანალიზით ცდილობს დაამტკიცოს, რომ წარმოდგენილი რეფორმა შესაძლებელია და მუშათა კლასის და მისი ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია. ამხ. გოდაბრელიძე კი ვერ ასაბუთებს თავის წინადადებას. რით აიხსნება თუ გინდ მისი წინადადება, რომ მუშა მოსამსახურეს უფლება უნდა მიეცეს გაასაჩივროს სასამართლოში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში მიღწეული შეთანხმება, იმისდამიუხედავად აუქმებს თუ არა უკანასკნელს შრომის ორგანო.

განა ეს არის ბრძოლა გაჭიანურებასთან?! ასეთი წესი სავსებით დაუკარგავდა შ.ს.კ. ინსტიტუტს ყოველივე მნიშვნელობას და ორგანო, რომლის დანიშნულებაა აღმოცენებულ დავის საჩქაროდ გადაწყვეტა, გარდიქცევა საქმის მსვლელობის შესაფერხებელ ზედმეტ დაწესებულებათ.

დაუბოლავებელი პროცესი უკარგავს მუშას რწმენას სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობაში, სამართლიან გადაწყვეტილების ძებნა ისეთ არანორმალურ ხასიათს ღებულობს, რომ ხშირად მუშა გელაპარაკებათ კარგი დამქირავებლის „ადვოკატის“ ენით და სასამართლოს და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში საჩივრების წერას თავის პროფესიად იხდის. როდესაც დავაკვირდებით დაავადებულს რომელიმე ვექილი ამას შეურიგდებით, ვინაიდან ის მახვეჭელია თავის პროფესიისა, მხოლოდ საშინელია თავისი შთაბეჭდილებით [illegible] მუშა. ის სარგებლობს ყველა დასაშვებ და დაუშვებელ საშუალებებით და არ სტოვებს არც ერთ ორგანოს, რომ არ მიმართოს საჩივრით.

მიზეზი კი ამისა არის საქმის გაჭიანურება.

ამიტომ კვლავ ვიმეორებთ, რომ ინსტანციები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, კასაციით განსაჩივრების უფლება უნდა მოისპოს.

თუ გავიხსენებთ შრომის სასამართლოს სპეციალურ შემადგენლობას: ერთი წარმომადგენელი—სამეურნეო ორგანოდან, ერთი—პროფკავშირის და ერთი (თავმჯდ.) იუსტიციისა, დაგვეთანხმებიან, რომ ის თავისი კვალიფიკაციით მაღალია და საკმარისად ავტორიტეტულია, გარდა ამისა ის გარემოება, რომ შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნება, აიძულებს მხარეებს ამოსწურონ ყველა საშუალებანი საქმის სათანადო დამთავრებისათვის.

სახელმწ. წარმოების წარმომადგენელი უფრო სერიოზულად შეხვდება შრომის სასამართლოში მოწვევას, ვინაიდან მოსპობილი იქნება გადაწყვეტილების საკასაციო ინსტანციაში გამოსწორების იმედი და საშუალება.

კასაციის უფლების გაუქმება გააძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას, როგორც მხარეების, აგრეთვე სასამართლოს მხრივ და ხელს შეუწყობს სწრაფ და სამართლიან გადაწყვეტილების გამოტანას.

რ. ამიროვი.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ახალი წესდება

საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ჯერ კიდევ გასული წლის იანვრის დადგენილებით, (კოოპერატიული კანონის შესახებ გამოცემული დებულების თანახმად) ევალებოდა ყველა რესპუბლიკანურ მთავრობებს სას. სამ. საკრედიტო ამხ-თა ახალი წესდებების გამოცემა.

ხსენებული კანონის გამოცემით ბოლო მოეღო სას.-სამ. საკრედიტო სისტემისა და სას. სამ. კოოპერაციის შორის დიდ დავას. საკრედიტო სისტემის ძირითადი უჯრედის ტიპიურ სახეობის შესახებ, როგორც იყო საკრედიტო ამხანაგობა სავაჭრო-საშუამავლო ფუნქციებით.

ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ 1927 წლის 23 ნოემბრის თარიღით გამოცემულია ამის თანახმად სას. სამ. საკრ. ამხ-ბის სანიმუშო წესდება. აქამდე არსებული წესდებანი შეიცავდნენ დიდ სხვადასხვაობას ერთი მხრივ—წმინდ საკრედიტო ორგანიზაციებ[illegible] მეორე მხრივ—სას.-სამეურნეო კოოპერატივებისა. ისინი არ იძლეოდნენ სას.-სამ. საკრედიტო სისტემის ქვედა საფეხურის მოქმედების სფეროს, ხასიათის და მუშაობის მოცულობის სწორ სურათს.

ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ წესდებით კი, რომელიც არის აგებული კოოპერატიულ კრედიტის კანონის საფუძვლებზე, მაქსიმალური სისწორით არის განსაზღვრული საკრედიტო ამხ.-თა მოქმედების სფერო და მათი მუშაობის ხასიათი; აქ არის უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ყველა გადაწყვეტილებათა სრული გამოხატულება.

სას.-სამ. საკრედიტო ამხ-თა გადაყვანა ახალ წესდებაზე ა.-კავკასიაში ბევრ ადგილას უკვე დაიწყო, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზოგიერთი ცენტრები საჭიროთ სთვლიან შეაფერხონ ან და, ხელიც შეუშალონ ამხ-თა ახალ წესდებაზე გადაყვანის საქმეს, რასაც ხსნიან ხსენებული წესდების ზოგიერთ დებულებათა შეუთანხმებლობით კოოპერატიულ კრედიტის და სას.-სამ. კოოპერაციის ინტერესებთან.

კოოპერაცია არ არის კმაყოფილი, უმთავრესად, ახალი წესდების იმ დებულებებით, რაც საყრდენ გამოხატულებას ჰპოვებენ წესდების მე-6, 18, 35 და 76 მუხლებში.

რაზეა ლაპარაკი წესდების მე-6 მუხლში?: „ამხ-ბას, საერთო კრების დადგენილებით, შეუძლია შევიდეს წევრათ ან მეპაიეთ კოოპერატიულ შენაერთებში და სხვა ორგანიზაციებში, რომელთა მიზნები ეგუება ამხ.-ბის მიზნებს. ამ შენაერთებში და ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის ამხ-ბას შეუძლია გამოყოს ფაქტიურად რეალიზაცია ქმნილი თავის საპაიო კაპიტალის არა უმეტეს 20 პროცენტისა“.

სას.-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებს სურთ, რომ ამხ-ბებმა სხვა ორგანიზაციებს წევრობისათვის გადაიხადონ 25 პროც. არა ფაქტიურად განაღდებულ საპაიო თანხებისა, არამედ მთელი ძირითადი თანხების, რაც შესდგება არა მარტო საპაიო და საწევრო გადასახადისაგან, არამედ ნასესხი სახსრებიდანაც.

თუ სხვა დაწესებულებათა აქციების და პაების შეძენის დროს მივიღებთ მხედველობაში არა ნამდვილად აკრეფილ საპაიო გადასახადის, არამედ ამხ-ში შესატან მთელ საპაიოს რაოდენობას, წესდებით რომ კიდევაც ეს საწევრო ანარიცხები, განსაზღვრულ იქნას 20 პროც. რაოდენობით, ამხ-თა საპაიო თანხების 30 პროცენტზე მეტი მოუნდება მათ სხვადასხვა ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის, ვინაიდან მთელ ა.-კ. მასშტაბით საკრედიტო ამხ-ბებში საპაიო აკრეფილია მხოლოდ 70 პროცენტამდე.

შეკრეფილ საპაიოს ანგ-შით ამ ანარიცხების რაოდენობის გადიდება ამხ-ბებისათვის 20 პროცენტზე მეტით, გამოიწვევს ამხ-თა დაუძლურებას და რეალური თანხებს საგრძნობლად შეჰკვეცავს, რაც ძირს გამოუთხრის მათ ფინანსიურ სიმტკიცეს. მოუსპობს საშუალებას ამხ-ბებს გამოიყენონ საპაიო თანხები თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით საკრედიტო ოპერაციებისათვის და წაართმევს მათ წესდების მე-55 მუხლის შესრულების შესაძლებლობას, რომელიც ლაპარაკობს შემდეგზე: „საპაიო თანხებიდან გრძელვადიან სესხებში უნდა მოთავსებულ იქნას არა ნაკლები 20 პროცენტისა“.

რასაკვირველია, ვერავინ ვერ აუკრძალავს საკრედიტო ამხ-ბას წესდების მე-6 მუხლში გათვალისწინებულ 20 პროც. გარდა ისარგებლოს აგრეთვე, ხსენებული მუხლის იმ ნაწილით, რომელიც ამბობს: „ამაზე მეტის დახარჯვა აღნიშნული მიზნებისათვის ამხ-ბას შეუძლია იმ სპეციალური თანხებიდან, რომელიც შედგენილია ამ მიზნებისათვის მოგების ანარიცხებიდან და ამხ-ბის წევრთა სპეციალური შენატანებიდან“. ძირითად ნასესხი თანხებიდან კი რაიმე ნაწილის გამოყოფა სხვა ორგანიზაციებში საპაიო შესატანათ დაუშვებელია. მე-18 მუხლი ამბობს: „ამხ-ბის ვალდებულ წევრს, თანახმად ამა წესდების მე-9 მუხლისა, ეკისრება დამატებითი პასუხისმგებლობა ამხ-ბის ვალდებულებებისათვის. პასუხისმგებლობა ეს განისაზღვრება საპაიო შესატანის ათმაგი რაოდენობით“.

ეს მუხლიც საჭიროებს შესწორებას, ვინაიდან პასუხისმგებლობის რაოდენობაზე მეტი განსაზღვრა სრულებით რეალური არ იქნებოდა. სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხ-თა ძველი წესდებით ეს პასუხისმგებლობა მერყეობდა 5-დან 10-დე.

პასუხისმგებლობის—გახსნილ კრედიტთან შეფარდების განსაზღვრა კი არ იქნებოდა სწორი ვინაიდან ამხ-ბის ყოველი წევრი უმეტესად პასუხს აგებს მის მიერ ამხ-ბიდან აღებულ სესხზე და ამის გარდა არის შემთხვევები, რომ ყველა წევრებს ყოველთვის არა აქვთ დავალიანება ამხ-ბის წინაშე სესხების სახით; გამოდის, რომ თუ წევრს ამხ-ბიდან არა აქვს მიღებული სესხი, ის ამხ-ბის საქმეებისადმი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, რაც არ შეეფერება კოოპერატიულ სულს და საქმიანობას.

იმ საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით, რაც მტკიცეთ ტარდება ს. ს. საკრედიტო სისტემაში, ე. ი. მაშინ, როდესაც მთელი კრედიტების დენა მიმართულია, უპირატესად, გლეხთა ღარიბ და საშუალო ფენებისაკენ, პასუხისმგებლობის კრედიტთან შეფარდება ჯერ ერთი, რომ ფრიად საგრძნობი გახდებოდა ამ ფენებისათვის და მეორე—რომ ეს იქნებოდა ფიქცია—თავის მოტყუება.

მე-35 მუხლში დავას იწვევს შემდეგი დებულება: „სათადარიგო თანხა აუცილებლად თავსდება სახელმწიფო სესხების ობლიგაციებში, რომელიც გადაეცემა შესანახად ადგილობრივ სას.-სამ ბანკებს; ამასთანავე სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბის მხრივ ამ ფასიან ქაღალდების უკანვე გამოტანა შეუძლია ადგილობრივ სას.-სამ. ბანკის თანხმობით, რომელსაც წარედგინება საერთო კრების ოქმები სათადარიგო კაპიტალის ანგარიშით ზარალის დაფარვის შესახებ“.

ამის გამო სას.-სამ. კოოპერაცია აყენებს მოთხოვნილებას, რათა სათადარიგო თანხა არ იქნეს დაბანდებული სახელმწიფო სესხების ობლიგაციებში, არამედ მოთავსდეს ამხ-ბის სახსრების თავისუფალ ბრუნვაში.

რომ დაუშვათ ასეთი შეუფერებლობა. საკრ. ამხ-ბის სახსრების ბრუნვებში იმყოფება ყველა დანარჩენი თანხებიც როგორიცაა საპაიო, სპეციალური სახსრები, აღებული სესხები, კონტოკორენტიული ანგ-შები და სხვა. როგორ დაფარავს ამხ-ბა ზარალს, თუ მას არ ექნება მოთავსებული თავის სათადარიგო თანხა ისეთ საუზრუნველყო ფასეულობებში, როგორიცაა სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები. ეს ქაღალდები, რომლებიც ინახება ბანკში წარმოადგენენ საუკეთესო გარანტიას საკრედიტო ამხ-ბის ზარალიანობის და ან საკრედიტო მისი გაკოტრების დროს. ამის გარდა საკრ. ამხ-ბები ხომ ვერ დარჩებიან სახელმწიფო სესხებში მონაწილეობის მიუღებლად; ამასთან ერთად ამხ-ბებს არ შეუძლიათ ასეთ მონაწილეობისათვის გამოიყენონ სხვა რაიმე თანხები და აღებული სესხები. ამრიგად სახელმწიფო სესხებში უნდა მოთავსებულ იქნას ამხანაგობათა სათადარიგო თანხები, რომლებსაც დაერიცხება აგრეთვე პროცენტები.

უფრო დიდ დავას იწვევს სას.-სამ. კოოპერაციის მხრივ წესდების მე-76 მუხლი, რომელიც ამბობს: „სავაჭრო ოპერაციებს თავის ხარჯზე (მუხ. 74) საწარმოო ოპერაციებს და, აგრეთვე, ელექტროფიკაციისა და მელიორაციისათვის საჭირო ღონისძიებებს ამხ-ბა აწარმოებს სპეციალური თანხების ანგარიშზე (მუხ. 36—37). არავითარი სხვა თანხები არ შეიძლება მოხმარდეს ამ მუხლში აღნიშნულ მიზნებს. საერთო თანხა დავალიანებისა აღნიშნულ ოპერაციებით და წამოწყებებით არ უნდა ჭარბობდეს მათთვის შექმნილ სპეციალურ თანხების ხუთმაგ რაოდენობას“.

მე-74 მუხლი კი ლაპარაკობს რომ: „გასაღების და მომარაგების ოპერაციებს ამხ-ბა აწარმოებს, როგორც თავის ხარჯზე, ისე თავისი წევრთა და სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგ. ორგანიზაციათა დავალებით და მათივე ხარჯზე“.

სას.-სამ. კოოპერაციის აზრით—შეფარდების ხუთმაგი რაოდენობა შეაფერხებს სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბის განვითარებას და აუცილებლად მიაჩნია 10 მაგი შეფარდების განსაზღვრა. ვნახოთ ასეა ეს თუ არა?

წესდებაში მკაფიოთაა ნათქვამი, რომ ამხ-ბის საერთო დავალიანება იმ ოპერაციებით, რომლებსაც ამხ-ბა აწარმოებს თავის ხარჯზე და რისკით, განისაზღვრება მისი სპეციალური თანხების 5-ჯერ მეტი რაოდენობით. ამხ-ბის სპეციალური თანხები სდგება კი ნასესხი თანხებიდან და ამხ-ბის მოგებიდან მცირედი ნაწილის გადარიცხვით.

სპეციალურ თანხებში მოგებიდან ასეთ გადარიცხვებს ქონდა ადგილი, მხოლოდ, 1926—27 საოპერაციო წელში. ამჟამად კი ს.-ს. ბანკებიდან ნასესხი სახსრები ამხ-თა სპეციალურ თანხებში უდრის 570.000 მანეთზე მეტს. მიმდინარე წელში კი სას.-სამ. ბანკებს განზრახული აქვთ ეს ციფრი აიყვანონ მილიონ მანეთამდე. ამრიგად ამხ-თა სპეციალური დანიშნულების თანხებში ექნებათ ნასესხი სახსრები მოთავსებული მილიონ მანეთზე მეტი. რაც შეეხება საკუთარ საშუალებებს, ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ყველა საკრედიტო ამხანაგობებმა მთელ ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წელში 100.000 მანეთზე მეტი გადასდონ ამ მიზნისათვის. თუ დაუშვებთ თავის ხარჯზე ნაწარმოებ სავაჭრო ოპერაციების სპეციალურ თანხებთან ათმაგიან შეფარდებას, გამოვა, რომ ამ სავაჭრო ოპერაციების ამხანაგობები მთლიანათ აწარმოებენ ნასესხ საშუალებებით, რაც აუცილებლათ სახიფათო იქნება თვით ამხანაგობისათვის.

სავაჭრო ოპერაციების გარდა ამხ-ბებს, ხსენებულ წესდების თანახმად, შეუძლიათ მოაწყონ შემდეგში წამოწყებანი თავის ხარჯზე და რისკით:

1) დამხმარე-საწარმოო დანიშნულების (გასაქირავებელი, ხორბლის სარკევი და დამხარისხებელი, საგრილებელი და საკონტროლო პუნქტები, საშესაკეთებლო სახელოსნოები და სხვა).

2) საწარმოო იარაღების, საამშენებლო მასალების (სახერხი, აგურ-კრამიტის და სხვა ქარხნებ-სახელოსნოები) და სხვა საგნების დასამზადებლად.

3) სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულობის გადასამუშავებლად (წისქვილები, მარცვლეულობის საფხვნელ-სარეშავები, ზეთის სახდელი, კარაქის სადღვები და ყველის ქარხნები, ბოსტნეულის საშრობები, ხილის და სხვა ბოჭკოვან მცენარეთა პირველ საფეხურის გადასამუშავებელი ქარხნები და სხვა.

4) სასოფლო სამეურნეო (სადედეებ-სანერგები) და სხვა ამგვარი წამოწყებები.

5) სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და მელიორაციისათვის საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად და სხვა.

შეიძლება დაუშვათ თუ არა, რომ საკრედიტო ამხ-ბებმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წამოწყებანი მოაწყონ და აწარმოონ სპეციალური თანხებით, რომლებიც შესდგება, მხოლოდ, ნასესხი საშუალებებიდან? ხომ ნათელია, როდესაც კოოპერაცია თხოულობს ამხ-ბების მიერ ოპერაციების წარმოებას ამხ-ბისავე ხარჯზე ათმაგი შეფარდების ფარგლებში, მისი ე. ი. კოოპერაციის სახსრები მონაწილეობენ აქ 10 პროცენტის რაოდენობით და როდესაც ამ 10 პროცენტში უდიდესი ნაწილი ნასესხია, თავად ამხ-ბა ზემოხსენებულ წამოწყებათა მოწყობაში და სავაჭრო ოპერაციების წარმოებაში თავის საკუთარი სახსრებით, თითქმის, არც კი იღებს მონაწილეობას და ყველაფერი ეწყობა და სწარმოებს ნასესხი საშუალებებით. როდესაც ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, საკრედიტო ამხ-ბებისათვის იქმნება მათთვის კრედიტების მიმწოდებელ ორგანიზაციების მხრივ კრედიტების შეწყვეტის და ამხ-თა მოქმედების შეკუმშვის მუდმივი საშიშროება.

შესაძლებელია თუ არა მისი დაშვება, რომ საკრედიტო ამხ-ბა, რომელმაც განიზრახა რაიმე ქარხნის ან და სანერგეს მოწყობა, ამ საქმეში არ მონაწილეობდეს თავის სახსრებით 20 პროც. რაოდენობით მაინც, როგორც ეს წესდებითაა გათვალისწინებული? ჩვენის აზრით ეს აბსოლიუტურათ შეუძლებელია, მით უფრო საკრედიტო შესაძლებლობათა შემცირებასთან და იმ საერთო გეზთან დაკავშირებით, რაც მიმართულია კოოპერაციის განვითარება და გამაგრებისაკენ. ხუთმაგი შეფარდების დროს საკრედიტო კოოპერაცია ასეთ წამოწყებებში 20 პროცენტითაც ვერ ღებულობს მონაწილეობას, ვინაიდან ამ 20 პროცენტშიაც უდიდესი ნაწილი, ისევ, ნასესხი საშუალებაა.

თუ კოოპერაცია ფიქრობს, რომ ხსენებულ 20 პროც. შეფარდებით იგულისხმება კონტრაქტაცია და სპეციალური ოპერაციები, რასაც ამხ-ბა აწარმოებს სხვადასხვა კოოპერატიულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების დავალებით, ასეთი განმარტება არ იქნებოდა სწორი. თუ კოოპერატიულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციები დაავალებენ საკრედიტო ამხ-ბას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების დამზადებას და ამ მიზნით ხსენებული ორგანიზაციები აძლევენ მას, თანხებს, ამ შემთხვევაში რაიმე შეფარდებას სპეციალურ თანხებთან სრულიად აღარ ექნება ადგილი. ლაპარაკია იმაზე, რომ საკრედიტო ამხ-ბები 20 პროცენტის რაოდენობით უნდა მონაწილეობდენ მხოლოდ იმ წამოწყებებში და სავაჭრო ოპერაციებში, რომელსაც ისინი აწარმოებენ თავის ხარჯზე. საკომისიო-საშუამავლო ხასიათის ოპერაციები, ცხადია უზრუნველყოფილი არ უნდა იქნას სპეციალური თანხებით, ვინაიდან ამ ხასიათის ოპერაციები სწარმოებს არა ამხ-ბის, არამედ თვით იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომელთა დავალებითაც აწარმოებს ამხ-ბა მას.

რაც შეეხება ამ ოპერაციებიდან მიღებულ ზარალს, ჯერ ერთი, არსებითად. ასეთს ადგილი არ უნდა ექნეს, ვინაიდან საკომისიო-საშუამავლო ოპერაციების დამზადების და მომარაგების დარგში წინასწარ უნდა იქნას ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ყოველ გვარი ზარალისაგან.

ამხ-ბას უნდა შეუქმნათ ისეთი პირობები და ატმოსფერა, რომ მან ხელი მოკიდოს მხოლოდ იმ ოპერაციებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება ზარალისაგან ერთი მხრით, მეორეს მხრივ—ამხ-ბამ უნდა შეეცადოს თავის წევრებისაგან მიიზიდოს სათანადო საშუალებანი სავაჭრო ოპერაციებისათვის და იმ წამოწყებათა მოსაწყობათ, რაც თვით ამხ-ბის წევრების ინტერესებს შეეფერება. ამ დებულებას კოოპერაცია მხედველობიდან უშვებს.

როდესაც ლაპარაკია წესდების მე-76 მუხლში ამ ოპერაციებზე საერთო დავალიანების შესახებ, მე-74 მუხლზე მითითებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მითითებაა მე-74 მუხლზე მთელი თავის შინაარსით, არამედ, მხოლოდ, მის იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია თავის ხარჯზე ნაწარმოებ ოპერაციებზე.

წესდების დანარჩენი მუხლები ისე ნათელი და გასაგებია, რომ მათი განმარტება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ამ რიგათ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის განვითარებისა და მისი სალი ფინანსიური მდგომარეობის შექმნისა და განმტკიცების მიზნით წესდება შედგენილია თავიდან-ბოლომდე სავსებით მისაღებათ.

დროა შევცვალოთ კურსი მარტოთ მარტო სახელმწიფო სახსრების კოოპერაციაში დაბანდებაზე, ვინაიდან ამხ. მოლოტოვის თქმისა არ იყოს მე-4 პარტყრილობაზე ეს სახსრები არა მარტო დაბანდებული არიან კოოპერაციაში არამედ სავსებით სოციალიზაციქმნილი არიან.

სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხ-თა ახალ წესდებაზე გადაყვანა, აუცილებლად უნდა იქნას უზრუნველყოფილი და დამთავრდეს ა. კ. სახკომსაბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ე. ი. მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე.

იმ საკრედიტო ამხ-ბებს, რომლებიც აღნიშნულ ვადისათვის არ იქნებიან ახალ წესდებაზე გადასულნი, დადგენილების თანახმად, არსებობის უფლება ერთმევათ.

კ. ჩხენკელი.

---

*) სადისკუსიოთ.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

თემსაბჭოები შეუდგენ საკონკურსო კამპანიის ჩატარებას

კონკურსმა გააცხოველა ინტერესი შემდგომი მუშაობის გამოცოცხლებისათვის

საბჭოების უმოქმედო დეპუტატებს ამომრჩევლები უკან იწვევენ

მუშ-გლეხკორთა ამოცანები მიმდინარე კამპანიაში

საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს კონკურსი ქალაქისა და სოფლის საბჭოების საუკეთესო სექციაზე. კერძოდ თბილისში უკვე კარგა ხანია დაიწყო ეს კონკურსი, მაზრებში და თემებში კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს.

კონკურსმა უნდა გამოამჟღავნოს არა მარტო სექციების მუშაობის ნაკლი და მიღწევები. არამედ დასახოს ამოცანებიც სექციების შემდეგი მუშაობის გასაცხოველებლად. არ კმარა მარტო მუშაობის ამა თუ იმ ნაკლის აღნიშვნა. საჭიროა აგრეთვე მითითება იმ ზომებზე, რომელიც გამოასწორებს ამ ნაკლს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სოფლად სექციების მუშაობა ჯერ კიდევ სავსებით არაა დამაკმაყოფილებელი. თუ ქალაქის საბჭოს სექციების მუშაობას უკანასკნელ ხანებში დაეტყო გაუმჯობესება, თუ მათ შესძლეს თავიანთ მუშაობაში ჩაებათ მშრომელთა ფართო მასა, სოფლად ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. აქ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლია გამოსასწორებელი. ამიტომ მიმდინარე კონკურსმა უნდა გამოამჟღავნოს ეს ნაკლი და დაეხმაროს სოფლის საბჭოს სექციებს, მის გამოსწორებაში.

მაგრამ მიმდინარე კამპანია ვერ შესძლებს დასახულ ამოცანების განხორციელებას, თუ მასში მხურვალე მონაწილეობა არ მიიღეს განსაკუთრებით მუშგლეხკ., თუ ისინი თითონ არ გახდნენ მთავარ ძალად ამ კონკ. სწორად და მიზანშეწონილად ჩასატარებლად. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვლაპარაკობთ მუშგლეხკორთა მოძრაობის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ, ვამბობთ, რომ მუშგლეხკორთა მოძრაობა—ეს არის მუშურ-გლეხური ხელისუფლების მთავარი ძარღვი, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა კანონიერების სწორად გატარებას და სასტიკად ებრძვის ყოველგვარ ბიუროკრატმოქმედებას და ნაკლს.

მუშგლეხკორებმა, ეს მნიშვნელობა და ეს ამოცანები, განსაკუთრებით უნდა გაამართლონ საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევის დროს. მათ უნდა სწერონ სექციების მუშაობისა და კონკურსის მიმდინარეობის შესახებ, როგორც ყოველდღიურ გაზეთებში, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთებშიაც.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ დღემდე მუშაგლეხკორებს არ გამოუჩენიათ საკმაო აქტიობა ამ მუშაობაში. ისინი არამც თუ ყოველდღიურ პრესაში, არამედ ადგილობრივ კედლის გაზეთებშიაც კი არაფერს სწერდენ მათ მიერ ამორჩეულ დეპუტატების მუშაობის შესახებ. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში, სულ არ გამოსულა კედლის გაზეთი და არ გაუშუქებია კონკურსის მნიშვნელობა, რაც აიხსნება მუშკორთა წრეების სუსტი მუშაობით და ადგილობრივ პარტიულ და პროფორგანოების არა სწორ ხელმძღვანელობით მუშკორთა წრეებზე.

კედლის გაზეთებმა ისე, როგორც სხვა მრავალ კამპანიებში, აქაც დახმარება უნდა გაუწიონ კონკურსს, სექციების მუშაობის ნაკლისა და მიღწევების გამომჟღავნებაში, მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად ღონისძიებების წამოყენებაში და სხვა. მთელი კამპანიის მსვლელობის დროს, მის დამთავრებამდე როგორც პრესაში, ისე კედლის გაზეთებში უნდა შუქდებოდეს სექციების მუშაობა, მათ მუშაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხები და თვით კონკურსის მიმდინარეობაც.

საერთოდ მუშა-გლეხკორებმა უნდა გააშუქონ ის, თუ როგორ მიმდინარეობს კონკურსი ადგილობრივ, რანაირ მონაწილეობას ღებულობენ კონკურსში ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და სხვა ორგანოები, როგორ მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნული ორგანოები თვით საბჭოთა სექციების მუშაობაში, რა ნაკლი მჟღავნდება კონკურსის მსვლელობის დროს, რა მითითებებს აძლევენ ამომრჩევლები სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და სხვა.

პროვინციის მუშკორები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფელთან და თვით სოფლის მეურნეობასთანაც. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არის ჩაბმული სოფლის საბჭოების მუშაობაში. ამიტომ გარდა ქალაქის საბჭოების მუშაობის გაზეთებში გაშუქებისა, მათ უნდა სწერონ აგრეთვე სოფლის საბჭოების და სექციების მუშაობაზეც. წერილებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას თუ როგორი მონაწილეობა მიიღო სოფლის საბჭომ საერთოდ და კერძოთ თითოეულმა სექციამ, სასოფლო მეურნეობის განმტკიცების საქმის რეალიზაციაში.

განსაკუთრებით რკინის გზის ხაზის მუშკორებმა ამ შემთხვევაში დიდი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გლეხკორებს და სოფლის კედლის გაზეთებს. მათ უნდა აუხსნან გლეხკორებს მიმდინარე კონკურსის მნიშვნელობა, კონკრეტიულად მიუთითონ იმ საკითხებზე, რაზედაც უნდა სწერონ გლეხკორებმა სექციების მუშაობის ირგვლივ, რა ზომებია საჭირო სექციების მუშაობის გასაცხოველებლად და სხვ. მაგალითად შეიძლება აღებული იქნეს თუნდაც სასოფლო მეურნეობის სექცია. რა გააკეთა მან გლეხობის კოლექტიურად შეკავშირებისათვის, საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესებაში. და სხ.

ასეთია მუშა-გლეხკორთა ამოცანები კონკურსის ჩატარებაში სოფლად და ქალაქად.

რამდენადაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშა-გლეხკორები ამ კამპანიაში, მით უკეთეს შედეგს მივიღებთ და კონკურსიც გაამართლებს თავის დანიშნულებას.

პროლეტარი.

რა გამოირკვა

(კომუნალური სექცია)

20 და 27 თებერვალს გამართულმა კომუნალურ სექციის თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენებამ, მრავალი შეკითხვები და საყურადღებო კამათი გამოიწვია. კრებაზე შემოვიდა სულ 69 შეკითხვა. კამათში კი მონაწილეობა მიიღო 35 მუშამ.

კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობა აღნიშნავდა კომუნალურ სექციის ნაყოფიერ მუშაობას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რაიონულ კომისიების მუშაობას, მუშათა უბნებში და მუშათა ბინებში ელექტრო-განათების გაყვანას, [illegible] საწინააღმდეგოდ წარმოებულ მუშაობას და მრავალ სხვა საყურადღებო საკითხებს. იყო ზოგიერთი საყვედურებიც იმის შესახებ, რომ სექციამ ვერ ჩააბა მუშაობაში ყველა დეპუტატი, ყველა მიმაგრებული მუშები. მაგრამ ასეთი გულნაკლული დეპუტატი იშვიათად დადის კრებაზე.

სექციის კრებაზე ისმება საყურადღებო საკითხები. აქ არის ჩვენი ტრიბუნა, უნივერსიტეტი, კურსები, სასწავლებელი, აქ, ამ მშრომელთა ტრიბუნაზე უნდა მიიღოს ყველა დეპუტატმა განათლება აქ უნდა წამოაყენოს ყველამ ამომრჩევლების დავალებანი და ნაკაზები. აქ უნდა გაცვალონ დეპუტატებმა თავიანთი თავი ერთიმეორეს. ამიტომ ყველა დეპუტატი უნდა ესწრებოდეს სექციის კრებას.

ამხანაგები მოითხოვდნენ სექციის მუშაობის უფრო გაცხოველებას: ჩაებათ საბჭოს მუშაობაში—ამბობდნენ მოკამათენი—და მაშინ უფრო გაიზრდება ჩვენი მუშაობაც.—ერთი სიტყვით კომსექციის საანგარიშო მოხსენებამ, რომელმაც გასტანა ორ დღეს და გამართულმა კამათმა დაგვანახვა, რომ კომუნალური სექციის მიერ წარმოებული მუშაობა, ნაყოფიერი და მიზანშეწონილია.

მოკამათეების მიერ წამოყენებული ნაკლი, შეცდომები და წინადადებანი, მომავალში უნდა გამოსწორდეს.

დულაძე.

ამომრჩეველთა შენიშვნები

მეტი ყურადღება მუშათა უბნებს

კომუნალურმა სექციამ დიდი ენერგია დახარჯა ლენინის უბნის კეთილმოსაწყობად, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ლენინუბანში, ახლად აგებული სახლები. მათ არც ნომერი აქვთ, ზოგიერთ ახალ ქუჩას სახელწოდება არა აქვს, ზოგან სინათლე არაა გაყვანილი და სხვ.

ლენინის უბანში არსებული საერთო წყლის ონკანების რიცხვი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობას. საჭიროა აღნიშნულ ონკანების რიცხვის გადიდება.

გარდა ამისა უყურადღებოდაა მიტოვებული მე-32 შრ. სკოლის (ლოტკინ გორა) ზევით გაშენებული ბაღი. ამ ბაღს მოვლა - პატრონობა სჭირია.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს მასიურ მუშაობას. მაგ. ლენინის უბანში 1926 წლიდან შენდება ახალი თეატრი, რომელიც დაიტევს 3.000 მაყურებელს. ამ თეატრის აგება თითქმის შეჩერებულია, ალბად უსახსრობის გამო. სექციას კი ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

ლენინის უბანში არც ერთი საავადმყოფო არ არის, რის გამო მუშები იძულებული არიან მიმართონ ყოფ. არამიანცის საავადმყოფოს. ნუთუ ასე გაუჭირდა ჯანმრთელობის სექციას გადადგა ნაბიჯი ლენინის უბანში საავადმყოფოს ასაგებად.

სავაჭრო - კოოპერატიულმა სექციამ უნდა მიიღოს ზომები, რათა მუშკოოპის გამგეობამ ლენინის უბანში გახსნას ხორცით სავაჭრო დუქანი. რადგან „ზაკტპო" ამ უბანს ხორცით ვერ აკმაყოფილებს.

თუთუნის ქარხნის მუშა ამ. კობიძე

საყვედურს გამოსთქვამენ

(თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს ქარხკომი)

სიმართლე უნდა ითქვას, რომ საბჭოს სექციები ვერ მუშაობენ წესიერად და დეპუტატების მიერ მითითებულ ნაკლს, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას: ჩვენმა დეპუტატებმა კომუნალურ სექციის სხდომაზე დასვეს ასეთი საკითხი:

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი"ს მუშებს დაურიგდათ ტრამვაის აბონემენტი, მაგრამ მუშები ვერ სარგებლობენ ამ აბონემენტით, რადგან ექვსი საათის შემდეგ აბონემენტს ძალა არა აქვს, ქარხანაში კი მუშაობა დილის რვის ნახევარზე იწყება. გარდა ამისა მუშებს, სესხის სახით ურიგდებათ 10 კაპეიკიანი პურის ჩეკები, როდესაც მუშები მიდიან მუშკოოპში პურის სასყიდლად, მოლარე მათ ხურდას არ უბრუნებს—გამგემ მიბრძანა, რომ ხურდა არ დაუბრუნოო. — უპასუხებს მოლარე მუშების შეკითხვაზე.

ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს ქარხანაში, სექციამ ყურადღება არ მიაქცია მუშების თხოვნას. ამიტომ ჩვენი ქარხნის მუშები საყვედურს გამოსთქვამენ სექციების მუშაობის ირგვლივ.

თუთუნის ქარხანა „პროლეტარის" ქარხკომი.

რას ამბობენ სექციის წევრები

დავალებას ვასრულებდი

ამხ. ვასილენკო

(რკინის გზის მთავარ სახელოსნოს დაზგის მუშა, კომუნალურ სექციის წევრი)

პირველ ხანებში მე სუსტად ვმუშაობდი, მაგრამ, როცა გავეცანი საქმის შინაარს, შემდეგ ენერგიულად შევუდექი იმ დავალებების პირნათლად შესრულებას, რომელიც დამავალეს ჩემმა ამომრჩევლებმა.

ლენინის უბანში ვაწარმოე კოლექტიური ხელის მოწერა ზაქესის სინათლის ბინებში გასაყვანად. დაზიანებული ქუჩები აღვადგინეთ და სადაც არ იყო კანალიზაცია ალმასკომს ვაცნობეთ, რათა გაეყვანა ასეთი.

ალმასკომმა სისრულეში მოიყვანა ჩვენი წინადადებები.

დაგვაკისრეთ სამუშაო

ამხ. მიხეილ მარკინი

(პოლიგრაფტრესტის ასოთ-ჩამომსხმელი ქარხნის მუშა, კომუნალური სექციის წევრი)

ჩვენი ქარხნიდან საბჭოში მე და ერთი კანდიდატი ვართ არჩეული. საბჭოს სხდომებს სისტემატიურად ვესწრებით, მაგრამ რატომღაც არც ერთ კომისიაში არ ვმუშაობ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი მაქვს საბჭოში აქტიურად ვიმუშაო. ჩვენი მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მოწვეთ ვისხდეთ დარბაზში და მუშის როლი შევასრულოთ

ჩაგვაბით საბჭოს საქმიანობაში, ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილს აღმშენებლობაში.

პასუხი არ მიგვიღია

ამხ. ლორია

(განათლების სექციის წევრი)

პირველ ხანებში მუშაობის გეგმის უქონლობის გამო სექციის ბიუროს მუშაობა კუს ნაბიჯით მიდიოდა. დელეგატს როგორი მუშაობა უნდა ეწარმოებია, და უმთავრესად რისთვის უნდა მიექცია ყურადღება, არ იცოდა.

შემდეგ, ამხანაგების დახმარებით შევადგინეთ სამუშაო გეგმა, მივეცით ბიუროს და შევუდექით მუშაობას.

3 წილად გვხვდა შრომის სკოლების დათვალიერება; სკოლების დათვალიერების დროს აღმოჩნდა შემდეგი ნაკლი: მე-10 და მე-29 შრომის სკოლასთან არსებულ სახელოსნოს მუშაობა ბრკოლდება ხელსაწყოების უქონლობის გამო.

ეს ნაკლი ვაცნობეთ სექციის ბიუროს, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

კამპანიის ჩატარება ადგილებზე

ენერგიულად შეუდექით სამზადისს

(ჩხარის თემი, შორაპნის მაზრა)

საბჭოს სექციების მუშაობის გამოკვლევისათვის საჭირო დირექტივები ჩხარის თემალმასკომის მიერ თავის დროზე იქნა მიღებული. 21 თებერვლიდან უკვე დავიწყეთ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლა, ამავე დღეს შესდგა ჩხარის თემსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც შეიმუშავა კამპანიის ჩატარების დაწვრილებითი გეგმა და გამოყო საბჭოებიდან უბნებზე მისამაგრებლად, საბჭოს აქტიური გლეხი — დეპუტატები.

26 თებერვალს შესდგა კომუჯრედების და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა თემალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ალ. ფანჩულაძის მოხსენება საბჭოს და ალმასკომის მუშაობის შესახებ. ამავე კრებამ განიხილა საბჭოდან გამოსაწვევ უმოქმედო დეპუტატების სია.

28 თებერვალს შესდგა ჩხარის თემსაბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საანგარიშო მოხსენება საბჭოს და ალმასკომის მუშაობის შესახებ. აღნიშნული კრება მეტად საქმიანი იყო, რასაც ადასტურებს ის, რომ შემოტანილი იქნა უამრავი შეკითხვები და კამათში მონაწილეობა მიიღო 25 მეტმა საბჭოს გლეხმა დეპუტატებმა. საბჭოსა და ალმასკომის საერთო მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

საბჭოს სხდომამ დაადასტურა საბჭოდან გასაწვევ უმოქმედო დეპუტატების უკან გასაწვევთა სია. ამ გარემოებამ სათანადო გავლენა იქონია საბჭოს თითოეულ დეპუტატზე მით, რომ მათში აუცილებლად გაღვივა პასუხისმგებლობის გრძნობა ამომრჩეველთა წინაშე.

ამრიგად გამოკვლევის კამპანიისათვის წინასწარი მუშაობა კარგად ჩატარდა და დანარჩენი მუშაობაც წარმატებით ჩატარდება.

ლალე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მალარიის ბუდე

(წერილი გურიიდან)

სიღნურ სადგურსა და ნიგოითს შორის მდებარეობს პატარა ტბა „ნარიონალი". თუ რა ზიანი მოაქვს „ნარიონალს" ამ მხარისათვის, ეს ყველასათვის ცხადია, ის არის ბუდე მალარიის და სხვა ათასგვარ ავადმყოფობის. მალარიამ აქ სრულიად გაანადგურა და გადააშენა რამოდენიმე სოფელი, მაგ. ჯაპანა. რომელიც ერთ დროს საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო, იქ ეხლა მხოლოდ ოციოდე კომლია, და მოსალოდნელია ისიც მალე გადაშენდეს. არ მოიძებნება ამ სოფელში ისეთი გლეხის ოჯახი, სადაც მალარია არ ბუდობდეს და თითქმის ოჯახის ყველა წევრები შეპყრობილია ამ სენით.

„ნარიონალის" დაშრობაზე ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ თვითმპყრობელობისა და შემდეგ მენშევიკების ხელისუფლების დროს, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ადგილობრივმა, ნიგოითის (რომლის ფარგლებში იმყოფება ეს ტბა) სათემო კრებამ, რომელსაც დაესწრო ხუთი სოფლის გლეხობა, დაადგინა ტბის დაშრობა. ხელისუფლების დახმარებით მოწვეულ იქნა ინჟენერი, გლეხობის სურვილით მოხდა თვით დაბეგვრა კვირაში ერთი დღის მუშაობის ყველასათვის სავალდებულოდ დაწესებით. ეს იყო 1923 წელში. მუშაობამ გასტანა მთელი ზაფხული. გლეხობა მუშაობდა დიდი ხალისით და სწრაფად. ტბაში უნდა ჩამოეშვათ მდინარე ხეიაწყალა. მაგრამ დახეთ უბედურებას. დაწყებული საქმე ბოლომდის ვერ მიიყვანა. ზაფხულის ბოლოში მუშაობა შეწყდა და ინჟენერიც სადღაც გაქრა, ეს საქმე დაივიწყეს მიეცა. არხებიც დაინგრა და ნაშრომი უქმად ჩაიარა.

აუცილებლად საჭიროა მომავალი გაზაფხულიდან მაინც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ამ ტბის დაშრობის საქმეს. რომ ნიგოითის თემის გლეხობა გიხსნათ მალარიით განადგურებისაგან.

ა. კალანდარიშვილი.

დიდი ხნის ნატვრა აგვისრულდა.

ს. მეჯვრისხევი, გორის მაზრა.

სოფელ მეჯვრისხევს დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა. წყაროს გამოყვანის ხელმძღვანელ კომისიის ენერგიული მუშაობით, პროექტი წყლის გამოყვანის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ. სულ წყაროს გამოყვანა ქვეხურიდან ჯდება 35 ათასი მანეთი. ხელმძღვანელმა კომისიამ გლეხობა შეძლების მიხედვით დაჰყო ოთხ კატეგორიად. პირველი იხდის 20 მანეთს, ხოლო მეოთხე—7-ს.

საყურადღებო ის არის, რომ ინიციატივა წყაროს გამოყვანისა თვით სოფელმა აიღო ხელში—აირჩია ხელმძღვანელი კომისია, რომელსაც დაავალა ამ საქმის ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელმა კომისიამ მეჯვრისხევში გახსნა წითელი სასადილო და ბუფეტი, რომელთა წმინდა შემოსავალი ყოველდღიურად კომისიას შეაქვს სოფლის ბანკში. არჩეულია აგრეთვე ქ. თბილისის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს თბილისში მცხოვრებ მეჯვრისხეველთა დაბეგვრა, წარმოდგენისა და კონცერტის გამართვა და სხვა.

გაწერილი ფული, რასაკვირველია, ცოტაა ამ დიდი საქმისათვის. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება დახმარებას აღმოუჩენს სოფელს გრძელვადიან სესხის სახით.

თავთუხა.

ჩვენი ქალაქის ავ-კარგი

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთი გურიის მთავარი ქალაქია. დღეს ის აღარ გავს ძველ ოზურგეთს დღეს ის საწარმოო ქალაქად გადაქცეულა. დილით ადრე. 5 საათზე აბრეშუმის სახვევი ქარხნის საყვირი აღვიძებს არა-მარტო ახლოურებს [illegible] ქალაქს. ჯერ კიდევ სიბნელეში გაისმის მუშა ქალების ჟრიამული. ცქვიტი. გურული ქალები სიმღერებით გარბიან სამუშაო ფაბრიკისაკენ. ბევრს ხელში ანთებული ფანარი უჭირავს, ზოგს უბრალო ჭრაქი, ზოგს ფიჭვის ჩირაღდანი და ასე იკვლევს საშიშარ გზას.

ოზურგეთის გზები მართლაც საშიშარი გამხდარან, საშიშარი არა მხეცებისაგან, არამედ ჭაჭქევა-დამტვრევისაგან. მუხლამდე ტალახი. გაუნათებელი. მართლაც გასაკვირალია ოზურგეთის ქუჩების მდგომარეობა. განსაკუთრებით საშიშია სიარული სადგურისაკენ მიმავალ ქუჩებზე. სწორედ იმ ქუჩებზე. რომლითაც ხალხს უფრო ხშირად უხდებათ მოგზაურობა.

საკვირველია, რომ გურიის სოფლებში გზები უფრო კარგ მდგომარეობაშია, ვინემ თვით ქალაქ ოზურგეთში. ქუჩების მდგომარეობას და განათების საქმეს რომ ჩაუკვირდებით, ძალაუნებურად ის აზრი გებადებათ, რომ ოზურგეთი არაა ღირსი გახდეს სამრეწველო ქალაქად. არაა ღირსი აბრეშუმის საქსოვი ქარხნისა ეს მოვლენა არ ეპატიება ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის ხელმძღვანელებს.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს გზების შეკეთებას და ქუჩების განათებას. გაუნათებელი და ტალახიანი ქუჩები დამახასიათებელია თვით ქალაქის კეთილმდგომარეობის და სათანადო მოწყობის.

ამბობენ, მთავარი ქუჩების გაკეთება ქალაქის საქმე არაა. ეს ცენტრმა უნდა გააკეთოსო.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ საწარმოო ქალაქს, სამაზრო ცენტრს ესაჭიროება განათება, სუფთა და სწორი ქუჩები. უამისოთ თვით ფაბრიკა ქარხნების მუშაობას ჩრდილი ეფინება. მათი ნაყოფიერება კლებულობს, რასაც შეიძლება არასასურველი შედეგიც მოჰყვეს.

მაშ დროზე მიაქციეთ ყურადღება ოზურგეთის ქუჩების კეთილმოწყობა-განათების საქმეს.

ძველი მუშა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს

სვირის რაიონი, ქუთაისის მაზრა

სვირის რაიონში 1925—26 წ. არსებობდა საკრედიტო ამხანაგობა და აგრეთვე მევენახე-მღვინეთა ამხანაგობაც. 1927 წლის მარტში ეს ორი ერთ და იმავე დარგის კოოპერატიული ორგანიზაცია შეერთდა. გაერთიანებამდე საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეთ იყო ბესარიონ ჯუღელი. ნაცვლად იმისა, რომ გამგეობას სესხი მიეწოდებია მეურნე გლეხობისათვის, მას კი ასეთი გაცია ვაჭრებზედაც და თავიანთ ოჯახების ყველა წევრებზე.

ახალი გამგეობა, როცა შეუდგა საქმეების ჩაბარებას, მოითხოვა გამგეობის თავმჯდომარის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ საბჭომ და სარევიზიო კომისიამ ასეთს არ დაეთანხმა და ბესარიონ ჯუღელი პასუხისმგებლობას გადაარჩა. ახალმა გამგეობამ კი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, რომელმაც დღემდეც ვერ შესძლო გაცემული სესხის აკრეფა.

საჭიროა დამნაშავეს მოეთხოვოს სათანადო პასუხი, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ასეთი უკანონო მოქმედება და საკრედიტო ამხანაგობები დანიშნულებისამებრ ემსახურონ საგლეხო მეურნეობის აღდგენისა და გაუმჯობესების საქმეს.

საქმის მცოდნე.

წერილებიდან

ჩვენი თემის გასაჭირი

დარჩელის თემი, ზუგდიდის მაზრა

აქ მალარია ყველაზე უფრო გავრცელებულია. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაავადებულია ამ სენით. გვაქვს სექიმო პუნქტი და გადაიდგა ნაბიჯი საავადმყოფოს გახსნისათვის, შეძენილ იქნა შესაფერი შენობა, მაგრამ სამწუხაროდ ექიმი ჩვენთვის ვერ იშოვეს. არავის თანხმდება აქ მუშაობას. ამჟამად საავადმყოფოს გახსნაზე ფიქრი ზედმეტია, როდესაც სექიმო პუნქტი მხოლოდ ქაღალდზედ არსებობს.

ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებამ აუცილებლად უნდა გამოგვიგზავნოს ექიმი.

ეგრისელი.

უყურადღებოთაა მიტოვებული.

ს. ხიდისთავი, გორის მაზრა.

ამ სოფლის ოთხწლედის შენობა ძალზე დაზიანებულია. სკოლის მასწავლებლებმა არაერთხელ მიუმართავეთ გორის თემალმასკომისათვის, შენობის შეკეთების შესახებ. მაგრამ თემალმასკომმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია. არ არის საკმარისი პარტებიც და მოწაფეობას უხდება ფეხზე დგომა და ორწყებათ მეცადინეობა.

როდის ვეღირსებით შენობის შეკეთებას?

ოგოლი.

ძველებურ დღეობებს აღარ ვიხდით.

ალპანის თემი, ლეჩხუმის მაზრა.

ჩვენი თემის სოფლების: საირმის, ზოგიშის, ალპანის და აჭარის გლეხობამ თავიანთ კრებებზე გამოიტანეს დადგენილებები ამიერიდან უარყონ საეკლესიო დღეობები, როგორიცაა: ახალკვირა, კოხინჯრობა, გიორგობა და ხვამლობა. ამიტომ ვსთხოვთ მეზობელ თემების გლეხობას, მაგალითად: ლაილაშის, ჭყვიშის, ორბელის, რომ იმათაც მიბაძონ ჩვენს მაგალითს და ნუ შეგვაწუხებენ მოსვლით.

მოგზაური.

უკანონოდ გადაახდევინეს.

სვირის თემი, ქუთაისის მაზრა.

ამ თემში სცხოვრობს ძალზე მოხუცი გლეხი ზებედე კაპანაძე, რომელსაც აქვს ნახევარი ქცევა ვენახი. სხვა არავითარი შემოსავლის წყარო მას არ გააჩნია. აი ამ გლეხისთვის ალბად შეცდომით გაუწერიათ 16 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რაც დიდი ვაი-ვაგლახით ისესხა და ისე გადიხადა. ასეთი ღარიბი გლეხები განთავისუფლებულია გადასახადისაგან და მომავალში მაინც ნუღარ განმეორდება ასეთი შეცდომა.

დ. ურუშაძე.

ცოტა რამ საბინაო საკითხზე

რამდენიმე 10 წლები გადის, რაც ქალაქში არსებული სახლები ეგრედწოდებულ გენერალურ რეგისტრაციაში არ გატარებულა. ეს გარემოება ძლიერ აფერხებს საბინაო კრიზისის მოსპობას.

გასაბჭოების შემდეგ ბევრი სახლების მეპატრონეები გადაიხვეწნენ საზღვარგარეთ და ბევრნიც მეზობელ რესპუბლიკებში სცხოვრობენ. სახლები კი ბედის ანაბარად აქვთ მიტოვებული. ამ არევ - დარევის გამო ქალაქის აღმასკომს არ მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის შენობა, ან ვინ რა უფლებით ფლობელობს მას. ამ გარემოებით სარგებლობენ ზოგიერთი მოხერხებული პირები და ფლობენ სხვის სახლებს. ენერგიულად ბოჭავენ ბინის ქირებს და შენობის კეთილდღეობაზე კი არა ზრუნავენ. სახლი დღითი-დღე ზიანდება და ინგრევა.

ასეთ უპატრონო შენობათა რიცხვი ნავარაუდევია ათასამდე. მართალია ამ საქმეს 5—6 ათასი მანეთი დასჭირდება, მაგრამ ქალაქის აღმასკომმა მაინც უნდა შესძლოს ქალაქში არსებული შენობათა სისწორით აღრიცხვა. ამ გზით შესწყდება შენობებს ნგრევა და აუარებელ საცხოვრებელ სივრცეს განიავებისაგან ვიხსნით.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სახლის გაყიდვის, ან ბანკში დაგირავების დროს სახლის პატრონი ქალ. აღმასკომიდან არ ღებულობს ცნობას იმის შესახებ, რომ სახლი მას ეკუთვნის და უფლება აქვს მისი გაყიდვის, ამ საქმეზე რამდენიმე თანამშრომელი კარგავს დროს იმისათვის, რომ ადგილობრივ შეიკრიბოს ყველა საჭირო ცნობა შემდეგ ამ მიმოწერამ უნდა იტრიალოს კანცელარიიდან - კანცელარიაში, რის გამო მოქალაქე ასეთი ცნობის მიღებას უნდება კვირობით და ზოგჯერ მეტსაც.

ხსენებული გენერალური რეგისტრაციის საშუალებით ასეთი ცნობის მიღებას მოქალაქე შესძლებს ერთ საათში, ან ერთ დღეში მაინც.

საგრძნობლად შემცირდება აგრეთვე [illegible] კანცელარიებში და სანახევროდ განიტვირთებიან ის თანამშრომლები, რომლებიც ადგილობრივ ცნობების შეკრებას აწარმოებენ.

როგორც ხმა დადის უძრავ ქონებათა სამმართველოს შესძლო ამ საკითხის წამოყენება, მაგრამ საუბედუროდ უყურადღებოდ დარჩა.

საჭიროა ამ საქმის საფუძვლიანად შესწავლა და მისი ცხოვრებაში გატარება.

იგი

მუშათა ცხოვრება

თელავის აბრეშუმის ქაფსახვევი ფაბრიკა

(წერილი თელავიდან)

თელავის აბრეშუმის ქაფსახვევ ქარხანაში შრომის პირობები აუტანელია. ეს გამოწვეულია ქარხნის შენობის შეუფერებლობით:

ქარხანა მოთავსებულია ერთ დიდ კაზარმისებულ შენობაში, რომლის დაბლა სართული წარმოადგენს სარდაფს.

ჭერი ფლურულია, ფანჯრები ორივე მხარეს დამტვრეულია და ქარი თავისუფლად დასეირნობს შიგ. ქარხანაში 30—40 გრ. სიცხეა ადუღებული წყლის და ოშხივარის გამო, როგორც აბანოში, აქაც ჭერიდან ცვივა ორთქლის წვეთები, რაც ასველებს მუშის ტანისამოსს. ამ მდგომარეობაში მუშაობენ მუშები 8 საათის განმავლობაში. შემდეგ გამოდიან გარედ, ცივ ჰაერზე, რომლის აუცილებელი შედეგი გაციება და ავადმყოფობაა.

ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ეს ქარხანა მუშების ავადმყოფობის და გაცდენილ დღეების მეტად დიდ პროცენტს იძლევა ადმინისტრაცია იღებს ზომებს ამ მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად; ხან ვენტილატორებს სდგამენ. ხან პირდაპირ თუნუქის მილებს იყვანენ. ხან უნდათ, ორთქლი საგანგებოთ გაკეთებულ მილებში მოაქციონ და სხვა, მაგრამ ყველა ეს სულ ამაოა და მუშაობის მძიმე პირობებს არ ანელებს.

ამჟამად სწარმოებს გაუმჯობესებული ვენტილატორების დადგმა გარემორტყმულ მილების დახმარებით, ეს სამუშაო აბრეშუმის ტრესტს უჯდება 10.000 მანეთი, მაგრამ ესეც ფუჭი ხარჯებია.

ერთად - ერთი საშუალება, საქმის მცოდნე პირების სიტყვით არის ახალ კორპუსის მშენებლობა. რომელიც არც ისეთი ძვირი დაჯდება, და ამით კი საბოლოოდ განთავისუფლდება ქარხანა ჯერ ერთი მავნე და აუტანელ მუშაობის პირობებისაგან და მეორე იმ უამრავი ხარჯისაგან, რომელიც აქვს მას ყოველ წლივ და ექნება შემდეგაც, თუ ახალი შენობა არ აშენდა.

ამაში დარწმუნდნენ აგრეთვე შრომის სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ილ. ჭელიძე და პროფ. საბჭოს პ.-მგ. მდივანი ამხ. ბ. მაჩიძე, რომლებმაც დაათვალიერეს ეს ქარხანა და ჰპირდნენ სამეცნიერო ექსპედიციას ქარხნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გეგმის შემუშავება.

ზედმეტ და უნაყოფო ხარჯების თავიდან ასაცილებლად და ერთხელ და სამუდამოდ ქარხანაში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, საჭიროა მუშაობა ქარხანაში შეჩერდეს და დაჩქარდეს სამეცნიერო ექსპედიციის ჩამოსვლა, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს ახალ კორპუსის აშენების საკითხს.

ვან—ლი

მსაჯულთა [illegible]

მსაჯულებად [illegible] არჩეული უნდა იქნენ პატიოსანი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და მისი რევოლუციონური კანონმდებლობის ოდნავ მაინც მცოდნე ამხანაგები. მართალია მუშათა ხელისუფლების დროს მუშათა დიქტატურის კანონები თვით მუშების მიერ ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ამა თუ იმ პროცესის ჩატარებაში ცოტა რამ გამოსასწორებელია.

დღემდე ყოფილი მსაჯულთა უმეტესობა არ მონაწილეობდა საქმის მსვლელობის დროს აქტიურად. ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ „ასე დღე ერთ საქმეს ვარჩევდი და ორი მსაჯული ისე მეჯდნენ, რომ ერთი უბრალო შეკითხვაც კი არ მიუციათ არც დაზარალებულისათვის და არც მოწმეებისათვის"-ო. ეს ამტკიცებს იმას, რომ მსაჯულები ვერ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას საქმის გარჩევაში. განა შეიძლება თავმჯდომარემ ისე ამოწუროს საკითხი, რომ არაფერი დარჩეს გამოსარკვევი, მით უმეტეს როცა ერთი საქმე ორი სამ დღეს გაგრძელდება?

ამიტომ უნდა ვეცადოთ ჩვენ სასამართლოებს რაც შეიძლება საზოგადო მუშაობაში გამოცდილი მუშები მივაწოდოთ, რათა მათ შესძლონ დასახულ ამოცანების პირნათლად შესრულება.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ მუშათა ხელისუფლების მიერ გამოცემულ რევოლუციონურ კანონმდებლობას სჭირდება ცხოვრებაში გამტარებელი. ეს კი ჩვენი ვალია, თითოეული დაზგის მუშა უნდა ერკვეოდეს თავისი ხელისუფლების გამოცემულ კანონებში, ასეთები ჯერ-ჯერობით ცოტა გვყავს. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ კურსების სახით არა, მუშათა კლუბებში მაინც მოეწყობოდეს მუშმსაჯულთა წრეები, სადაც მომზადდებიან მუშები და უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქმეების გარჩევაში, ვიდრე დღემდე. იუსტიციის კომისარიატმა ამ თავითვე უნდა გადადგას ნაბიჯი ასეთი წრეების ჩამოსაყალიბებლად მუშათა კლუბებთან.

გ. ნ. ჭ.

უპატრონოდ ვმუშაობთ

(მტვირთველ მუშებში)

თბილისის სახალხო სადგურის მუშები აუტანელ გაჭირვებას განიცდიან; აქ მუშაობს 120 მუშა. ამათში 60 კაცი ვაგონების მტვირთველია, დანარჩენები დგანან და შესცქერიან მგზავრებს. თუ ბედმა უწია და გამოჩნდა მდიდრიელი ვინმე და მისცა მატარებელში შესატანი ბარგი, საჩუქარს მიიღებს. ამ საჩუქრით არსებობს და თავს ირჩენს ეს 120 კაცი. წინად ამ მუშებს „ზაკპოგრუზი" აძლევდა ჯამაგირს, დღეს კი უპატრონოდ არიან მიტოვებული და მუშაობენ ყოველგვარ წესის გარეშე. თუ მუშა დაშავდა, ან ავად გახდა, მას არ ეძლევა არც წამალი, არც ექიმი და არც სხვა შეღავათები. ვინც უკმაყოფილებას განაცხადებს მას დათხოვნით ემუქრებიან.

ამას წინად სადგურის უფროსმა დაიბარა აღნიშნული მუშები და წინადადება მისცა ჩამოეხსნათ ნუმრები. შეიქნა ყაყანი, ბევრი მათგანი გამოსთქვამდა უკმაყოფილებას რკ. გზის ადმინისტრაციის მხრივ ასეთ უყურადღებობის გამო.

მუშები ამბობენ, რომ მათ პატრონი არა ჰყავთ. არავინ არ ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის. სადგურის უფროსის განცხადებით საქმე მოსკოვშია გადაცემული, მაგრამ როდის გაირკვევა ვინ იცის. რკ. გზის სამმართველო გვიპასუხებს ამაზე.

შოველი.

მუშკორთა წერილებიდან

ხულიგნობის ბუდე. ლენინის ქუჩაზე, ყოფ. ზემელის გვერდზე არსებული საბილიარდო ხულიგნების ბუდეთ არის გადაქცეული. აქ თავს იყრიან თბილისის ხულიგნები და აქვთ ერთი ამბავი. ჩხუბი, აყალ-მაყალი და გინებები ტრიალი ჩვეულებრივი მოვლენაა. მილიციავ, შეიარე აღნიშნულ საბილიარდოში.

მელიტონა.

უპატრონო სახლი. ორჯონიკიძის ქუჩა, სახ. № 22. რომელიც ეკუთვნოდა მწერალს, ილია ჭავჭავაძეს და შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამჟამად უპატრონოდ არის მიტოვებული. წ.-კ. საზ-ბის გაუქმების შემდეგ სახლს განაგებს მოიჯარადრე [illegible], მაგრამ უკანასკნელი მხოლოდ ქირას იღებს მდგმურებისაგან. სახლის კეთილმოწყობაზე კი თავსაც არ იწუხებს სახლი დანგრევის პირზეა მიმდგარი; სახურავი დაზიანებულია, ეზოში ანტისანიტარული მდგომარეობა და სხვა. აღმასკომო, მიაქციე ყურადღება ამ სახლს.

მცოდნე.

უყურადღებობის ბრალია. ვერის დაღმართზე, ზემელის აფთიაქთან, ძალიან ხშირად ზიანდება წყალსადენის მილი და იღვრება გაფუჭებული წყალი. ხშირად შეაკეთებენ მილს, მაგრამ მეორე-მესამე დღეს ტრამვაის [illegible] გავლენით ხელმეორეთ სკდება იგი. ნუთუ არ შეიძლება ამ მილის ცოტა დაშორება ტრამვაის ხაზს? შეიძლება მაგრამ არავინ არა ზრუნავს ამაზე.

მნახველი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფიზიკო-მათემატიკური ცოდნა ძველ ეგვიპტეში

ხეოპსის პირამიდის საიდუმლოება

თანამედროვე მეცნიერება და ტეხნიკა გიგანტიური ნაბიჯით მიისწრაფვის წინ. ყოველ დღეს სულ ახალ-ახალი აღმოჩენები, გამოგონებანი და გაუმჯობესებანი მოაქვს.

თანამედროვე ტეხნიკის განვითარების მაღალი დონე, მისი ეგზომ მნიშვნელოვანი და საკვირველი გამარჯვებები ბუნების ძალების დამორჩილების და გამოყენების დარგში შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანის გონება მისწვდა ფიზიკურ-მათემატიკურ ცოდნის მაღალ მწვერვალებს.

მიუხედავათ ამ უდავო ჭეშმარიტებისა და ჩვენ დრომდე მიღწეულ ძველი დროის ხუროთმოძღვრების და საინჟენერო ხელოვნების მრავალ შესანიშნავ ნაშთებისა, ბევრი ფიქრობს, რომ ძველათ ფიზიკურ-მათემატიკური ცოდნა დაბალ დონეზე იდგა.

ძველ ხალხთაგან—ასურელ-ბაბილოელთაგან, ეგვიპტელთაგან, ელინთა და რომაელთაგან, უძველეს დროის ჩინელთაგან და ინდოელთაგან და სხვა ზოგიერთ უკვე აღარ არსებულ ხალხებისაგან დარჩა—ტაძრები, სასახლეები, ციხე-კოშკები, ხიდები და გზები, წყალსადენები და ნავთსადგურები, რომლებიც თავის სიდიდით და სირთულით თანამედროვეთა შორის აღფრთოვანების გრძნობასთან ერთად გაკვირვებას იწვევენ.

არა მარტო ფართო წრეები, არამედ ბევრი სპეციალისტებიც უკანასკნელ დრომდე ფიქრობდენ, რომ უძველეს ხანის ხუროთმოძღვრების და საინჟინერო ხელოვნების ყველა ეს გრანდიოზული ნაშენობანი აგებული იყო მექანიკის და მათემატიკის რაიმე თვალსაჩინო ცოდნის გარეშე, რომ მეცნიერების ეს ორი დარგი დაბალ დონეზე იდგა, ძველ ნაშენობათა აგების დროს არ არსებობდა წინასწარი გამოანგარიშება. ამბობდენ, რომ ამ ნაგებობათა გამძლეობა მრავალ ათეულ საუკუნოების მანძილზე აიხსნება საღმშენებლო მასალის სიჭარბით: ესე იგი ყველა ეს ნაგებობანი შენდებოდა სქელ კედლებით და ჟამთა ქარტეხილს უმაგრდებოდენ საკუთარი სიმძიმით და სიდიდით.

მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ძველი დროის აღმშენებლები თავის მუშაობის დროს არ ხელმძღვანელობდენ მექანიკის და მათემატიკის ცოდნით და თავის გრანდიოზულ ნაშენობათ აგებდენ „თვალზე",—უსაფუძვლოა, რადგან თანამედროვე ინჟენერებიც კი, რომლებიც შეიარაღებული არიან უძლიერესათ განვითარებულ ფიზიკურ-მათემატიკური ცოდნით და რომელთა განკარგულებაშია მრავალი სხვადასხ. საცდელ-საკვლევ ინსტიტუტების მიღწევები, თავიდან ვერ იცილებენ შეცდომებს, რასაც შედეგათ მოსდევს კატასტროფა. გავიხსენოთ თუ გინდ 1907 წელს კვებეკის ხიდის კატასტროფა, რომელმაც 200 მუშა იმსხვერპლა. რამოდენიმე წლის შემდეგ კიდევ სცადეს იქვე ხიდის აგება და მსგავსი კატასტროფა ორჯერ განმეორდა. ან რუსულ სამხედრო გემის „ლეფორტ"-ის დაღუპვა ფინეთის ყურეში, სადაც გემთან ერთად 1000 მეზღვაური შეეწირა მსხვერპლად აღმშენებელთა შეცდომას...

და თუ თანამედროვე აღმშენებლები არ არიან დაზღვეული ნაშენობათა მსხვრევისაგან და კატასტროფიდან, როდესაც ისინი შეიარაღებული არიან ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერების მაღალი ცოდნით, რა მოხდებოდა, რომ ყველა თანამედროვე საინჟენერო მუშაობა სრულდებოდეს თვალზე, შეხედვით. ცხადია, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე მსხვრევას და უბედურებას წავაწყდებოდით. თუ ეს მოხდებოდა ჩვენს დროს, ასევე იქნებოდა წინადაც, ძველადაც. მაგრამ ძველ ხალხთა—ჩინელთა, ინდოელთა, ეგვიპტელთა და სხვათა ისტორია არ გადმოგვცემს რაიმე ცნობას მათ დროინდელ ნაშენობათა მსხვრევის და კატასტროფის შესახებ. არც გადმოცემა-ლეგენდები მოგვითხრობენ ამის შესახებ. ისტორიამ და გადმოცემამ მხოლოდ ერთი შემთხვევა იცის ძველ ანაგებათა დანგრევის შესახებ. ეს არის ბაბილონის კოშკის დანგრევა, რაც აიხსნება მით, რომ ის იყო პრიზმატიური ფორმის და დაინგრა სწორეთ თავის სიმძიმის გამო, რითაც ერთ ხანს ძველ შენობათა გამძლეობას ხსნიდენ. ძველ ინდოელთა და ეგვიპტელთა მსგავსი ნაშენობანი წოწისებური იყვენ.

ზემონათქვამიდან კი ცხადია, რომ ძველათ მექანიკას და მათემატიკას შესამჩნევ განვითარებამდე მიუღწევია. უამისოთ შეუძლებელი იყო ის გრანდიოზული ხუროთმოძღვრული აღმშენებლობა, რომელიც ახალ აღფრთოვანებას და გაკვირვებას იწვევს. მრავალი დადებული ძეგლი ძველი დროის საინჟენერო ხელოვნებისა, დანგრეული იქნა არა სიძველისა და აღმშენებელთა შეცდომის გამო, არამედ ომების დროს, წერილობით ნაშთებს უძველეს დროინდელ მექანიკის და მათემატიკის შესახებ თითქმის სულ არ მოუღწევია ჩვენ დრომდე და რაც მოაღწია, ის, რასაკვირველია, არ იძლევა სრულ წარმოდგენას ძველ ხალხთა ცოდნის შესახებ. ამის მიზეზი არის გამუდმებული ბრძოლები, რამაც შეიწირა ადამიანის გონების მიღწევების შემცველი წერილობითი ძეგლებიც. ამ წერილში საუბარი გვექნება მხოლოდ ეგვიპტელთა მათემატიკურ ცოდნის შესახებ.

ძველ ეგვიპტელთა მათემატიკურ ცოდნის შესახებ არსებობს მხოლოდ ერთი წერილობითი ნაშთი—რინდის პაპირუსი, რომელიც წარმოადგენს მიწათ-მოქმედების სკოლის (დაბალ საფეხურის) მოწაფის რვეულს და რომელიც ალაგ-ალაგ შესწორებულია მასწავლებლის მიერ.

რვეულიდან სჩანს, რომ ეგვიპტელებს სცოდნიათ ოთხი მოქმედება, როგორც მთელ რიცხვებზე, ისე ნაწევრებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეგვიპტელებს ნაწევრებზე მოქმედების დროს ნაწევრები ერთ მნიშვნელზე კი არ დაყავდათ, არამედ ერთ მრიცხველზე და ეს მრიცხველი უდრიდა ერთს. როგორ აწარმოებდენ ასეთ გამოანგარიშებას დღემდე გამოურკვეველია. მათვე იცოდენ ერთ და ორ უცნობიან განტოლებათა, კვადრატიულ განტოლებათა გადაწყვეტა და არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები. გეომეტრიამ ძველ ეგვიპტელთა შორის მაღალ განვითარებას მიაღწია—იცოდენ რიცხვი „პი" და მისი მნიშვნელობა. იმავე რინდის პაპირუსიდან სჩანს, რომ ეგვიპტელები იცნობდენ ტრიგონომეტრიას, რადგან რვეულის მე-56—59 ამოცანები მოგვითხრობენ პირამიდის კუთხის მოძებნის შესახებ, რომელიღაც სიგრძეების მიხედვით და მართლაც რვეულში გამოანგარიშებული კუთხეები თითქმის ზუსტათ უდრიან სამ ამჟამად არსებულ პირამიდების კუთხეებს (დაშურსა და მკიდუმში). ეს კუთხეები საჭირო იყო საამშენებლო ქვების გასათლელათ მრუდთარგით და ასეთი მრუდთარგები ნაპოვნი იქნა მკიდუმში. ეგვიპტელებს აგრეთვე წარმოდგენა ჰქონიათ ნაკვეთების პროპორციულობის და მსგავსების შესახებ. ფარაონ სეტი პირველის სამარხში ერთ-ერთ კედელზე ხაზებიდან გაკეთებულია კვადრატები და ამ კვადრატებში მასშტაბის მიხედვით ჩახატულია ფიგურები.

ზოგიერთი ძეგლები მოგვითითებენ აგრეთვე იმაზე, რომ ეგვიპტელთ სცოდნიათ მხაზველობითი გეომეტრია, რომლის შექმნას ჩვენ მივაწერთ მეთვრამეტე საუკუნის დამლევის და მეცხრამეტის დასაწყისის ფრანგს—ცნობილ მეცნიერს ინჟენერ გასპარ მონჟს.

აი დაახლოებით ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება ძველ ეგვიპტელთა მათემატიკის და მექანიკის შესახებ.

მაგრამ ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ინგლისის ერთმა ასტრონომმა—პიაცი სმიტმა გამოუშვა წიგნი, სადაც ის ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელების ცოდნა მათემატიკის დარგში გაცილებით მაღლა იდგა, ვინემ ამის შესახებ მოგვითხრობს რინდის პაპირუსი. სმიტის მიერ გამოთქმულ აზრს ბევრი, როგორც მოწინაამდეგე, ისე მომხრე გაუჩნდა. სმიტის მომხრეთა და მოწინაამდეგეთა შორის ამჟამათაც გაცხოველებული დავაა. ეგვიპტის ფარაონმა ხეოპსმა, რომელიც ეკუთვნოდა მეოთხე დინასტიას და სცხოვრობდა 26 საუკუნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, ესე იგი ჩვენს ერამდე, ნილოსის მარცხენა ნაპირზე ქაირის მახლობლად სოფელ გიზით ააშენა უგრანდიოზულესი პირამიდა. ამ პირამიდაში უნდა დამარხულიყო ხეოპსი.

პირამიდის ფუძე კვადრატიული იყო. კვადრატის გვერდის სიგრძე უდრიდა 233 მეტრს. პირამიდის სიმაღლე—1.467 მეტრს.

ბერძენ ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობით ხეოპსის პირამიდის აშენებაზე ყოველდღიურად მუშაობდა 100.000 მუშა და მის დასრულებას 20 წელიწადი მოუნდეს.

და აი ამ პირამიდის შესახებ ასტრონომი პიაცი სმიტი ამბობდა, რომ მის ფორმაში, მის სიდიდეში მოცემულია ძველ ეგვიპტელთა მათემატიკური ცოდნა, რომ ხეოპსის პირამიდა არის ფიზიკურ-მათემატიკურ ცნებათა და ცოდნათა კრებული. სმიტის გამოანგარიშებით ხეოპსის პირამიდის ძირის პერიმეტრის გაყოფით პირამიდის გაორკეცებულ სიმაღლეზე მივიღებთ რიცხვს—3,14159—„პი"-ს მნიშვნელობას. ასეთ სიზუსტით „პი" გამოანგარიშებული იქნა პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში. მეორე მაგალითი: ფუძის გვერდის სიგრძე რომ გავყოთ წლის ზუსტ ხანგრძლივობაზე, 365,2422 დღემდე—მივიღებთ დედამიწის ღერძის მე-20 მილიონამდე ნაწილს—25,025 დიუმს. შემდეგ—ხეოპსის პირამიდის სიმაღლე უდრის დედამიწის და მზის შორის მანძილის მემილიარდე ნაწილს და სხვა.

ძველათ ეგვიპტეშიაც და სხვაგანაც, როგორც რელიგიის, ისე მეცნიერების მესვეურნი ქურუმნი იყვნენ და როგორც ვიცით ქურუმნი თავის ცოდნას დიდი საიდუმლოებით ჰფარავდენ და თავის ცოდნას გადასცემდენ მხოლოდ თავის მემკვიდრეთ რჩეულთ არა წერილობით, არამედ სიტყვიერათ. ცოდნის, აღმოჩენის ან გამოგონების საიდუმლოთ შენახვა იცოდენ არა მარტო ძველათ, არამედ შედარებით უახლოეს საუკუნოებშიაც. საშუალო საუკუნოებში ხუროთმოძღვარნი, მხატვარნი, ამქრობები თავის ცოდნას ან რაიმე გამოგონება-აღმოჩენას ინახავდენ საიდუმლოთ და გადასცემდენ მხოლოდ თავიანთ მემკვიდრეთ სიტყვიერათ. და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ძველი დროის სწავლულნი თავის ცოდნის საიდუმლოთ შენახვის მიზნით მიმართავდნენ თუ გინდ ისეთ ჩვენთვის უცნაურ ფორმას და საშუალებას, როგორიცაა ხეოპსის პირამიდის ფორმა და სიდიდე.

ქ. ბ—ძე.

სიძულვილის ინსტიქტი ჭიანჭველებში

ჭიანჭველების — მრავალმხრივ სოციალურ ინსტიქტების მქონე ამ მეტად საინტერესო მწერების შესწავლის დროს, ყურადღებას იპყრობს ერთი სახის ჭიანჭველების მტრული დამოკიდებულება მეორე სახის ჭიანჭველებთან. აკმაყოფილებენ რა თავის მტაცებლურ მიდრეკილებებს, ეს ცხოველები უცხადებენ ერთმანეთს იმ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში ომი ეწოდება.

გერმანელმა მეცნიერმა ბრუნმა თავისი გამოკვლევის საგნად გახადა ჭიანჭველების საზოგადოებრივი ცხოვრების სწორეთ ეს მხარე. ის დაინტერესდა საკითხით, თუ რა იწვევს ერთი სახის ჭიანჭველების მტრულ დამოკიდებულებას მეორე სახის ჭიანჭველებისადმი, ეს სიძულვილი „სისხლში" გამჯდარი, გაჩენიდან თანდაყოლილი თვისებაა, თუ შეძენილია თანდათანობით, ჭიანჭველების თითეული სახის განცალკევებული ცხოვრებისა და ყოველდღიური შეტაკებების წყალობით.

ბრუნმა დაადასტურა, რომ მტრული განწყობილება სხვადასხვა სახის ჭიანჭველებს შორის გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ თავისებური სუნით, რომელიც თითეული სახის ჭიანჭველებს ახასიათებს. ეს დამტკიცებულ იქნა შემდეგი ორიგინალური ცდით: ორი მტრული კოლონიის ჭიანჭველები, რომლებიც ლაბორატორიის პირობებშიც კი გაავთრებით ებრძოდენ ერთმანეთს, განბანილ იქნენ სპირტში. გაშრობის შემდეგ ისინი უკვე აღარ ებრძოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ზავი მათ შორის ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც კი სუნის გამომწვევ ნივთიერებათა გამოყოფა მათი სხეულიდან განახლდა, ისინი კვლავ ეკვეთენ ერთმანეთს.

შემდეგ მოახდინეს ასეთი ცდა: ჭიანჭველების ერთი კოლონიის რამდენიმე წარმომადგენელი დაასველეს მეორე კოლონიის გაჭყლეტილ ჭიანჭველების წვენში. შემდეგი ისეთივე მიიღეს, როგორც მტრული კოლონიების ბრძოლის დროს: პირველი კოლონიის ჭიანჭველები დაერივნენ „თავისიანებს", რომლებიც ცდის სახით უნებურათ მათ „მტრებათ" გადააქციეს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ საერთო უბედურება აკავშირებს ჭიანჭველებს. მეცნიერმა ფორელმა სხვადასხვა მტრული კოლონიების ჭიანჭველები მოათავსა პარკში, რომელიც რამოდენიმეჯერ შეანჯღრია. ამის შემდეგ ჭიანჭველები, თითქო შერიგებულნი საერთო უხერხული მდგომარეობით, აღარ ერჩოდენ თავს ერთმანეთს. რასაკვირველია, მეტად სახიფათო იქნებოდა, რომ ჭიანჭველებს მივაწეროთ ასეთი იძულებული თანხმობა—თვისება, რომელიც მხოლოდ გონიერ არსებებს ახასიათებს; როგორც სჩანს, გადამწყვეტი როლი ამ შერიგებაში ითამაშა იმავე სუნმა, რომელიც აირია ერთმანეთში.

ამრიგად, სუნი ამ პატარა არსებათა ცხოვრებაში თამაშობს გადამწყვეტ როლს არა მარტო „მტრის" გამოცნობაში, არამედ მათი ცხოვრების სხვა დარგებშიაც: გავლილი გზის მიმართულების გამორკვევაში, ნაცნობი ადგილის პოვნაში და სხვ. რაც შეეხება ზევით დასმულ კითხვას: დროთა ვითარებაში შეძენილია ჭიანჭველას მიერ სიძულვილის ინსტიქტი, თუ მემკვიდრეობით გარდამავალი თვისებაა იგი, აქ უფრო ის შეხედულებაა მისაღები, რომ ჭიანჭველა ჩნდება სრულიად თავისუფალი მტრული გრძნობისაგან თავისი მოძმის მიმართ სხვა კოლონიიდან და რომ ამ გრძნობას ის ითვისებს გარემო პირობების და იქ გამეფებული კანონების ზეგავლენით.

დირიჟაბლით ატლანტიის ოკეანეზე

საკითხი, თუ ვინ გახსნის დირიჟაბლებით მიმოსვლას ამერიკასა და ევროპას შუა, წარმოადგენს ინგლის-გერმანიის მეტოქეობის საგანს. მზადება ასეთი მიმოსვლის მოსაწყობათ გაფაციცებით სწარმოებს ორივე ქვეყანაში, სადაც სრულდება არაჩვეულებრივი სიდიდის დირიჟაბლების აგება. ხაუდენში (ინგლისი) შენდება დირიჟაბლი P 100, ფრიდრიხსგაფენში (გერმანია) ბოდენის ტბაზე ცეპელინის კომპ. ამზადებს დირიჟაბლს ZC 127. ორივე დირიჟაბლი ისე იქნება მოწყობილი, რომ მგზავრებმა გადაფრენის დროს არ იგრძნონ არავითარი უხერხულობა. P 100-ის აგება დასრულდება ივნისში. საცდელ ფრენას მოუნდება რამოდენიმე კვირა

ამ დირიჟაბლის აგება დაიწყო ავიაციის სამინისტრომ, მაგრამ ჩქარა დაწყებული საქმე შეისყიდა კერძო ფირ. „ერკრაფტ გარანტი"-მ, რომლის დირექტორი, თემთა პალატის წევრი ბერნი ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება. იგი მიიღო პრეზიდენტმა კულიჯმა და გაეცნო მას კომპანიის გეგმები. ჟურნალისტებთან საუბარში ბერნიმ განაცხადა P 100 წაიყვანს ას მგზავრს. საწვავი მასალა, რომელსაც წაიღებს დირიჟაბლი საკმაო იქნება 5.000 კილომეტრის გასავლელად მიწაზე დაუშვებლად. ბერნიმ შემდეგ განაცხადა, რომ კომპანიის პირველ დირიჟაბლს არ სთვლის საკმაო მძლავრათ რეგულიარულ მიმოსვლისათვის ოკეანეთი. კომპანიას განზრახული აქვს მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოაწყოს რამდენიმე საცდელი გადაფრენა ნიუ-იორკიდან (შეერთ. შტატები) ან მონრეალიდან (კანადა) ინგლისში. გაფრენის დროს დირიჟაბლი წაიყვანს 50 მგზავრს, უკან გადაფრენის დროს მგზავრები არ იქნება წაყვანილი. თუ ეს გადაფრენები წარმატებით დასრულდა, შესდგება სპეციალური სააქციო საზოგადოება, რომელიც მოაწყობს რეგულიარულ მიმოსვლას ინგლის-ამერიკას შორის. ამერიკაში ბერნი აწარმოებს მოლაპარაკებას იქაურ კაპიტალისტებთან მონაწილეობის შესახებ ამ საქმეში. დირიჟაბლი, რომელიც ახლა შენდება, ჯდება 900.000 მანეთი, გადაფრენა ინგლისიდან ამერიკაში ერთი მგზავრისათვის ეღირება 800—1.200 მანეთი.

ბერნი აღნიშნავს, რომ ინგლის-ეგვიპტე-ინდოეთ-ავსტრალიის საჰაერო ხაზთან შედარებით (ეს ხაზი ჯერ მოწყობილი არ არის), გადაფრენების მოწყობა ატლანტის ოკეანეთი კომერციულად უფრო ხელსაყრელი იქნება, რადგან პირველი კლასის მგზავრების რიცხვი ინგლის-ამერიკას შუა მავალ გემებზე შეადგენს 200.000, ინგლის-ინდოეთს შუა კი—40.000.

გარდა ამისა, ატლანტის ოკეანეთი ხუთჯერ მეტი ფოსტა იგზავნება, ვიდრე აღმოსავლეთის გზით.

გადაფრენას ლონდონი—ჩრდ. ამერიკა დასჭირდება—48 საათი, ლონდონი—ბომბეი—52 საათი, ლონდონი—ავსტრალია—5 დღე-ღამე

კიბოს მკურნალობა ტყვიით

კიბოს ავადმყოფობა უკანასკნელი ათი წლ. განმავლობაში ძლიერ გაიზარდა. 1920—25 წ. წ. განმავლობაში კიბოსაგან გარდაცვლილთა რაოდენობა ჩამორჩება მხოლოდ ჰლექისაგან და გულის ავადმყოფობისაგან გარდაცვლილთა რაოდენობას. ბრძოლა „კიბოს ავადმყოფობის" საფრთხესთან უპირველეს ამოცანად გადაიქცა ყველა მოწინავე ქვეყნებში. ამ რამოდენიმე ხნის წინად ამერიკელმა ექიმებმა შეიმუშავეს კიბოს მკურნალობის ახალი საშუალება—ტყვიის პრეპარატების საშუალებით. მკურნალობა ტყვიით მეტად დადებით გავლენას ახდენს ავადმყოფობის მიმდინარეობაზე. უკვე რამოდენიმე შეშხაპუნების შემდეგ კიბოს სიმსივნეს ზრდა ჩერდება, შემდეგ კლებულობს და ჩქარა სრულიად ქრება.

ახალი წესის უარყოფითი მხარეს ის წარმოადგენს, რომ იგი მუდამ არ იძლევა სასურველ შედეგს. ზოგიერთი ავადმყოფი ჩქარა ინკურნებიან კიბოს სნეულებისაგან, ზოგის მიმართ ტყვიებით მკურნალობა არ იძლევა ასეთ თვალსაჩინო შედეგს, ზოგიერთებზე კი სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენს. ამრიგად, მიუხედავათ ბრწყინვალე წარმატებისა ცალკე შემთხვევებში, ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი კიბოს საწინააღმდეგო რადიკალური საშუალების აღმოჩენაზე. ამავე დროს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამერიკელ ექიმების აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

დედამიწის ქერქის მოძრაობა

გერმანელმა გეოლოგმა პროფ. მეიერმანმა შეიმუშავა დედამიწის აგებულობის ახალი თეორია. ამ თეორიის თანახმად, დედამიწის მაგარ ქერქსა და მის მაგარ გულს (ядро) შუა მდებარეობს შედარებით რბილი პლასტიური მასის ფენა, რომელიც ზევით მდებარე ნიადაგის ფენების მძლავრი ზედ-დაწოლის გამო იცვლის ფორმას (ისე, როგორც თაფლის სანთელი იცვლის ფორმას თითის დაჭერის დროს). დედამიწის ბრუნვის დროს განვითარებულ ცენტრგამსრბოლი ძალის ზეგავლენით, დედამიწის ქერქი რამდენიმეთ უკან რჩება დედამიწის გულის ბრუნვას და თითქოს მოსრიალებს ზემოხსენებულ რბილ ფენაზე. პროფ. მეიერმანი თვლის, რომ ამ მიზეზების გამო დედამიწის ქერქი ბრუნავს გულის გარშემო. სრული მობრუნება ხდება ერთჯერ 270 წელიწადში. მთელ რიგ მეცნიერების აზრით, პროფ. მეიერმანის თეორია მეტად დამაკმაყოფილებლად განმარტავს ზოგიერთ დღემდი ბნელ გეოლოგიურ, მეტეოროლოგიურ, ვულკანიურ და სეისმიურ მოვლენებს.

საყვინთავი აპარატი

ფრანგმა ლე-პრიერმა გამოიგონა აპარატი წყალზე უბედურების დროს დახმარების აღმოსაჩენად. ამ აპარატის საშუალებით ადამიანს შეუძლია წყალქვეშ დაჰყოს 10—12 წუთი. აპარატი წარმოადგენს პატარა კამერას შეკუმშული ჰაერით. აპარატს, რომელიც მომარაგებული არის რეზინისა და ლითონის მილებით იცვამენ პირის სახეზე. მოწყობილობაში არის სამი ნახვრეტი: ჰაერის შესასუნთქი, გამოსასუნთქი და მესამე, რომელზედაც გადაკრულია გუტაპერჩის ფირფიტა, რომელიც წყალს არ აძლევს საშუალებას შეიჭრას აპარატში. სახის ზედა ნაწილზე იცვამენ აპარატის მეორე ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ნახევარ-ნიღაბს სათვალეთი, რომლის წინ მიმაგრებულია ორი მანომეტრი: ერთი უჩვენებს აპარატში დარჩენილ ჰაერის რაოდენობას, მეორე—ამოსუნთქული ჰაერის წნევის ძალას. რომლის მიხედვით არკვევენ წყლის სიღრმეს ამა თუ იმ ადგილას.

აპარატი ყრუთათვის

დღემდი არავითარი აპარატები ყრუთათვის, გარდა სასმენი მილებისა საბჭოთა კავშირში არ მზადდებოდა. უცხოეთიდან ასეთ მოწყობილობებს, მათ შორის ყველაზე პოპულიარულ „ფონო-ფორებს", ძლიერ მცირე რაოდენობით იწერდენ, თვით ავადმყოფებს კი სათანადო ნებართვის უქონლობის გამო, არ ჰქონდათ ასეთ მოწყობილობათა გამოწერის საშუალება. ამჟამად, ლენინგრადის ექსპერიმენტალურ ელექტრო-ტეხნიკურ ლაბორატორიაში დაამზადეს მოდელი მოწყობილობის, რომელიც თავისი კონსტრუქციით ძლიერ წააგავს ფონოფორს და არაფრით არ ჩამოუვარდება მას მოქმედების ძალით. მოდელი ნაკლებ ლამაზია, ვიდრე გერმანული აპარატი, მაგრამ გაცილებით იაფი ღირს: გერმანული აპარატი ბერლინში ღირს 90 მანეთი, საბჭოთა აპარატი, ლაბორატორიული წესით დამზადების დროს დაჯდა ორმოცი მანეთი, მასსიური დამზადების დროს კი კიდევ უფრო იაფი ეღირება.

ამ ხელსაწყოებთან ერთად, რომელიც დანიშნულია ყრუს საუბრის გასაადვილებლად ერთ პირთან, ლაბორატორია მოკლე ხანში დაასრულებს მოდელს აპარატისას, რომელიც ყრუთ გაუადვილებს კრებების, მოხსენებების და წარმოდგენების მოსმენას.

მბრუნავი ჯავშანი

თანამედროვე ცეცხლმსროლელი იარაღების მოქმედების ძალის და სროლის მანძილის გადიდების გამო კონსტრუქტორები ადიდებენ ჯავშნის სისქეს (გემებზე, ტანკებზე და სხვ.), რაც ამძიმებს ჯავშნიან ერთეულებს, ამცირებს მათ მოძრაობის უნარს და საბრძოლო თვისებებს. ეს გარემოება აიძულებს კონსტრუქტორებს იზრუნონ მსუბუქ და ამავე დროს გამძლე ჯავშნის გამოგონებაზე. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ ფორმას, ყოველ შემთხვევაში ჯავშნიან ავტომობილებისათვის, წარმოადგენს ერთი ინგლისელის მიერ გამოგონებული მოძრავი ჯავშანი. ამ გამოგონების იდეა შემდეგში მდგომარეობს: ჯავშანი მზადდება გრძელი ლენტის სახით—ერთმანეთთან დაკავშირებულ ფოლადის ნაჭრებიდან. ასეთი ჯავშანი გარს არტყია მთელს ავტომობილს და ბრძოლის დროს ბრუნავს ავტომობილის გარშემო. ტყვიები, რომლებიც ხვდება ჯავშანს, უკანასკნელის მოძრაობის გამო, ზიანს ვერ აყენებენ ავტომობილს. რამდენადაც სწრაფად მოძრაობს ჯავშანი, იმდენათ თხელი ფენებიდან შეიძლება მისი დამზადება. მაგრამ მოგება წონაში არც ისე დიდია, როგორც პირველი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რადგან ჯავშნის სიმსუბუქეს აუქმებს მოტორის დადგმა ჯავშნის ასამოძრავებლად.

გულის მანკის ქირურგიული მკურნალობა

გულის ქირურგიის წარმატებებმა ამერიკელი ქირურგები შტიულერი და ბეკი მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია გულის მანკის მკურნალობა ქირურგიული წესით. მათ შეიმუშავეს უაღრესად რთული წესი გულის ოპერაციებისა და ეს წესი გამოსცადეს მრავალ ცხოველებზე, რის შემდეგ შეუდგნენ ადამიანთა მკურნალობას. დღემდე მათ ჩაატარეს რამდენიმე ოპერაცია — ყველა დადებითი შედეგებით. ავადმყოფობის ნიშნები ოპერაციის შემდეგ გაქრა. რამდენათ საფუძვლიანია მკურნალობა — მომავალი გამოარკვევს.

ვულკან კრაკატაუს ამოხეთქვა

როგორც ბატავიიდან (კუნძულ იავას მთავარი ქალაქი) უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაძლიერდა ვულკან (ცეცხლისმფრქვეველი მთა) კრაკატაუს (იმყოფება ორმოცი კილომეტრის მანძილზე კუნძულ იავადან) მოქმედება. ვულკანის კრატერი, რომელიც წყალში ჩაეშვა უკანასკნელი მიწის ძვრის დროს,—(1.883 წ.) ამჟამად კვლავ მაღლდება. ერთ დღეს, მხოლოდ 4 საათის განმავლობაში ვულკანმა სამჯერ ამოისროლა გავარვარებული მასა. კუნძულ იავას დასავლეთ სანაპიროების მოსახლეობა პანიკამ შეიპყრო, მოსახლეობის ნაწილი სტოვებს თავის კარ-მიდამოს და გარბის.

1.883 წ. ვულკან კრაკატაუს ამოხეთქვის დროს დაიღუპა 25.000 კაცი.

აკად. პ. პ. ლაზარევის

ახალი აღმოჩენა

აკადემიკოსმა პ. პ. ლაზარევმა თავის ლაბორატორიაში, იმ პროცესების შესწავლის დროს, რომელთაც ადგილი აქვს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში, შეიმუშავა ისეთი მეთოდი, რომელიც შესაძლებლად ხდის ნერვიული სისტემის დაავადმყოფების გამორკვევას დაწყებითი სტადიაში იმ დროს, როცა ავადმყოფის გასინჯვის ჩვეულებრივი მეთოდები ვერ არკვევს ვერავითარ ნიშნებს იმ ცვლილებისას, რომელთაც განიცდის ორგანიზმი.

აკად. პ. პ. ლაზარევის მეთოდი ემყარება ავადმყოფის თვალის გასინჯვაზე სპეციალური ხელსაწყოებით.

ზეგავლენის მოხდენა

შთამომავლობის სქესზე

ბიოლოგმა დენფორსმა გამოარკვია, რომ შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა ცხოველთა შთამომავლობის სქესობრივ შემადგენლობაზე ქიმიური საშუალებებით. დენფორსმა ვირთ თაგვებს შეუშხაპუნა 5 წვეთი სპირტის ხსნარი და დარწმუნდა, რომ იმ თაგვების შთამომავლობაში, რომელთაც სპირტის ხსნარი შეუშხაპუნეს, 100 მდედრობითი სქესის თავზე 128 მამალი თაგვი მოდიოდა. ამ თაგვების შთამომავლობაში კი, რომელთაც ეს ზეგავლენა არ განუცდიათ, მხოლოდ 103. დენფორსი ამას ხსნის იმით, რომ ალკოჰოლის ხსნარი, რომელიც მავნე გავლენას ახდენს მდედრობითი სქესის სპერმატოზოიდებზე, აძლიერებს მამრობითი სქესის სპერმატოზოიდებს.

ფიზიკოს ლორენცის

გარდაცვალება

7 თებერვალს ამსტერდამში გარდაიცვალა ცნობილი ჰოლანდიელი ფიზიკოსი პროფ. გენრიხ ლორენცი. ლორენცი ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსია. მან შექმნა ელექტრონული თეორია და მოძრავ სხეულების ოპტიკა. 1902 წ. თავისი შრომებისათვის ლორენცი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. განსვენებული 75 წლის იყო.

საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან

გაზეთ „კომუნისტი"-ს ა.-წ. 5 თებერვლის № 30-ში მოთავსებული იყო წერილი „ქელა"-ს „ცუნდათ მოსიარულე თანამშრომლება"-ს სათაურით, რომელიც მიმართული იყო მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის წინააღმდეგ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ საქმე გამოიკვლია წერილის შინაარსის მიხედვით და გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

წერილი სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, თავისი შინაარსით არ არის სწორი და დაუშვებელ ფორმებით არის დაწერილი. წერილი აშენებულია პირად ინტერესების ნიადაგზე პასუხისმგებელ ამხანაგების და მთელი კომისარიატის სახელის გატეხის მიზნით.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის ამხ. გეგეჭკორის საპასუხო წერილი, (რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტი"-ს № 32-ში) ამ წლის 8 თებერვლის თარიღით ჩაითვალოს სავსებით სწორად.

რაც შეეხება თვით რედაქციას, რომელიც ენდო წერილის ავტორს და დასტამბა აღნიშნული წერილი, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის ამხ. გეგეჭკორის საპასუხო წერილზე სარედაქციო შენიშვნის მოთავსების შემდეგ (იხ. ამხ. გეგეჭკორის საპასუხო წერილი და იქვე სარედაქციო შენიშვნა „კომუნისტი"-ს № 32)—საკითხი რედაქციის შესახებ ჩაითვალოს ამოწურულად.

საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი.
საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია.

თათბირი წყალთა მეურნეობის საკითხებზე

1 და 2 მარტს წყალთა მეურნეობის სამმართველოში სწარმოებდა თათბირი წყალთა მეურნეობის დარგში დაწყებულ სამუშაოთა შესახებ. თათბირს ესწრებოდენ ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები, საქართველოს წყალთა მეურნეობის დარგში დაწყებულ სამუშაოთა ხელმძღვანელები, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალები, საგეგმო კომისიის და მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის წარმომადგენლები და სხვა. თათბირზე მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრი პროფ. ალექსანდროვი, პროფ. ქურდიანი, პროფ. მიკულინი და სხვა სპეციალისტები.

თათბირის მსჯელობის ძირითად საკითხს წარმოადგენდა კოლხიდის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა გეგმის შემუშავება. მთელი რიგ მოხსენებათა მოსმენის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო შემდეგი:

ვინაიდან კოლხიდის ჭაობების ამოშრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახნავი მიწის სიმცირესთან და მალარიასთან ბრძოლაში, ხოლო ამავე დროს დაშრობილი ადგილები, როგორც სუბტროპიკული რაიონი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკავშირო მრეწველობისათვის საჭირო ზოგიერთ ნედლეული მასალის მოსაყვანად. ამიტომ მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ დაჩქარდეს აღნიშნული სამუშაოთა დამთავრება.

მიმდინარე წლის განმავლობაში დასრულებული უნდა იქნეს ყველა საჭირო გამოკვლევები და უნდა შემუშავდეს სამუშაოთა გეგმა. შემუშავებულ უნდა იქნეს აგრეთვე საცდელ სამუშაოთა გეგმა, რომლის განხორციელებაც დაწყებულ უნდა იქნეს ხოპიდან მოყოლებული მდ. რიონის ნაპირებამდე.

მალარიასთან ბრძოლის საქმეში. თათბირმა საჭიროდ სცნო გამოყენებულ იქნეს როკფელერის ინსტიტუტის გამოცდილება.

სახალხო კვების მუშაკთა ყრილობა

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენების გარშემო ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კავშირის გამგეობის მუშაობაში მრავალ საყურადღებო მიღწევებთან ერთად ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დეფექტებსაც და აღნიშნული დეფექტების გამოსწორებას მომავალში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ორატ. აზრით, ვერ იყო ფართოდ გაშლილი მასიური მუშაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტი იყო მუშაობა შინამოსამსახურეთა შორის, რომლებსაც კავშირი ზოგჯერ ვერ უწევს სათანადო დახმარებას. ვინაიდან თვით შინამოსამსახურეთა მასა პროფესიონალურად ვერაა განვითარებული.

უკანასკნელი სხდომა

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა პრაქტიკული წინადადებები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს კავშირის ახალმა ცენტრალურმა გამგეობამ. შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

ყრილობის დახურვის წინ არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრ. გამგეობა, რომელშიაც შედის 19 კაცი და 5 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს სამი კაცი.

პურის ცხობა-გასაღების მოწესრიგება

პურის ცხობისა და გასაღების მოწესრიგების მიზნით, გუშინ საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციათა, პურეულის შემომზიდველ ორგანიზაციათა და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის მოსახლეობა (316.000 კაცი) ყოველდღიურათ ხარჯავს 10.000 ფუთ გამომცხვარ პურს, რაც შეადგენს 7.100 ფუთ ფქვილს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ფქვილის ეს რაოდენობა აქამდისაც იხარჯებოდა ყოველდღიურად. მაგრამ პურის ცხობა და გასაღების მოუწესრიგებლობის გამო ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ქალაქის ესა თუ ის რაიონი რჩებოდა უპუროთ.

ასეთ არანორმალური მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, თათბირმა დაადგინა პურის გამსაღებელ კოოპერატიულ წერტების რაოდენობა გადიდებულ იქნეს 500-მდე და ეს წერტები ჩაეწყოს რაიონებში რეალურ მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

ამჟამად თბილისში არსებობს 383 პურის გამსაღებელი კოოპერატიული წერტი; აქედან მუშკოოპის—240 წერტი, „ზაკტპო"-სი—34 წერტი და სარეწკოოპკავშირის—109 წერტი, თათბირის დადგენილებით, დამატებით უნდა მოაწყოს მუშკოოპმა 89 წერტი ხოლო „ზაკტპომ"—28 წერტი.

თბილისის აღმასკომის სავაჭრო კომისიას თათბირმა დაავალა მუშკოოპთან ერთად მოაწყოს ახალი წერტების საიჯარო გადასახადის საკითხი.

თათბირმა წინადადება მისცა პურის მექანიკური საცხობის შემმოწმებელ კომისიას, დაჩქარებით შეამოწმოს პურის მექანიკური საცხობი, და თუ ეს უკანასკნელი მოწონებული იქნება, პურის ცხობა წარმოებულ იქნას მექანიკურათ. მუშკოოპს მიეცა წინადადება 15 მარტისთვის წარმოადგინოს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მოხსენება პურის ცხობის რეორგანიზაციის შესახებ. თათბირზე შემუშავებულ იქნა აგრეთვე პურის ცხობის ნორმები, რომლის თანახმად მუშკოოპი ყოველდღიურათ გამოაცხობს 5.300 ფუთ ფქვილს. სარეწკოოპკავშირი—800 ფუთს, ხოლო „ზაკტპო" 1.000 ფუთ ფქვილს.

პურის ცხობა-გასაღების ნორმალურათ წარმოების უზრუნველსაყოფად საჭიროთ იქნა ცნობილი კონტროლის გაძლიერება.

ქუთაისი
(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ამ რამდენიმე თვის წინად ქუთაისის მუშკოოპის „კოოპერაციის" 7 თანამშრომელ მაღაზიების გამგეები და ნოქრები მისცეს პასუხისგებაში საქონლისა, თუ ფულის გაფლანგვისათვის. ახლად დანიშნული ინსტრუქტორის გამოკვლევით დიდძალ გაფლანგვას უნდა ჰქონებოდა ადგილი. (ზოგიერთ გამგეს, მაგალითად, მისი ანგარიშით, 2.000 მანეთზე მეტი ჰქონდა გაფლანგული). თანამშრომლები დააპატიმრეს, რამაც შექმნა ერთგვარი მითქმა მოთქმა. კოოპერაციის მტრებმა ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენეს.

სასამართლომ გაარჩია ეს საქმე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ინსტრუქტორის „უტყუარი" ციფრები ტყუილი გამოდგა და არავითარი ბოროტმოქმედება არ აღმოჩნდა.

სასამართლომ მოსამსახურეთა წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება უსაფუძვლოდ სცნო, „დამნაშავენი" გაანთავისუფლა და აღადგინა ძველს ადგილებზე გამცდარი თვეების ჯამაგირის მისჯით.

ამგვარად, ინსტრუქტორის გადაჭარბებულმა ერთგულებამ უარყოფითი შედეგი მოუტანა კოოპერაციას: ერთი რომ—არევ-დარევა შეიტანა მაღაზიებში; მეორე—არასასურველი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში და, მესამე—დიდი ნივთიერი ზარალი მიაყენა კოოპერაციას.

ჩვენ ინსტრუქტორის კეთილ განზრახვაში ეჭვი არ შეგვაქვს; მაგრამ ის რომ უფრო დაკვირვებულად მოქცეულიყო, მასთან მუშკოოპის გამგეობაც რომ არ აჩქარებულიყო ბრალმდებლისადმი საქმის გადაცემით, დამნაშავეთა სამართალში მისაცემად, სანამ ინსტრუქტორის მიერ წარმოდგენილ ცნობებს თანამშრომელთა ბოროტმოქმედების შესახებ წინასწარ არ შეამოწმებდა,—მაშინ არც კოოპერაცია გაილანძღებოდა, არც მისი უდანაშაულო თანამშრომელნი დაისჯებოდენ და კოოპერაციასაც ამდენი ზარალი არ მიადგებოდა.

ჩვენ მთელის ჩვენი არსებით იმის მომხრე ვართ, რომ ნამდვილი ბოროტმოქმედნი ყველგან სასტიკად დაისაჯონ და გახურებული შანთით სამაგალითოდ დაიდაღონ; მაგრამ შეუმოწმებლად სასამართლოს გადასცე თანამშრომლები და მთელი თვეობით გამასწორებელ სახლში აყურყუტო როდესაც მათ არაფერი დაუშავებიათ და გასასწორებელიც არაფერი აქვთ.

გადაჭარბებულ ერთგულობასაც ხშირად ორგულობის შედეგი მოაქვს.

დონ—ვალიანი.

ქრონიკა

საგზაო-სატრ. რწმუნებულთა ყრილობა

სამშაბათს, 6 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო") რწმუნებულთა მერვე ყრილობა.

მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მორიგი წლიური კრება დანიშნულია 18 მარტისათვის.

მიწათმოქმედების კომისართა თათბირი

მიწათმოქმედების სახ. კომისართა საკავშირო თათბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო ხარკოვში, საქ. მიწსახკომში მიღებული ცნობით, გადაიდო გაურკვეველ დროისათვის.

ხის დამამუშავებელთა კონფერენცია

22 მარტს, საღამოს დაიხურა ხის დამამუშავებელთა კავშირის კონფერენცია. კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე გაიხსნა კამათი სატყეო მრეწველობის ტრესტის მუშაობის შესახებ.

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ აირჩია 6 დელეგატი ხის დამმუშავებელთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად. დელეგატებათ არჩეულ იქნენ—დ. გეგეშიძე (მარელისიდან), შ. სალდაძე, ვ. ბლიაძე, ალ. კელბაქიანი, ნ. ეგამოვი და მანჯგალაძე.

1927 წლის სესხის მე-5 ტირაჟი შესდგება თბილისში

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა რომ 1927 წლის ათ პროცენტიანი სესხის მოგებათა მეხუთე ტირაჟი შესდგეს თბილისში 20, 21 და 22 აპრილს.

რესპუბლიკანური საკლუბო თათბირი

ორშაბათს, მარტის 5, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის პროსპ. 17) გაიხსნება საქართველოს პროფკავშირების საკლუბო თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: კულტურული რევოლიუცია და საპროფკავშირო კულტმუშაობის ამოცანები (მომხ. ამხ. ასრიბეკოვი), მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები (მომხ. ამხ. ფირალიშვილი), სამხატვრო მუშაობა კლუბში (მომხ. ამხ. ქშონზერი), მუშაობა ახალგაზრდობასა და ქალებს შორის (მომხ. ამხ. ორჯონიკიძე), ფიზკულტურა და გასამხედროება კლუბში (მომხ. ამხ. მერკვილაძე).

მესამე სახალხო სესხის მეორე ტირაჟი

5 იანვარს უკრაინაში დაიწყება მესამე სახალხო სესხის მეორე ტირაჟი. გათამაშებული იქნება სულ 1.875.000 მანეთის მოგება; აქედან 175.000—ამანეთიანი მოგება, ასი მოგება თითო 500 მანეთიანი, 50 მოგება თითო 1000 მანეთიანი, 10 მოგება თითო 2.000 მანეთიანი და ერთი მოგება 5.000 მანეთიანი.

მოგებათა განაღდება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა შეუდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟის მოგებათა განაღდებას. გუშინდელი დღის განმავლობაში ბანკის მიერ განაღდებულ იქნა 55 მოგება 4.700 მანეთის რაოდენობით.

თბილისის აღმასკომში

◆ მუნიციპალურ მუზეუმს გამოფენის მოსაწყობად გადაეცა 1016 მანეთი.

◆ დაზღვევა. თბ. აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს თემაღმასკომების მოლარეთა საგარანტიო დაზღვევა.

◆ გარეუბნებში მცხოვრებთა სახლებში წყალსადენის გასაყვანად გადადებულია 71.958 მანეთი.

◆ საბურთალოს კეთილმოწყობის მიზნით კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა მის დაგეგმვას.

◆ დახურული ბაზარი. სადგურის ახლოს დახურული ბაზრის მოსაწყობათ გადაიდო 40 ათასი მანეთი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღწევათა გამოფენა დაიხურება ხვალ 5 მარტს.

◆ პროფსექციები. უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა 14 პროფბიურო და 14 სამეცნიერო წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 2000 სტუდენტი.

◆ ხელფასის გადიდება. უნივერსიტეტის პედაგოგიურ პერსონალს ხელფასი გაუდიდდათ 18 პროცენტით.

◆ უნივერსიტეტთან დაარსდა ავიაქიმიური უჯრედი და ტირი.

ჯანსახკომში

◆ ვენეროლოგების კონფერენცია. ჯანსახკომის ცნობით 20 აპრილს თბილისში გაიხსნება სრ. საქართველოს ვენეროლოგთა კონფერენცია.

◆ ცენტრ. კლინიკურ ინსტიტუტთან 8 მარტის აღსანიშნავად ჯანსახკომი ხსნის საბავშვო ბაგას.

◆ საკურორტო სამმართველომ შეიმუშავა საბინაო ტარიფი, რომელიც სავალდებულოა კერძო ბინების პატრონებისათვის აგარაკებზე.

პროფსაბჭოში

◆ იურიდიული დახმარება. პროფსაბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა დამხმარე ბიურომ თებერვლის განმავლობაში იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 1567 წევრს.

◆ კონფერენცია. ხვალ ქუთაისში გაიხსნება ქუთაისის პროფკავშირთა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრება პროფსაბჭოს წევრი აშთიძე.

— სამი ათასი მანეთი დახმარება. მედსანშრომის კავშირის ც. გ. მიერ მოწყობილ ფარმაცევტიულ გადამამზადებელ კურსების ღარიბ მსმენელთა სწავლის ფულისაგან განთავისუფლების მიზნით, საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა გაიღო ერთდროული დახმარება სახით 3.000 მანეთი.

— კონფერენცია. ოზურგეთის პროფბიუროს სამაზრო საკავშირთაშორისო კონფერენციის მოწვევა განზრახულია ა.-წ. 7 მარტისათვის. კონფერენციას დაესწრება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი—ამხ. ბ. მაჩაიძე.

ებრაელთა მიწათმოწყობ. საზ-ბაში

◆ ებრაელთა მიწათმოწყობის საზ-ბამ გადაწყვიტა ქართულ ენაზე გამოსცეს ამხ. მ. კალინინის წერილები ებრაელთა მიწებზე მოწყობის შესახებ.

◆ სოფლის მეურნე ებრაელები კინოში. ამავე საზოგადოებამ დაადგინა უკრაინის სახკინმრეწველობისაგან შეიძინოს ახალი სურათი: „სოფლის მეურნე ებრაელების ცხოვრება". სურათი ნაჩვენები იქნება როგორც თბილისში, ისე მაზრებში.

კრებები და მოხსენებები

◆ ქართულ საენათმეცნიერო საზ-ბის წლიური სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო 29 თებერვალს, შესდგება 6 მარტს, საღამოს 7 ს. საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში.

◆ სახ. უნივერსიტეტში საღამოს 6 ს. შესდგება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წევრ-სტუდენტთა გაერთიანებული კრება.

სხვადასხვა

◆ წითელარმიელთა კლუბში დღეს ამხ. შავერდოვა წაიკითხავს მოხსენებას: „მშრომელი ქალები და კულტურული ცხოვრება".

◆ კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის გამოფენა დაიხურება დღეს, საღამოს 8 საათზე.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) კომკავშირი და სახკოლო მშენებლობის საკითხები. (მასალათა კრებული—საქ. ახ. ლენ. კომ. კავშ. (ც. კ. რედაქციით), ფასი 50 კ.; 2) კომკავშირელ მწერლების ლექსთა კრებული (ვ. ლუარსამიძის რედაქციით), გვ. 40. ფასი 30 კ.; 3) „მნათობი" № 2 (სამხ. სალიტ. ჟურნალი); 4) „არიფიონი"—(სამხატვრო სალიტერ. კრებული—ვ. [illegible] და ვ. გორგაძის რედაქციით), გვ. [illegible] ფასი—2 მან.; 5) „პროლეტ. მწერლობა" № 1 (სამხატ. სალიტ. ჟურნალი), ფასი 50 კაპ.; 6) ვ. ი. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია (მეორე გამოცემა), გვ. 200, ფასი—71 კაპ.

სრ. საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობისათვის

სრ. საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობისათვის

სამშაბათს, 6 მარტს საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში გაიხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან შემდეგი დელეგატები:

I) ქართველ მწერალთა აკადემიურ ასოციაციიდან

1. აბაშელი ალ., 2. ბარნოვი ვასილ, 3. გამსახურდია კონსტ., 4. გრიშაშვილი ი., 5. ვარდოშვილი ხარ., 6. თავაძე სოლ., 7. ინგოროყვა პავლე, 8. კლდიაშვილი დავით, 9. კოტეტიშვილი ვახტანგ., 10. მარიჯანი, 11. მღვიმელი შიო, 12. მეგრელი ჟუტუ, 13. ნაკაშიძე ნინო, 14. რუხაძე ვარლამ, 15. რაჭველიშვილი ქრ., 16. სახოკია თედო, 17. სონღული ირ., 18. საყვარელიძე პავ., 19. ფაშალიშვილი ს., 20. შიუკაშვილი ნიკო, 21 შარაშიძე შალვა, 22. წერეთელი ალ., 23. ჭუმბაძე არ., 24. აღლაძე ილია, 25. აბრამიშვილი მიხ., 26 გორგაძე სერგო, 27. ეკალაძე ია, 28. ტუქსიშვილი ვასო, 29. ვართაგავა იპოლიტე, 30. ცქვიტი.

II პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან

1. ამაღლობელი სერგო, 2. ასლამაზაშვილი ნიკო, 3. ანაზარდი (ქუთაისი), 4. ბაჯიაშვილი, 5. ბობოხიძე კალე, 6. ბუაჩიძე ბენიტო, 7 გედევანიშვილი იოსებ, 8. დოლიძე სოლომონ, 9 დუდუჩავა შურა, 10. ერთაწმინდელი, 11. თოდრია სილვა, 12. კალაძე რაჟდენ, 13. კალაძე კარლო, 14. ეული სანდრო, 15 ვაკელი იონა, 16. ზომლეთელი ნოე, 17. რურუა - ოდიშელი (ბათომი), 18. კარსანიძე შალვა, 19. ლორთქიფანიძე კონსტანტინე, 20. ლუარსამიძე ვალერიან, 21. მაშაშვილი ალიო, 22. მამულია სამსონ, 23. მაჭავარიანი ვოვა, 24. ნავთლუღელი შაქრო, 25 არაზი, 26. პოლუმორდვინოვი ელიზბარ, 27. რადიანი შალვა, 28. რონდელი დავით, 29. სამსონიძე პეტრე, 30. სულავა ალექსანდრე, 31. ნაროუშვილი ფრ., 32. ფეოდოსიშვილი კალე, 33. ბუხნიკაშვილი გრიგ., 34. შინატეხელი გიორგი, 35. ხრიკვაძე პანტ., 36. წვერავა სიმონ, 37 ხეჩუაშვილი გიგო, 38. ხიდისთაველი სიო, 39. ხოშტარია ილია, 40. სუტირინი ვლ., 41. კრეიტანი გიორგი, 42. მარტინი, 43. მამედოვი, 44. ჩანბა (სოხუმი), 45. გრიგი;

III. ცისფერი ყანწების კორპორაციიდან

1) აფხაიძე შალვა, 2) გაფრინდაშვილი ვალერიან, 3) გვეტაძე რაჟდენ, 4) იაშვილი პაოლო, 5) კლდიაშვილი სერგო, 6) ლეონიძე გიორგი, 7) ნადირაძე კოლაუ, 8) მიწიშვილი ნიკოლოზ, 9) რობაქიძე გრიგოლ, 10) ტაბიძე ტიციან.

IV არიფიონის კორპორაციიდან

1) მეტრეველი ლ., 2) სულიაშვილი დ., 3) მოსაშვილი ი., 4) დადიანი შ., 5) ჯავახიშვილი მიხ. 6) კაპანელი კ., 7) ქიაჩელი ლ., 8) ქიქოძე გ., 9) შანშიაშვილი ს., 10) გორგაძე ვ.

V „ფუტურისტების" კორპორაციიდან

1) აბულაძე ბიძინა, 2) ალხაზიშვილი შალვა, 3) ბელაშვილი აკაკი, 4) კასრაძე სტეფანე, 5) ჟღენტი ბესარიონ, 6) შენგელაია ნიკოლოზ, 7) შენგელაია დემნა, 8) ჩიჩავა ნიკოლოზ, 9) ჩიქოვანი სიმონ, 10) ესაკია ლეო.

აღმშენებლობა ფოთში
(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ჯერ კიდევ საკმაოთ არ მიახლოვებიხართ ფოთს და უკვე გარკვევით მოსჩანს მაიაკზე უმაღლესი გუმბათი, საკათედრო ტაძრისა, სადაც ერთ დროს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი აღავლენდა:

— ლოცვითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.

დღეს კი არა ლოცვით, არამედ ჯერ კიდევ პრიმიტიული ცხენმავალით მიდიხართ ამ საკათედრო ტაძართან და კვალსაც ვეღარ ამჩნევთ:—რომელი კარიდან მიბრძანდა აქედან ამ შვიდი წლის წინეთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

რიონის ჩრდილოეთ შტოზე ახლად აგებული რკინა-ტინობის ხიდი

წავიდა მათი „ყოვლად უსამღვდელოესობა" და ფოთს დაუტოვა აი, ეს მაიაკზე უმაღლესი ტაძარი, სადაც ამჟამად ღამურებს მოუნახავთ ფართო სარბიელი და ასპარეზი.

ძალაუნებურათ გებადებათ კითხვა:—ვის რა ჯანდაბათ უნდოდა ეს უზარმაზარი ტაძარი პატარა ფოთისათვის, სადაც მცხოვრებთა რიცხვი არ ყოფილა იმდენი, რამდენიც ამ ტაძარს ფანჯრები აქვს?

დღეს ფოთის ბედიღბალს თვით მასში მცხოვრები მშრომელი ხალხი განაგებს. ფოთის აღმასკომის სათავეში სდგას ყოფილი მტვირთავი მუშა ამხ. გიგო ლომთათიძე.

ვინ აირჩია იგი?

მის არჩევაში ცენზიან ვაჭრებს არ მიუღიათ მონაწილეობა; იგი ფოთის მშრომელი ხალხის, ფოთის პროლეტარიატის წარმომადგენელია!

და ამ მშრომელ ხალხს, მის წარმომადგენელთან ერთად სცოდნიათ მშენებლობა, სცოდნიათ მართვა, სცოდნიათ გამგებლობა:

— არა საკათედრო ტაძრების, არამედ სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, საავადმყოფოების, ხიდების, ახალი ქუჩების, ბაღების და ქარხნების. მშვენიერდება და ფართოვდება საბჭოთა ფოთი.

— მკითხვათ—რითი ამაყობდა წინეთ, ძველი ფოთი?

— დიდი ტაძრით, მაღალ კოშკით და კონკით...

დღეს ტაძარი დაობლებულია, კოშკი დაცარიელებული და „კონკაც" თუმცა კიდევ ახერხებს ჯაგლაგს, მაგრამ მისი დღეები დათვლილია, რადგან უკვე მოთავებულია ფოთში-აბჰესის მიმღებ-განმანაწილებელი ტრანსფორმატორი, რომლის ენერგიის წყალობით ჯაგლაგის მაგიერ, ფოთის სწორსა და ფართო ქუჩებზე სრიალს დაიწყებს ელექტრო-ვაგონები: ვაგონები უხმოთ ისრიალებენ, მაგრამ საუცხოვოთ ამეტყველდება იმ დროს ფოთის მშრომელთა გული და ენა. თუმცა ასამეტყველებელი, ტრამვაის გარდა, სხვაც ბევრი რამა აქვთ დღესაც ფოთის მშრომელთ.

ახლად აგებული შენობა მუშკოოპის მაღაზიისათვის

აი, თუნდა მოკლე ცნობები:

— იყო მას ჟამსა შინა ორი დაბალი და ერთი საშუალო სასწავლებელი.

არის ამჟამად:

— 7 ოთხწლედი, 2 შვიდწლედი, 1 ცხრაწლედი, 3 სპეცტეხნიკუმი, 2 საბავშვო ბაღი, 1 მუსიკალური სასწავლებელი, 7 სამკითხველო და სხვა.

იყო—ერთი საავადმყოფო 15 საწოლით.

არის.

— სუფთად და ფართოდ მოწყობილი ცენტრალური საავადმყოფო, ცენტრალური ამბულატორია, კბილის ორი საექიმო კაბინეტი, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, სამალარიო-სადგური, ვენეროლოგიური დისპანსერი და სხვა.

იყო—ჭაობი, ამოუშრალნი და მდინარენი უნაპირონი.

არის.—გაცხოველებული მუშაობა ჭაობების ამოსაშრობათ, მაგალითად: ყველაზე უფრო „ჩაოხრებული" სივრცე მაიაკთან თითქმის სავსებით ამოშრალია, ფოთის ჭაობთა ამოშრობაზე ყოველწლიურათ ათასეული კაცი მუშაობს, ჭაობთა ნაკვალევს ავსებენ წყლის გამძლე ხრეშითა და ქვიშით.

დიდძალი თანხა დაიხარჯა რიონის ნაპირების გასამაგრებლათ (მარტო წარსული წლის განმავლობაში დაიხარჯა ამ საქმეზე ასი ათას მანეთამდე); კირწყლავენ ქუჩებს, გამშვენიერდა და მშვენიერადაა შემოკავებული ქალაქის ბაღი, აიგო რიონის ჩრდილოეთ ტოტზე ახალი რკინა-ტინობის ხიდი, რომელიც 200 ათას მანეთზე მეტი დაჯდა, კაპიტალურათ შეკეთდა ძველი ხიდები და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით დღევანდელი ფოთის ბიუჯეტი 600 ათას მანეთს აღემატება და ეს თანხა თითქმის სავსებით ხალხის კულტურულ გათვითცნობიერებას, ჯანმრთელობას და სამეურნეო მაჯისცემის გაცხოველებას ხმარდება.

უკვე მოეწყო ნაოსნობა მდინარე რიონზე. ამ გზით ფოთი დაუკავშირდება სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის მრავალ მნიშვნელოვან პუნქტებს, შემცირდება სატრანსპორტო ხარჯები, გასაქანი მიეცემა მიყრუებულ სოფლების ნაწარმოებს და ამგვარად, ეს ნაოსნობაც ერთ-ერთ ქონებრივათ წინწამწევ ძალათ გარდაიქცევა ამ ახლო მომავალში სოფლის მშრომელი გლეხობისათვის.

ამ გზით მიემართება საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი ხალხის საქმიოთ.

ძველი ფოთი კი?

იგი ჭაობში ჩამძვრალი, ჩაყურყუმალავებულ ფოთისათვის მაიაკზე უმაღლეს ტაძრებს აგებდა, სადაც „მათი მეუფება"—გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი აღავლენდა:

— შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით!

გასტყდა ეს შიში, გაიბზარა „სარწმუნოება", წარსულის ჭაობში ჩაიძირა „წმინდა ტაძარი" და სწორეთ ამიტომ ამოტივტივდა მიწის ზედაპირზე დღევანდელი ფოთი, რომლის ჭაობებს შრება ოქტომბრის მზის სხივებზე.

გ. რიონიძე.

ნაოსნობა რიონზე
რკინა - ბეტონის ნავთსადგური მდ. რიონის ჩრდილოეთ შტოზე

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ფატმა მუხტაროვას მეორე გასტროლი

„სამსონ და დალილა".—მუს. სენ-სანსისა

ფატმა მუხტაროვას გამოსვლა დალილას როლში ა. წ. მარტის ორში ყოველად შეუდარებელია მისივე პირველ გამოსვლასთან „კარმენ"-ში და დამამტკიცებელია იმის, რომ მუხტაროვასათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს თავისი პირადი შემოქმედების შეთანხმება კომპოზიტორის განზრახვებთან. ამის წყალობით იქმნება თავისი მხატვრობით მძლავრი შთაბეჭდილება, სცენიური და ვოკალური მხარეები როლისა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, ხმას ეძლევა ასპარეზი გაქანებისათვის. ცალკე ფრაზები საუკეთესოდ მორგებულნი არიან და უკვე სავსებით შესაძლებელია მსჯელობა ამ ხმის ბუნებრივ თვისებებზე და მასიობის მომზადებაზე. მუხტაროვას ხმა ჩაითვლება საუკეთესო ბუნებრივ მასალათ, რომელში უძვირფასესად ჩაითვლება შვენიერი ელფერი (ტემბრი), ბუნებრივი მოქნილობა, ფართო დიაპაზონი და ამასთან დაკავშირებული ცალკე ბგერათა თავისუფალი წარმოშობა. ხმის სილამაზე და ყურთა სმენაზე მომხიბლავი ზეგავლენა მალავენ მუხტაროვას ხმის ერთ ფრიად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ თავისებურობას: ზოგიერთი ბგერანი მუხტაროვასა, მიუხედავად კილოს სრულ სისწორისა, ქმნიან შთაბეჭდილებას ვითომ და უსწოროებისა, და ეს შთაბეჭდილება სრულიად იკარგება ხმის მაღალ ფენებში, რომელნიც შუა და დაბალ ფენებთან შედარებით, სრულებით სხვა ხასიათის და ელფერის მატარებელნი არიან. ამიტომ და ბუნებითაც შეიძლება ითქვას, მუხტაროვას ნამდვილი ხმა იყო და არის დრამატიული სოპრანო ხელოვნურად და ყოველად მიზანშეწონილად დამუშავებული როგორც მეცცო სოპრანო ვინაიდან დამუშავებული, როგორც დრამატიული სოპრანო, ხმის ზემო ფენები გაფართოვდებოდნენ, მაგრამ ხმა საერთოდ დაჰკარგავდა იმ მომხიბლავ ელფერს, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს იარაღს მუხტაროვას ხელში.

მუხტაროვას მიერ მოფიქრება დალილას როლისა სავსებით ანხორციელებს და მისაგებარ აღმაფრენს სენ-სანსის მხატვრულ განზრახვებს. დალილას მომხიბლველობის სიძლიერე მარტო სცენიურად ვერ დასტოვებდა ღრმა შთაბეჭდილებას, მიუხედავად ტექნიკურ შესრულებისაც ვოკალური მხრივ, თუ რომ მას არ დაეხმარება რეალურ ვნებით სავსე ინტონაცია და სქესიურ მიმზიდველობით სავსე ელფერი ხმისა, და ამ შემთხვევაში, დალილას როლის უკეთესი ამსრულებელი ვინემ მუხტაროვა, ძნელად წარმოსადგენია. მეორე მოქმედებაში, რომ სრულებით მიატოვოთ სცენიური მხარე, რომელშიც მუხტაროვა ესე ძლიერია, და დაეყრდნოთ მხოლოდ ყურის-სმენაზე,—მუხტაროვას ვოკალური გადმოცემა ქმნის ამ მოქმედების სრულ ილიუზიას და ეს აღნიშნავს მუხტაროვას სრულ გამარჯვებას დალილას როლში.

მშვენიერი მსახიობია აგრანოვსკი საერთოდ, და თუ ოპერის პირველ და მეორე მოქმედებებში ვერ სტოვებს ფიზიკური სიძლიერის შთაბეჭდილებას,—ეს არ არის მისი ბრალი ხმოვანების სიმძლავრე—კი ვერ ფარავს ამ შემთხვევაში სცენიურ მხარეს, ვინაიდან სენ-სანსის მიერ სამსონის როლის დამუშავებაში, სიძლიერე სამსონისა დამყარებულია ცალკე მაღალ ბგერათა ხასიათზე და არა ამ ბგერათა მოხაზულობაზე და დინამიურ ზრდაზე. მაგრამ მესამე მოქმედებაში დაღლებულ სამსონის ფსიქოლოგიური ტანჯვა იმდენად გამომეტყველია აგრანოვსკის შესრულებაში, იმოდენად სრულია სცენიურად და ვოკალურად, რომ ამგვარი შემოქმედება შეუძლია მხოლოდ დიდი მხატვრული აზროვნების პატრონს.

კარცივაძეს კარგადა აქვს შესწავლილი დაგონის როლი, და სტოვებს საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას, მაგრამ უნდა მიაქციოს ყურადღება ხმის გადასვლის დროს ხმოვანების ა და ე-ს მორგებას, რითაც მოიგებს მისი სიძლიერე.

ძალიან კარგი გრიმი, და ხმის გამომეტყველება აქვს ლუბენცოვს ბებერი ებრაელის ტიპურ როლში. საერთოდ, ამ ოპერის ანსამბლი უნდა ჩაითვალოს საკმარისად დამუშავებულად.

ოპერას ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

ამხ. ფილიპე მახარაძის ბიუსტი

მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ დაამთავრა საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის ბიუსტი, რომელიც გამოკვეთილია მარმარილოდან.

ჟურ. „მნათობის" ლიტერატურული წრე

ჟურ. „მნათობი"-ს რედაქციასთან დაარსდა „მნათობი"-ს თანამშრომელთა ლიტერატურული წრე. წრეში შედის 42 მწერალი. წრემ 1 მარტის კრებაზე შეიმუშავა ლიტერატურული მუშაობის გეგმა და გამოყო ბიურო, რომელშიაც შედიან: ა. აბაშელი, გრ. რობაქიძე, ს. ეული, ლ. ქიაჩელი და ს. ჩიქოვანი.

წრის კრებები გაიმართება სისტემატიურად, ორ კვირაში ერთხელ.

◆ კომპ. პროკოფიევის კონცერტი. ახლო ხანში თბილისში გაიმართება კომპ. ს. პროკოფიევის კონცერტი.

◆ წითელარმიელთა კლუბში დღეს წარმოდგენილი იქნება „ცხოვრების ფსკერზე".

◆ „რღვევა". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ კონსერვატორიაში დღეს გაიმართება კონსერვატორიის სტუდენტთა მორიგი ღია კონცერტი.

◆ „ზერიკაობა". რუსთაველის თეატრში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა: „ზერიკაობა".

◆ „გუგენოტები". დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „გუგენოტები".

◆ მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს მეორეთ წარმოდგენილი იქნება „ამბოხება".

◆ ცირკში დღეს დილით გაიმართება წარმოდგენა ბავშვებისათვის ა. დუროვის მონაწილეობით.

◆ ნაძალადევის მუშათა თეატრში ადგ. დრამწრის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „სამანიშვილის დედინაცვალი".

„პროლეტარული მწერლობა"

გამოვიდა და იყიდება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო „პროლეტარული მწერლობა" № 1 (13) შემდეგი შინაარსით: მოწინავე. ალ. მაშაშვილი.—ლენინ. ბ. ბუაჩიძე.—საქართ. პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობის შედეგები. კ. ლორთქიფანიძე.—გარეუბნის უჯრედი.—იგავ-არაკი კრილოვისა ფირის შვილის შესახებ, ვ. ლუარსამიძე.—შენიშვნები ბლოკნოტიდან; ს. ეული.—ლენინის სახელს; მ. კახიანი—სოციალისტური მშენებლობა და კულტურული რევოლიუცია; ა. ხოშტარია.—საუბარი მოხუც კომუნისტთან; შ. რადიანი.—კ. კალაძე; დ. რონდელი.—ლიტერატურულ რევოლიუციის საზღვრებთან; ალ. სულავა.—ი. ლებედინსკის შემოქმედება; ვ. მაჭავარიანი.—სიუჟეტური სქემები, თუ რეალური მასალა; ბიბლიოგრაფია: ვ. ლუარსამიძე.—ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ბოჰემა"; ალ. სულავა—თ. გლადკოვი „ცემენტი"; შ. ა.—ლ. ესაკია—„ახალი მხატვრობა და ფირის მანიშვილი"; შ. კ.—პროლეტარული პოეტები.

სასამართლო

განაჩენი ვატმან ვართანოვის საქმეზე

გუშინ თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი ვატმან ვართანოვის საქმეზე.

ვართანოვს დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება, რომ მან თავისი უყურადღებობით და გაუფრთხილებლობით გამოიწვია საშინელი კატასტროფა კალიაევის დაღმართზე.

ვართანოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

განაჩენი კობულაშვილის მკვლელობის საქმეზე

დასრულდა ანდრო საძაგლიშვილის და სხვ საქმის განხილვა.

ანდრო საძაგლიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. სასამართლომ მიიღო მხედველობაში შემამსუბუქებელი გარემოებანი და სასჯელი შეუმცირა 3 წლით. დარჩენილი სასჯელი ამნისტიით განახევრებულ იქნა.

ბუგდან ზურაბაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და დარჩენილი ვადა ამნისტიით გაუნახევრდა.

გიორგი ასილოვს მიესაჯა იგივე სასჯელი, რაც ანდრო საძაგლიშვილს.

ლონგინოზ ჩითალაშვილი და ევგენია საძაგლიშვილის ასული გამართლებულ იქნენ.

ფარდაგის ამბავი

კვირა დღეა. ბაზარი გაჭედილია ხალხით მყიდველები და გამყიდველები ერთმანეთში ირევიან. განუწყვეტელი ჩოჩქოლია.

ბაზრის ერთ კუთხეში სდგას ღარიბად ჩაცმული მოქალაქე, რომელსაც მხარზე გადაუკიდია ერთი საკმაოდ ახალი ფარდაგი და თვალებს აცეცებს მუშტრებისაკენ.

— აბა, კარგი ფარდაგი, იაფად!—იძახის გაუბედავი ხმით მოქალაქე. ეტყობა სოფლიდან არის ჩამოსული არ ჰგავს პროფესიონალურ ფეხზე მოვაჭრეს.

— რა ღირს ფარდაგი?—მიუახლოვდა გლეხს „მუშტარი".

— როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს, ჩემო კეთილო, ნათქვამია. გაჭირვების გამყიდი, ნამდვილ ფასს რას დაველი! 6 თუმანს თუ ვინმე მომცემს, გავყიდი... სახლში გაჭირვება მაქვს ძალიანი...

— ოო! გამარჯობა კაცო შენი. მე ვერ მიცანი!

— სადღაც მინახავხარ მგონი.

— მოიგონე—„დესიატნიკი" ჯაგეტიანი... მე ვარ.

— მაგონდება, მაგონდება... ძალიან სასიამოვნოა.

— კაცო, რა გაგიჭირდა ასეთი. მოიტა აქ ფარდაგი. მე ვიყიდი და შენს ნათქვამ ფასზე ხუთმანეთს კიდევ მოგიმატებ...

— დაილოცა შენი ოჯახი. ინებეთ, ბატონო! თქვენ მეტს როგორ გამოგართმევთ.

— არა, გაჭირვებაში რომ არ იყო კი არ მოგცემდი მეტს. სულაც არ მინდა ფარდაგი, მაგრამ შენი მდგომარეობა რომ გავიგე, გული არ მიზამს თუ არ გაგიმართე ხელი.

— დიდი მადლობელი ვარ.

— ოღონდ ჯიბეზე ფული არ მაქვს. აქ ახლოს ვცხოვრობ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.. წავიდეთ და ფულს იქ მოგცემთ.

მოქალაქე გაჰყვა „გულშემატკივარს".

— შენ აქ დაიცადე, ცოლს გავასინჯებ ფარდაგს და ფულსაც მოგიტან.

— კი, ჩემო კეთილო! აქ დაგიცდით.

— შეგიძლიათ აქ ჩამოჯდეთ,—მიუთითა „მუშტარმა" კიბეზე და წავიდა.

იჯდა და იჯდა გლეხი კიბეზე. გავიდა ერთი საათი. გავიდა მეორე, მესამე... მოსაღამურდა. არც ფარდაგი სჩანს და არც მუშტარი.

— უკაცრავად, ჯაგეტიანი აქ ცხოვრობს?, მიაკაკუნა კარებზე მოთმინებიდან გამოსულმა გლეხმა.

— ამ ეზოში ასეთი გვარის კაცი არ სცხოვრობს, უპასუხებენ.

ჩამოიარა გლეხმა ყველა კარები. არსად არ სჩანდა მისი მუშტარი.

მოირტყა გლეხმა თავში ხელები და მორთო ტირილი. ბევრი იყვირა, ბევრი ირტყა თავში, მაგრამ რაღა დროსი იყო.

ჯაგეტიანს, თურმე. უკვე ფარდაგი ჩერვონცებზე ჰქონდა „გადახურდავებული".

სისხლის სამართლის მილიციამ მიაგნო ბოროტმოქმედების კვალს და ალექსანდრე ჯაგეტიანი შეიპყრეს.

— ჩემს დღეში ასეთი არაფერი მომსვლია, გეფიცებით სინდისს! ალბად, მთვრალი თუ ვიყავი,—სთქვა თავის გასამართლებლად ჯაგეტიანმა.

ჯაგეტიანი ერთი წლით გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

გერ.

შემთხვევები

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ დილით კალიაევის აღმართზე შეფერხდა ტრამვაის მოძრაობა.

მოძრაობა შეფერხებული იყო მთელი დღის განმავლობაში. რიყისაკენ და ავლაბარში მავალ მგზავრებს კალიაევის აღმართთან უხდებოდათ სხვა ვაგონში გადაჯდომა, რადგან ამ ხაზზე მოძრაობა სწარმოებდა მხოლოდ ერთი მიმართულებით.

დაზიანებული ხაზის შესაკეთებლად ტრამვაის სახელოსნოდან გამოიწვიეს ოსტატები.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება გამოიწვია ლიანდაგის დაზიანებამ. თოვლის დნობის დაწყებისთანავე ტრამვაის ლიანდაგი მუხრანის ხიდთან აივსო კალიაევის აღმართიდან ჩამორეცხილი ქვიშით.

გუშინ კალიაევის აღმართთან ადგილი ჰქონდა აგრეთვე ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანებას, მაგრამ ხაზი სასწრაფოდ შეაკეთეს.

ნორმალური მოძრაობის აღდგენა მოსალოდნელია დღეიდან.

დაჭრა

გუშინ ბაგრატ არუთინისძე თოროზოვმა ჩხუბის დროს დანით დაჭრა თავისი შვილი გიორგი.

გ. თოროზოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

ბაგრატ თოროზოვი დაპატიმრებულია.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ საღამოს გიორგი ივანესძე შაგუტაშვილის ბინას (ძმათა შესახვევი № 1) გაუჩნდა ცეცხლი. ოთახში დადგა კვამლი, რას გამო დაიხრჩო აკვანში მწოლი ბავშვი.

ქურდობა აღმშენებელ კავშირის კლუბში

უკანასკნელ ხანებში აღმშენებელ კავშირის კლუბთან (საბჭოს ქ., № 38) სისტემატიურად იკარგებოდა წიგნები. კავშირის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ წიგნებს იპარავდა ვიღაც კარაპეტ მარქიროსისძე გასპაროვი. ქურდი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინ დილით კომინტერნის ქუჩაზე მიმავალმა ალექსანდრა პავლოვსკაიამ (მცხ. ტერგუკასოვის ქ. № 13) თავი მოიწამლა ნიშადურის სპირტით. პავლოვსკაიას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

ხანძარი

გუშინ, დილით არაქელოვის ქ., № 1, მდებარე სამსართულიან კოოპერატიულ სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც ჩქარა ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ მთელ შენობას ემუქრებოდა. საჩქაროთ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 12 წუთის განმავლობაში.

მოკვლის განზრახვა

გუშინ, დღისით, ლეონიდე ჰავჰანიძემ (მცხ. ორჯონიკიძის ქ. № 40) მოკვლის მიზნით „ბრაუნინგის" რევოლვერიდან ესროლა მოქ. მურადაშვილს, რომელიც უვნებლად გადარჩა. ჰავჰანიძე დააპატიმრეს. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ მურადაშვილს ესროლა არა მოკვლის მიზნით, არამედ „შესაშინებლად". გამოირკვა, რომ ჰავჰანიძესა და მურადაშვილს შორის არსებობდა მტრული განწყობილება ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე.

რეციდივისტების დაპატიმრება

გუშინ თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ანდრია პეტრესძე კრავჩენკო და დიმიტრი სტეფანისძე ბოროდინი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ საცხოვრებელ ბინის გაქურდვა.

გამფლანგველების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ალექსანდრესძე როზოვი და გიორგი მნაცაკანისძე ანანოვი, რომლებსაც ბრალდებათ სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

ქურდობა

გუშინწინ ღამით გაქურდეს ე. დრასდრაბურის ბინა (პლეხანოვის პროსპექტი № 79); წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

გუშინ დღისით გაქურდეს ეფრემ კვატაძის ბინა (სოლოლაკის ქ. № 6); წაიღეს 350 მანეთის საოჯახო ნივთები. გაქურდეს ვლადიმერ სკვორცოვის ბინა (მილიციის ქ. № 140); წაიღეს 140 მანეთის ნივთები.

მგლების თარეში

თბილისში მიღებული ცნობებით, საქართველოს სხვადასხვა სოფლებში გამოჩნდენ მგლები. უკანასკნელი კვირეების სიცივეებმა და დიდმა თოვლმა მგლები, რომლებსაც მთაში და ტყეში არარავითარი საზრდო არ მოეპოვებათ, ბარში გამორეკა. სოფ. დიღომიდან მომავალ ერთ გლეხს დღისით შეხვდა მთელი ხროვა მგლებისა. გლეხს ხეზე ასვლა მოესწრო და მგლები თოფის სროლით მოიგერია. სოფელ ვაკისთავზე (ზემო ქართლი) მგლები თავს დაესხენ მეურნე გლეხს, რომელიც ძლიერ დაკბინეს.

გუშინ დილით მცხეთიდან ნახევარი ვერსის დაშორებით გამოჩნდა მგლების ხროვა. მგლების მოახლოვება შეამჩნია თბილისში მომავალმა მილიციელმა რომელმაც მგლები თოფის სროლით გაფანტა.

მგლების ხროვა თავს დაესხა აგრეთვე გლეხს ე. ზარდიაშვილს, მაგრამ მან მოასწრო ხეზე ასვლა.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოში

ბათომის მიდამოებში გრიგალი ჩადგა და წყნარი დარი დაიჭირა. თოვლის სისქე ბათომში—80 სანტიმეტრს უდრის.

სამტრედიის რაიონში თოვს. ტემპერატურა—1 გრადუსს უდრის.

სურამის უღელტეხილზე ქრის სუსტი ქარი და თოვს. თოვლის სიღრმე 130 სანტიმეტრს აღწევს.

ჭიათურაშიც თოვს. თოვლის სიღრმე აქ 50 სანტიმეტრს უდრის. ტემპერატურა—2 გრადუსია.

სურამში თოვს და ქრის ქარი. თოვლის სიღრმე მეტრს აღემატება. ტემპერატურა—ხუთი გრადუსია.

თბილისში ქარი შესუსტდა. მოწმენდილია, ტემპერატურა—2 გრადუსია.

აზერბეიჯანში

თითქმის მთელ აზერბეიჯანში ქრის ზომიერი ქარი. უმეტეს ადგილებში მშრალი დარები დადგა. ტემპერატურა—3 გრადუსს არ აღემატება.

სომხეთში

სომხეთშიაც ამინდის დაწყნარება დაეტყო. ლენინაკანში და ერევანში გრიგალი შესუსტდა. საგრძნობლად ყინავს, ლენინაკანში ტემპერატურა—18 გრადუსია; ერევანში—12 გრადუსი. თოვლის სიღრმე ლენინაკანში 50 სანტიმეტრს არ აღემატება.

მდგომარეობა რკინის გზებზე

გრიგალს, რომელიც მძვინვარებდა ა. კ. რკინისგზებზე, შესუსტება დაეტყო, მიუხედავად იმისა, რომ ამინდი წინა დღეებთან შედარებით საგრძნობლად გამოკეთდა. გუშინ დილას ხაზებზე უცვლელი მდგომარეობა იყო.

სომხეთის ხაზზე მოძრაობა არ იყო აღდგენილი. ნამქერებისაგან შეკრულია გზები და ნავთლუღ-ყუმისის, ნალბანდ-ლენინაკანის და ლენინაკან-ალაგეზის შუა.

ხელმეორედ აივსო გზა ნამქერით ორთაჭალის-ლენინაკანის შუა. იქ ნამქერში ჩაეფლა სახარგო მატარებელი, მის დასახმარებლად გაგზავნეს ორი ორთქლმავალი, რომლებიც გრიგალის გამო დაიჭირეს მატარებლებს. [illegible] ორთქლმავალი.

აღმოსავლეთის ხაზზე, გზა ნავთლუღ-ველის შუა გაუწმენდელი იყო. ხაზის გაწმენდაზე მუშაობდა 1000 კაცი—მუშები და წითელ არმიელები. მუშაობა სწარმოებს ორ მხრიდან—ნავთლუღიდან და ველიდან.

კახეთის ხაზზე მდგომარეობა უცვლელია. ნამქერებით ავსილია გადასარბენი ნავთლუღ-ვაზიან-იორის შუა.

დასავლეთის ხაზზე ღამით 3 მარტს ქუთაის-ტყიბულის შუა ადგილი ჰქონდა ახალ ნამქერებს. ტყიბულის შტოზე მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილია.

იმავე ღამეს გორი-უფლისციხეს შუა გზა 300 მეტრის მანძილზე აივსო ნამქერებით; თოვლში ჩაეფლა სახალხო მატ. № 13, რომელიც გაანთავისუფლეს ორი საათის შემდეგ. ამავე გადასარბენზე რამოდენიმე ხნის შემდეგ თოვლში ჩაეფლო სახ. მატ. № 3. მატარებელი ამოიღეს ნაწილ-ნაწილად.

ბათომ-სამტრედიის შუა აღადგინეს სატელეფონო კავშირი. სატელეგრაფო კავშირი შეწყვეტილია.

გრიგალი გადავიდა ჩრდილო-კავკასიის რკინის გზებზე

ა. კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ გრიგალი გადავიდა ჩრდილო-კავკასიის რკინის გზაზე. განუწყვეტლივ თოვს და ქრის ძლიერი ქარი. გრიგალი ხელს უშლის მატარებლების მოძრაობას. მოძრაობა რომ სულ არ შესწყდეს, მატარებლების შემადგენლობას ამცირებენ ათი პროც.

ნავთსადგურებში

ა. კ. ნავთსადგურების სამმართველოსთა

ა. კ. ნავთსადგურების სამმართველოს ცნობით, ცუდი ამინდების გამო ნავთსადგურებში შეწყვეტილი იყო ყოველგვარი მუშაობა ორი დღის განმავლობაში.

ამინდის გამოკეთებისთანავე განახლდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

ღამის ცნობები

ხაზი ბაქოსაკენ გახსნილია

ქარბუქი ა. კ. რკინის გზების აღმოსავლეთ უბანზე შეწყდა.

გზა ნავთლუღ-ველის შუა გაწმენდილია. ხაზი გაწმინდეს საღამოს ოთხ საათზე და 30 წუთზე. მატარებლების მოძრაობა აღდგენილია. ჩქარი მატარებელი № 2, რომელიც იდგა აჯი-ტაფაში და უცდიდა ხაზის გაწმენდას, დაიძრა თბილისისაკენ.

კახეთის ხაზზე

კახეთის ხაზზე საღამოსაც უცვლელი მდგომარეობა იყო. გუშინდღამდე ამ ხაზის გასაწმენდათ ზომები არ ყოფილა მიღებული, რადგან მთელი ძალები დაკავებული იყო მთავარი ხაზის გაწმენდაზე.

საღამოს ამ ხაზის გასაწმენდათ გაიგზავნა 500 წითელ არმიელი.

სომხეთის ხაზზე

თუმცა მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ არა ისე, რომ შესაძლებელი ყოფ. მატარებლების მოძრაობის აღდგენა.

გუშინ საღამოს შესძლეს მოძრაობის აღდგენა ერევან-ლენინაკანის შუა.

გზა ლენინაკანიდან-თბილისამდე ისევ დაკეტილია.

სახალხო მატ. № 3 ისევ თოვლშია ჩაფლული და სდგას ორთაკლის-ჯაჯურის შუა. იგი თოვლში იმყოფება 28 თებერვლის აქეთ.

ამ მატარებლის მგზავრები გუშინ გამოიყვანეს ვაგონებიდან და ჩაიყვანეს ლენინაკანში მარხილებით.

გუშინ საღამოს ნავთლუღიდან ხანდარში ხაზის გასაწმენდათ გაიგზავნა—300 წითელ არმიელი.

ტყიბულის შტოზე

ნამქერები ტყიბულის შტოზე შეწყდა. მოძრაობა ქუთაის-ტყიბულს შუა აღდგენილია.

ბათომის ხაზზე

სურამის უღელტეხილიდან—სადგ. სამტრედიამდე გუშინ საღამოს კვლავ თოვა დაიწყო. თოვას მატარებლების მოძრაობა არ შეუფერხებია.

ბილეთები იყიდება

ბილეთები იყიდება ბათომისა და ბაქოსაკენ. სომხეთისაკენ ბილეთები ჯერ არ იყიდება, რადგან ხაზი გაწმენდილი არ არის.

რადიო-გადაცემა

კვირა, 4 მარტი

დღეს, 4 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერთა გამოსვლა; საუბარი აგრონომიაზე; მოხსენება: როგორი შენობა საჭიროა აბრეშუმის ჭიებისათვის; მოხსენება: საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის ათი წლის თავის შესახებ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; მოხსენება: მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა და სოფლის მეურნეობის განვითარება; სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში მუსიკის ახსნა-განმარტებები; ოპერის ტრანსლიაცია; ობსერვატორიის ცნობები; ტექნიკური კონსულტაცია; პასუხები რადიო-მოყვარულთა წერილებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 5 მარტი

სამრეწველო კოოპერაციის ორგანიზაცია და მნიშვნელობა; პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებების მონაწილეობა ქალთა საერთაშორისო დღის გატარებაში; მოხსენება: საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის ათი წლის თავის შესახებ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოხსენება: ქალთა საერთაშორისო დღე; საუბარი რადიო-ტექნიკაზე; კომკავშირის გაზეთი; კონცერტის ტრანსლიაცია სახ. კონსერვატორიიდან; ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, ორშაბათს, 5 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ალექსანდრა კულაგინა, ნინა ბეგიაშვილი; მარია ძუბაკოვა; ოლღა ცერცვაძე; ვერა ბიძინაშვილი; მარიამ მიკირტიჩიანი, იაგულ მარტიროსოვი; მარია მურალაშვილი; სოფიო თულაშვილი; ჯავაირა მალინოვა; მელანია ჯალალოვა; ლუბა ჩერნაევსკაია; მარიამ თამაზაშვილი; ელისაბედ მგელაძე; მარიამ ჩიტაიშვილი; ქს. პაპოვა; მარ. ნოსოვა; მარ. მაისაიანცი; ზინ. როგავა; ოსანა მელიქიშვილი; მარ. გრიბენიკოვა, რეხამ ხაჩ-მანუკიანცი, პოლოს ტრიანცი; ელ. იანკოპულოვა; ანტონ არჯევანიძე; აღაჩიაკ ტატეოსიანცი; მარიამ მელიქიშვილი; დესპინე კირტაძე; ნინო სოფაროვა, გონიერივ მუშაკთა მეორე სექციიდან: კლავდია პლავსკაია; არტაშ მურადოვი, მიხეილ მნაცაკანოვი; ოგანეზ მალანცი; ანასტასია პრაგა. მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ნიკოლოზ გუგუნაშვილი; მედსექციიდან: ანა გულიაშვილი; შუშანა სკანდაროვა; დარია კაკაურიძე; ევა მალალაშვილი; ელენე ჩერნიკიანცი; პალადი ბურდული; აზნელ ზარუმიანი და ალექსანდრა დეეკინა.

სამშაბათს, 6 მარტს, საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) დანიშნულია

სრულიად საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. კულტურული რევოლიუცია და საბჭოთა მწერლობის ამოცანები; მომხ. ამხ. ფ. მახარაძე.
2. სრულ. საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის მოხსენება; მომხს. ამხ. ს. თოდრია, პაოლო იაშვილი.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. განსახკომის ხელოვნების განყოფილების მოხსენება; მომხს. ამხ. თოხაძე.
5. სახელგამის მოხსენება; მომხს. ამხ. ბ. ბიბინეიშვილი
6. საბჭოთა მწერლების და ჯგუფებათა ფედერაციის დაარსება.
7. მიმდინარე საკითხები.
8. სახელმძღვანელო ორგანოების არჩევნები.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე ს. თოდრია.
ნ. 725 მდივანი ქ. ლორთქიფანიძე.

ორშაბათს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია

საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.

1. კომუნალური—მუშათა თეატრი (ძორესის ქ.)
   დღის წესრიგი:
   1. მუშათა რაიონების განათების შესახებ (ტელას-ის მოხსენება).
   2. კომისიების მიმაგრების შესახებ მეურნეობის სხვა და სხვა დარგებზე.
   3. ტრამვაის მოძრაობის გაუმჯობესების შესახებ.
   4. მიმდინარე საკითხები
2. სახალხო განათლების—განათლების მუშაკთა სახლში ფურცელაძის ქ. (ყოფ. კალოუბნის ქ.)
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება ადგილებიდან
   2. მიმდინარე საკითხები
3. სახალხო ჯანმრთელობის—საბჭოს წითელ დარბაზში
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ (გაგრძელება)
   2. სწრაფ დახმარების საექიმო სადგურის ეტლის გამოწვევის სავალდებულო დადგენილების პროექტის განხილვა
   3. მიმდინარე საკითხები
4. საფინანსო სამეურნეო—საბჭოს წითელ კუთხეში—შესავალი ყოფ. ველიამინოვის ქ.
   დღის წესრიგი:
   1. ახალშენებათა კომიტეტის მუშაობის შემსწავლელ კომისიის მოხსენება.
   2. მიმდინარე საკითხები
5. სავაჭრო-კოოპერატიული—პროფსაბჭოს მცირე დარბაზში
   დღის წესრიგი:
   1. ლენ-რაიონის კოოპერატიული ქსელის გამომკვლევ კომისიის მოხსენება
   2. სექციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების გამომკვლევ კომისიის მოხსენება.
   3. სასადილოების გამომკვლევ კომისიის მოხსენება.
   4. მიმდინარე საკითხები.

ნ. 734 საბჭოს პრეზიდიუმი.

ბიბლიოგრაფია

ი. იმედაშვილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი"

მესამე გამოცემა პროფ. გ. ახვლედიანის და დ. ონიაშვილის რედაქციით. ფასი 6 მან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „უცხო სიტყვათა" ლექსიკონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი უადვილებს მასიურ მკითხველს გარკვევას მთელ რიგ მისთვის გაუგებარ და უცნობ სიტყვათა ვითარებაში. არც ერთი ენა არ არსებობს თავისი „წმინდა" სახით, დროთა განმავლობაში მასში შეჭრილი უცხო სიტყვები ვერ შეგუებია ენის ორგანიულ [illegible]. ბუნებრივია, რომ უცხო სიტყვები მრავლად მოიპოვება ქართულ ენაშიაც რომელმაც თავის განვითარებაში დიდი გავლენა განიცადა სხვა ეროვნებათა ენის. ამდენად ფრიად მისასალმებელია ზემოაღნიშნული ავტორის „ლექსიკონის" მესამე გამოცემა. რომ მას არ ახასიათებდეს ის საერთო ნაკლი, რომელსაც ვერ ასცდა ჩვენში გამოცემული ლექსიკონები. ჩვენ ვლაპარაკობთ ლექსიკონის პოლიტიკურ მხარეზე. მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის ტერმინები სრულად და სწორად არ არის განმარტებული. ამ მდგომარეობამ მკითხველი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს და სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მიუწვდომელი დარჩეს.

აი მაგალითებიც: **ამსტერდამის ინტერნაციონალის** შესახებ ვკითხულობთ „ამსტერდამის **ინტერნაციონალი** ეწოდა პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ფედერაციას, რომლის ადმინისტრატიული ცენტრი არის ქ. ამსტერდამში (ჰოლანდიაში); დაარსდა 1919 წლის ივლისში" (გვ. 39). ეს ამ ორგანიზაციის სრული განმარტება არ არის. განმარტებაში არ ჩანს ამსტ. ინტერნაციონალის ნამდვილი ბუნება. ის რომ იგი **უკანასკნელი ინტერნაციონალია**, რომელიც ასცდა კლასობრივი ბრძოლის სწორ გზას და საქმით ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ „ადმინისტრატიული ცენტრი არის ქ. ამსტერდამში" და სხვა. ასეთ მართლაც რომ „ადმინისტრატიული" განმარტება მკითხველს ვერავითარ სწორ წარმოდგენას ვერ მისცემს; რომ ამსტ. ინტერნაციონალის ადმინისტრატიული ცენტრი ქ. ამსტერდამში არის, ამას ცოტათი დაკვირვებული მკითხველი იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" დაუხმარებლადაც მიხვდებოდა, თვით ინტერნაციონალის სახელწოდებიდან.

შემდეგ. სიტყვა **არისტოკრატია** (გვ. 77). „არისტოკრატია, ბერძ.: 1) საუკეთესოთა მმართველობა, კეთილშობილთა მართველობა, არისტოკრატიული რესპუბლიკა—რესპუბლიკა, სადაც მართვა-გამგეობა ეკუთვნის არისტოკრატებს" (ე. ი. კეთილშობილთ). აშკარაა, რომ ამ სიტყვის არსებით და სწორ მნიშვნელობას ავტორი ოდნავადაც ვერ გადმოგვცემს. ეს მხოლოდ სიტყვის ფორმალური განმარტებაა და იგი მის ნამდვილ შინაარსისაგან სავსებით დაცლილია. ჩვენ არ ვიცით ავტორი სთვლის თუ არა თავის თავს „არისტოკრატად" ან არისტოკრატიულ „კეთილშობილთა" მართვა-გამგეობის მომხრეთ, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ასეთი ლიბერალური, თუ მეტი არა, განმარტება „არისტოკრატიული რესპუბლიკისა" ამხელს მის სრულ უცოდინარობას ისტორიული ფაქტებისა და კლასობრივი ბრძოლის შინაგან მექანიკისა. დღეს ჰქმა იმისა, რომ „არისტოკრატიული რესპუბლიკა", კეთილშობილთა რესპუბლიკაა, უდრის დიდ უვიცობას.

მე-2 ინტერნაციონალის შესახებ ავტორი სწერს (სიტ. „ინტერნაციონალი. გვ. 320) „მე-2 ინტერნაციონალი დაარსდა 1899 წ პარიზში (16 წლის შემდეგ პირველის დაშლიდან),—აერთიანებდა ყველა სოციალისტური პარტიებს; 1914—18 წ. წ. მსოფლიო ომის დროს მასში მოხდა განხეთქილება, უმთავრესად, იმის გამო, რომ სოციალისტურ პარტიათა უმრავლესობა მხარს უჭერდა თავიანთ მთავრობებს ომის საქმეში,—არსებობს დღეს უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული სახით დასავლეთ ევროპაში".

გარდა იმისა, რომ აქ ქრონოლოგია არეულდარეულია ამ განმარტებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ დღეს მე-2 ინტერნაციონალი რას წარმოადგენს, საითკენ არის მიმართული მისი საქმიანობა. არ არის გარკვეული, თუ ეს „**სოციალ-დემოკრატიული სახე**" მე-2 ინტერნაციონალისა რაში მდგომარეობს, ავტორს უნდა უთხრათ, რომ მე-2 ინტ. „სოც.-დემოკრატიული სახე" მარტო მის უმაგალითო ღალატში ომის დროს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე არ გამოიხატება. იგი ამ „განხეთქილების" ფარგალს სცილდება. ამის შესახებ ავტორი ყოველი „პოლიტცოდნის" კურსში ამოიკითხავდა ცნობებს.

კ. მარქსის „კაპიტალის" შესახებ სწერია (გვ. 348), რომ მასში „განხილულია კაპიტალისტური წყობილება და დადგენილია მისი განვითარების კანონები". არც ეს განმარტებაა სრული. კ. მარქსს თავის შრომაში მოცემული აქვს **არა მარტო კანონები კაპიტალიზმის განვითარებისა**, არამედ მასში **ნაწინასწარმეტყველებია** (предсказано) აგრეთვე მისი აუცილებელი დამხობაც, კაპიტალიზმიდან კომუნისტურ ეპოქაში გადასვლა, პერიოდი პროლეტარიატის დიქტატურისა და სხვა. მარქსმა მოახდინა რა კაპიტალისტური საზოგადოების ანალიზი, ამავე დროს დასახა კონტურები მომავალი კომუნისტური საზოგადოებისა, რომელიც უნდა აღმოცენდეს კაპიტალიზმის ნანგრევებზე. ეს მომენტი სრულიად უყურადღებოთ დაუტოვებია „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" ავტორს.

სიტყვა „პაციფიზმი" (გვ. 579) შემდეგნაირად არის განმარტებული ლექსიკონში. პაციფიზმი ეს არის „მისწრაფება სახელმწიფოთა შორის ომიანობის მოსპობისადმი **კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში** (ხაზი ჩვენია). შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ომიანობის მოსპობისადმი მისწრაფება, თითქოს მართლაც შესაძლებელია არსებობდეს „კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში". ავტორი ჯერ კიდევ ისე „ურჩობს", რომ მისთვის დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური სისტემის დროს ასეთი მისწრაფება მართლაც შეიძლება არსებობდეს. „რატომ არ არის შენიშვნა, რომ ეს „მშვიდობიანობისადმი" მისწრაფება თვალთმაქცურია, რომ იგი არ შეიძლება გამომდინარეობდეს ლოგიკურად კაპიტალიზმის ბუნებიდან. ეს ანბანური ჭეშმარიტება „პაციფისტ" ავტორს არ ესმის.

ეს ფორმალისტური (თუ მეტი არა?) თვალსაზრისი, მთელი სიგრძე-სიგანით მჟღავნდება „სოციალ-დემოკრატიულ, აწუ **სოციალ-დემოკრატიული პარტიის**" განსაზღვრის დროს. რას ამბობს ავტორი „სოც.-დემოკრატიის შესახებ. აი რას. სოც.-დემოკრატიულ პარტიას „**მიზნად დასახული აქვს სოციალიზმის განხორციელება.** ამ მიზნის მისაღწევად სოც.-დემოკრ. აწარმოებს ბრძოლას ყველა ბურჟუაზიულ პარტიის წინააღმდეგ (?!?! ხაზი ჩვენია) და მოითხოვს: ა) პოლიტიკურ დარგში—დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას ბ) ეკონომიურ დარგში—8 საათის სამუშაო დღეს, საწარმოო იარაღებს, მიწის და კაპიტალის გადაცემას საზოგადოების ხელში... გ) ნაციონალურ დარგში—ერთა თვითგამორკვევას" (ეს უკანასკნელი ხაზი ჩვენია. გვ. 704) თანახმად ავტორის განმარტებისა გამოდის, რომ სოციალ-დემოკრატია „აწარმოებს ბრძოლას ყველა ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ". „სოც.-დემოკრატიის" ასეთი შეფასება კონტრ-რევოლუციონურია თავიდან ბოლომდე. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ასეთ „ნიმუშებს" რეაქციონური აზროვნებისა აწვდიან ჩვენს მკითხველს.

ეხლა კი ჩვენთვის გასაგებია, თუ რაში მდგომარეობს მე-2 ინტერნაციონალის „სოციალ-დემოკრატიული სახე" (იხ. გვ. 320). ეს სპეციფიური „სახე" თურმე იმაში მდგომარეობს, რომ სოც.-დემოკრატია „იბრძვის ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ" და მაშასადამე მე-2 ინტერნაციონალიც, რამდენად იგი ამ „სახის" მატარებელია. ავტორს ცნობისათვის უნდა მოვახსენოთ, რომ „სოც.-დემოკრატია" დღეს არ იბრძვის ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, ის ყველგან მხარს უჭერს 8 საათის მაგივრად 9 და 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას, წინააღმდეგია წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებისა. ის პირიქით, კონტაქტშია ბურჟუაზიასთან, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ოპორტუნიზმში ეძებს სრულ დასაყრდენს" (ბუხარინი)

სოც.-დემოკრატია დღეს აწარმოებს ბრძოლას „ერთა თვითგამორკვევისათვის". ამბობს ავტორი. როგორ უნდა გავიგოთ ეს ფრაზა. შეიძლება ამ „ერთა თვითგამორკვევაში" ძველი მენშევიკური ლეგენდა იმალება.... საკვირველია საიდან გამოაძვრინა გაუფრთხილებელმა ავტორმა ეს მენშევიკების მიერ გაცვეთილი დოგმა, რომელსაც არასოდეს ისინი ცხოვრებაში არ ატარებდნენ. (მოვაგონებთ ავტორს „მენშევიკურ საქართველოს").

ზედმეტია შემდეგი საუბარი. ასევე შეიძლება ითქვას „სოც.-რევოლუციონერების", „სოციალ-ფედერალიზმის" განმარტებათა შესახებაც (იხ. გვ. 705). პოლიტიკურის მხრით ლექსიკონი ყოვლად უვარგისია. როგორც დავინახეთ არც უბადრუკი პირველის შეხედვით, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" ყოფილა „აპოლიტიური" თავისი შინაარსით. უნდა შევეცადოთ, რომ ასეთი „იდეოლოგიური ლიაპსუსების" გაპარვის საშუალება არ მივსცეთ ზოგიერთ მოხუცებულ „მწიგნობრებს"-აც კი.

დ. დ—ძე.

ოფიც. განყოფილება

ცირკულიარულად.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო წარმოებებს და დაწესებულებებს

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 4 აგვისტოს დადგენილების თანახმად სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებს ყრილობებისა და თათბირების მოწვევა შეუძლიათ მხოლოდ სათანადო უწყების ნებართვით, რაც წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული ამიერ-კავკასიის, ან სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან.

ამიტომ, რათა დაწესებულებებმა გეგმაშეწონილად განახორციელონ მათთვის მინიჭებული უფლება ყრილობების და თათბირების მოწვევისა, და აგრეთვე რათა მაქსიმალურად შემოკლდეს ამ ყრილობების (თათბირების) ხანგრძლივობა და ამასთან დაკავშირებული ხარჯები, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივის შესასრულებლად, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებები ვალდებული არიან თავის დროზე, არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის (თათბირის) მოწვევამდე, აცნობონ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს განზრახულ ყრილობის ან თათბირის მოწვევა.

2) ცნობაში აღნიშნული უნდა იქნეს: ა) ყრილობის (თათბირის) ამოცანები, ბ) დღის წესრიგი, გ) ყრილობის შემადგენლობა და დ) მისი მუშაობის განზრახული ხანგრძლივობა.

3) ცნობას განზრახულ ყრილობის (თათბირის) შესახებ აუცილებლად თან უნდა დაერთოს მოსაწვევ ყრილობის (თათბირის) ხარჯთაღრიცხვა.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ნაზარეტიანი.

1928 წ. 14 თებერვალი.

შრომის სახალხო კომისარიატში

საშუალო ხელფასი

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, სახელოსნოებსა და შინამრეწველობაში ჩაბმულ მოწაფეთათვის დაწესებულია ხელფასის ნორმები: თბილისისათვის—20 მან., ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებისათვის—15 მან.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით. სახელოსნოებსა და შინამრეწველობაში ჩაბმული მოწაფეები დაზღვეული უნდა იქნენ აღნიშნულ ხელფასის კვალობაზე.

მადლობის გამოცხადება

თბილისის შრომის ინსპექტორების კამერაში რაციონალიზაციის ჩატარებისთვის, შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით მადლობა გამოეცხადა შრომის დაცვის განყოფილების მდივანს ამხ. ლ. მაჩაიძეს.

კოლექტივების გადასინჯვა

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შრომის ბაზრის განყოფილებას დაევალა გადასინჯოს საქართველოს ფარგლებში არსებული კოლექტივები დეფიციტიან და მცირე ტევადიან კოლექტივების ლიკვიდაციის და მათი მსხვილ კოლექტივებთან გაერთიანების მიზნით.

უმუშევართა სასადილო

შრომის ბირჟის უმუშევართა სასადილოს გამოსაკვლევათ შრომის სახ. კომისარიატის მიერ გამოყოფილია კომისია არჩვაძის, სიტნიკოვის, ჯულელის, სერედას და პროფკავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისიამ თავისი დასკვნები უნდა წარუდგინოს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიას.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ქეთევან გვასალიას.

კითხვა:

შევიძლიან თუ არა მივიღოთ კახეთის რკინის გზისაგან ანაზღაურება იმ ზარალისა, რომელიც მომაყენა მან გასაბჭოებამდე და გადასჭრა ჩემი ეზო, სადაც კულტურული ნაშენი იყო.

პასუხი:

თქვენ ასეთი უფლება დაკარგული გაქვთ თანახმად ცაკის 1923 წ. 18 აგვისტოს და 56 №-ის დადგენილების მე-2 მუხლისა, რადგან თქვენი დავა ეხება გასაბჭოებამდე წარმომდგარ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობას.

ახალ სენაკი. მასწავლებელს ჯ. გ. იოსავას

კითხვა:

ჰქონდა თუ არა უფლება სენაკის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას დაზღვეულ იასიდან გამოერიცხა შრომის უნარი[illegible] 85 წლის სიდედრი როგორც ჩემი ოჯახის წევრი.

პასუხი:

ასეთი უფლება ჯანმრთელობის განყოფილებას ჰქონდა, რადგანაც დაზღვევისათვის სიდედრი თქვენი ოჯახის წევრად არ ჩაითვლება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. კომ. პარტიის (ბ) ც. კ. პარტიის ოთახში (რუსთაველის პრ., 23) დანიშნულია ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს მორიგი სხდომა.

ბიუროს წევრებს: მალაქია ტოროშელიძეს, სილ. თოდრიას, ვანო სტურუას, თენგიზ ჟღენტს, ვანო ბოლქვაძეს, ამაიკ ნაზარეტიანს, ანდრო ფირცხალავას, შამშე ლეჟავას და ლადო სუხიშვილს—

სთხოვენ დაესწრონ ხსენებულ სხდომას.

ორშაბათს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილების ოთახში (№ 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა.

მიმღებ კომისიის წევრების გარდა, სხდომაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ, ამხ. ანა მაკარის ასული დინდარი, რაისა ივანეს ასული ვალაქიშვილი, დიომიდე მოსეს ძე ჩხეიკვიშვილი, ანტონინა ლავრენტის ასული ბუიულიშვილი, ეფემია ნიკოლოზის ასული მარგიშვილი, გარეგინ სიმონის ძე მალავერიანი და სუმთა არუთინის ძე დანიელიანი.

სახელ. უნივერ. ს. კ. პ. (ბ) ბიუროკოლექტივის ოთახში 5 და 6 მარტს საღამოს 5—7 საათამდე იწარმოებს უნივერ. სოც. ეკონ. ფაკ. კომ-უჯრედის წევრთა და კანდიდატთა ხელახალი აღრიცხვა, პარტიის წევრი ან კანდიდატი, რომელიც აღრიცხვაში არ გატარდება აღნიშნულ დრომდე, მექანიკურად გამოირიცხება პარტიიდან.

აღრიცხვას აწარმოებს ამხ. შევქეთ ლორთქიფანიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში, ორშაბათს, 5 მარტს დღის 1-ლ საათზე შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან: ამხ. დ. კანდელაკი, ვ. კანდელაკი, თ. ღლონტი, ქ. სულაქველიძე, მ. ტოროშელიძე, ასრიბეკოვი, პისკაცკი, რუხაძე, გულოიანი, ზახაროვი, სამოხვალოვი, სურხატიანი, ლ. სალუქვაძე, ვ. კუპრაძე, ხუნდაძე, გეგენავა (პროლეტ. სტუდენ.) და დუდუჩავა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია პედაგოგ-კომუნისტების თათბირი სახ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედების მდივნებთან ერთად.

მწუხარებაში მყოფნი შვილები: ანდრია და ალ[illegible] მარუსია, გერები: ანიკო და ფედოსი, სიძეები: ანდრ[illegible] ჩხაიძე, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 3 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

მიხეილ ნიკოლოზის ძე

ჭყონია

გამოსვენება ვერის ეკლესიიდან 6 მარტს, სამშაბათს, 4 საათზე დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე (ე)

გულდათუთქულნი და უდროოდ დაობლებული შვილები—კლავდია და თათეოზი, დედა—ეკატერინე, ძმა—გიორგი ცოლით ლელათი, და—ბარბალე მარშა იშკილები; და—ვადიმე შვილებით: თეკლე და ნიკოლოზი წეროძენი, დისშვილი—ვისილა ქმრით არტემ სიხარულიძე და მაზლები—ნოე მეუღლით ანასტასიათი, სამსონ მეუღლით მაროთი წეროძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პარასკევს, 2 მარტს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

მაკრინე გიგიას ასული

მარუაშვილი-წეროძისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან ფარკოფელის ქუჩა № 7 (ნაძალადევი) კვირას, 4 მარტს, საღამოს 5 საათზე სადგურში, საიდანაც წაასვენებენ სოფ. სამებაში (გურია). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი მარიამ ტრიფონის ასული, შვილები ალექსანდრე, გიორგი, თამარი, რძალი ცუცა, ძმა ნიკოლოზ სიმონისძე დოლიძე მეუღლით და შვილებით აუწყებენ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქ. ბათომში, სამსახურის დროს, სადგურ ჩაქვში მატარებლების დაჯახების დროს მიღებულ ჭრილობების გამო უდროოთ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

სოლომონ ნანეს-ძე ბალიშვილი

დაკრძალვის დრო გამოცხადდება ცალკე. 1665

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე შალიკო დიმიტრის-ძე სხირტლაძე პაწია ვაჟით აუწყებს ყველა ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფასი პირველის მეუღლე და მეორეს დედა

ნინა ალექსის ასული

სხირტლაძე

გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2 მარტს, შუადღის 12 საათზე რკ. გზის საავადმყოფოში. გამოსვენება კვირას, 4 მარტს, ნაშუადღევს 2 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 1662

დღეს, 4 მარტს სრულდება წლისთავი

პროფესორ სიმონ კონსტანტინეს ძე

გოგიტიძის

გარდაცვალებიდან. ვისაც სურს პატივი სცეს გარდაცვალებულის ხსოვნას, მათ განსვენებულის შვილები სთხოვენ მობრძანდნენ ნაშუადღევის პირველ საათზე ვერის ძველ სასაფლაოზე. 1658

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა, და ელენე, სიძე სიკო ლომკაცი ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 2 მარტს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტი

ლენტო პეტრეს ძე დეკანოზიშვილი

დაკრძალვა ქალაქ თელავში კვირას 4 მარტს. ცხედრის გამოსვენება საკუთარ სახლიდან ნაშუადღევს 2 საათზე. ნ. 726

ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერულ-პუბლიცისტური
ჟურნალი
მნათობი

გრძელდება ხელისმოწერა 1928 წლისათვის

ჟურნალი ღირს: წლიურათ—12 მან. 6 თვით—6 მან. 3 თვით—3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 1—50 კაპ. ჟურნალზე ხელისმოწერა მიიღება სახელგამის წიგნის მაღაზიებში (როგორც თბილისში, ისე პროვინციაში) და აგენტებთან. გარდა ამისა, ჟურნალზე ხელის მოწერას დაბა-ქალაქებში აწარმოებენ **რედაქციის მიერ დანიშნული სპეციალური პირები**, რომელთა სახელი და გვარი მოკლე ხანში გამოქვეყნდება. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, დღის 12 საათიდან 3 საათამდე. დასაბეჭდათ უარყოფილი მასალები ინახება: პროზა, მეცნიერება და პუბლიცისტიკა—3 თვის განმავლობაში, პოეზია—1 თვის განმავლობაში.

მისამართი: რედაქციის თბილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11 (გაზეთ „ახალი სოფელი"-ს შენობა) გამომცემლობის რუსთველის პროსპ. № 22, სახელმწიფო გამომცემლობა (სახელგამი)

დაიბეჭდა და გამოვიდა „მნათობი" № 2

შინაარსი: პოეზია: **ს. ჩიქოვანი**,—სამოქალაქო ომებიდან. **ნ. ზომლეთელი**—ოქტომბრის დარაჯი. **ვიქტორ გაბესკირია**—დღეები სოფლად. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—საჩივარი. **ნ. ნეკრასოვი**—სამშობლო (თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის). **ტიციან ტაბიძე**—პოემიდან „თვრამეტი წელი". პროზა: **ჯაჯუ ჯორჯიკია**—რეჟიმის შვილები. **აკაკი პაპავა**—სპირიდონის გასაჭირი (გაგრძელება). **სტ. კასრაძე**—მეჯინიბე (დასასრული). **ი. ტატიშვილი**—მოსარეცხე. **გუსტავ დანილოვსკი**—ბრძოლა და სიყვარული. **ეპტონ სინკლერი**—ქალაქის მდივანი (თარგმანი ი. მჭედლიშვილის).

კრიტიკა-მეცნიერება-პუბლიცისტიკა: მიხ. კახიანი—კულტურულ რევოლუციის საკითხები. **ვ. გ—ლი**—ნ. ნეკრასოვი. **ვ. ბახტაძე**—კრიტიკული შენიშვნები. **შ. რადიანი**—სიმბოლიზმი საქართველოში. **მ. ლევანდოვსკი**—პროლეტარული დიქტატურის წითელი არმია **ვ. ს—ლი**—საქართველოს ოქტომბერი. პროფ. **კ. კეკელიძე**—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. **ალ. ჯაბადარი**—ზოგი რამ ალ. ყაზბეგის შესახებ.

ბიბლიოგრაფია. ჟურნალი აკადემიურადაა გამოცემული, დართული აქვს ამხ. **სტალინის** ფერადი სურათი, შეიცავს 272 გვ და ღირს 1 მ. 50 კაპ.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან

ნ. 735

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი
ახალი სოფელი

მიიღება ხელისმოწერა 1928 წ-თვის
პირობები

წლიურად—1 მანეთი, ნახ. წლით—60 კაპ. 3 თვით 40 კაპ.

ხელისმოწერას ღებულობენ კოხ-სამკითხველოს გამგეები, მასწავლებლები, გლეხკომები, კოოპერატივები და გლეხკორები.

რედაქცია უშვებს აგრეთვე გლეხურ ლიტერატურას და ყოველთვიურ სასოფლო სამეურნეო და მეცნიერულ—პოპულიარულ ჟურნალს

„ახალი სოფელი"

მისამართი: თბილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11.

ნ. 732

გამოვიდა და იყიდება
საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო
„პროლეტარული მწერლობა"
№ 1

ფასი ცალკე ნომრისა 50 კ.
ხელისმოწერის პირობები:

წლით	4 მან.
6 თვით	2 მან.
3 თვით	1—20 კ.

ხელისმოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიებში.
ნ. 734

მიღებულია
სეზონის საუკეთესო სურათი
„რომანოვების დინასტიის დამხობა"
[illegible]
დადგმის დღეს
ნ. 730

ხვალ ორშაბათიდან
5 მარტიდან
კინო თეატრ
არფასტოში
უკანასკნელად თბილისში
მსოფლიო შედევრი
„ნიბელუნგები"
1 და 2 სერია
ერთად.

სამშაბათიდან
6 მარტიდან
კინო თეატრ
აპოლოში
პრემიერა ვიქტორ ჰიუგოს
რომანის მიხედვით
„განკიცხულნი"
გაბრიელ გაბრიოს
და
სანდრა
მილოვანოვას
მონაწილეობით.

731

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

„დრამა პომპეის ცირკში" მაცისტის მონაწ.ლ.
ორშაბათიდან აპოლოში „დრამა ცირკში"
5 მარტიდან სოლეიში „ს.-პეტერბურგის აღსასრული"
არფასტოში „ნიბელუნგები"
ლია-დე-პუტი სურათში „ი ლ ო ნ ა"
„ვინ ხარ შენ" ორშაბათიდან 5 მარტიდან „ბ ე ლ ა"
ამერიკული კინო-რომანი სპიდ 1 და 2-რე სერია ერთად
ანონსი მალე „რომანოვების დინასტიის დამხობა" 0—4

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ვ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 7 მარტს 1928 წ. დღის 12 საათზე, ადგილობრივ სოფელ ალაიანში 1-ლ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი მათეს-ძე ილურიძის სამ ცალ ხარს და ერთ სპილენძის საარაყე ქვაბს, სულ შეფასებულს 155 მ. ოლღა ილურიძის ვალის დასაკმაყოფილებ. და ასან-გოზა-ოღლის ერთ შავ ულაყ ცხენს მე-2 საჯარო ვაჭრობით შეფასებულს 120 მან. ქარუმა და სხვ. ხუბულურის ვალის დასაკმაყოფილებლად. ნ. 728

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სასამართლოს აღმასრულებელი **ბალდასაროვი**

ამით აცხადებს, რომ ის 9 მარტს 1928 წლ. დღის 12 საათზე, სახლში № 148 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პანაიოტ ანდრეუს მოძრავ ქონებას: სახლის ავეჯს, შეფასებულს 139 მანეთად და 70 კაპ. ელენე ანდრიუს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა და მე-4 უბნის სახ. სასამართლოსაგან 5/13 იანვარს—1928 წლ. თარიღით, №№ 40 და 140 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 1657

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი
სამშაბათს, 6 მარტს,
თამარ წერეთლის გამოსათხოვარი კონცერტი
სრულიად ახალი პროგრამით ცნობილ სკრიპაჩის მიხეილ ფაინზეტის და ბ. ა. პროზოროვსკის მონაწილეობით.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება ამით აცხადებს,

რომ საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია ა. წ. 18 მარტს, კვირას, დილის 11 საათზე საზოგადოების ბინაზე კომინტერნის ქ. (ყოფ. სასახლის) № 6.

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) წლიური 1926/27 წ. ანგარიშის დამტკიცება (მოხ. საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა).

2) 1927/28 წ-ის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება.

3) არჩევნები გამგეობის, საბჭოს, სარევიზიო კომისიის და კანდიდატებისა.

4) მიმდინარე საკითხები.

თუ აღნიშნულ დღეს კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება შესდგება იმავე ბინაზე, იმავე საკითხების განსახილველად, კვირას, 25 მარტს, დილის 11 საათზე და ჩაითვლება წესდების § 37 ძალით კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. ნ. 727

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ამ საზოგადოების აქციების მეპატრონეთ, რომ თანახმად ს.ს.ს.რ. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 17 აგვისტოს დადგენილებისა, **აღნიშნული საზოგადოების ყველა უსახელო აქციები არა უგვიანეს 1928 წ. პირველი აპრილისა წარმოდგენილ უნდა იქნენ გამგეობაში (ჭიათურა, ზდანოვიჩის ქ. № 5), სახელიან აქციებათ გადასაკეთებლათ.** აქციები, რომელნიც აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი არ იქნებიან გამგეობაში, გაბათილებულათ ჩაითვლებიან. 1636

გამოვიდა და იყიდება მუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა"
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან 75 კაპ წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. ბოჭორიშვილთან.

იყიდება
აწერი მანქანა „უნდერვუდი" დიდი და პატარა, სარკეები 1 ნახ., 2 და 4 არშ., ხოხები, ფარდაგები, სურათები და სხვა ავეჯეულობა. ელისაბედის ქ. № 146, ბინა 7, ეზოში მე-3 სართული. 4—6 საათ. 1660

მიხეილ გედევანიშვილის
[illegible]
სამკურნალო
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღებ 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოფ. ლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ზ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი
ქ. ს. ფონ ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღებ დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნ.ს. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 13—1

ექიმი
ნ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—13

ექიმი
ი. ა. ტერ-ოგანოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქუჩა (ყოფ კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი მემრაბიანცი
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის)
25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კანონის ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.) ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

დაკარგა: ერკოპის საწევრო წიგნაკი № 24083 გაცემული შალვა ალექსანდრეს ძე ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 1659

დაკარგა: კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 14759 და გლეხკომის საწევრო წიგნაკი № 27 გოგოლ დევიძის სახელზე, ჩ. გ 1663

დაკარგა მოწმობა № 1003 საბუღალტრო კურსებიდან გაცემული და საბუღალტრო დავთრები სიმონ ყიფიანის სახელზე, ჩ. გ 1661

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 5154 ხარიტონ ვლადიმერის ძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ ნ. 725

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი ფორ. № 4 გაცემული სამხრეთ ოსეთის ქ. ცხინვალის სამხედრო უწყებიდან იოსებ ალექსანდრესძე შალიბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1654

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ნესტორ კონსტანტინესძე სულუხიას სახელზე, ჩ. გ. 1655

დაკარგა: საწევრო წიგნაკი № 2171 სოლომონ იგითხანოვის სახელზე, ჩ. გ. 1656

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 64